

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



**საქართველოში
სტატისტიკის განვითარების
ეროვნული სტრატეგია**

2011-2014

თბილისი, 2011

საქართველოში სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგია / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2011. – 70 გვ.

სტრატეგია მომზადდა საერთაშორისო რეკომენდაციების საფუძველზე, მსოფლიო ბანკის სატრასტო ფონდის მხარდაჭერით. მისი მიზანია საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის შემდგომი განვითარებისთვის ხელის შეწყობა. სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა 2011-2014 წლებისთვის და გრძელვადიანი პერსპექტივები და ხედვა, შეფასებულია არსებული მდგომარეობა და გამოვლენილია მთავარი პრობლემები და გამოწვევები.

საქსტატი მადლობას უხდის ყველას, ვინც თავისი წინადადებებითა და შენიშვნებით ხელი შეუწყო სტრატეგიის მომზადებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილე კონსულტანტების (და, კერძოდ, ბ-ნ გრემ ილის) წვლილი.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური (საქსტატი)

გურამიშვილის ქ. 39

თბილისი, 0181, საქართველო

ტელ.: (995 32) 236 72 10, დამ. 011

ფაქსი: (995 32) 236 72 13

ელფოსტა: info@geostat.ge

ინტერნეტი: www.geostat.ge

შემოკლებები

ბის	გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა
მფი	მწარმოებელთა ფასების ინდექსი
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საშსტაბი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სბმს	სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგია
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სსფ	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
სფი	სამომხმარებლო ფასების ინდექსი
სშპ	საერთაშორისო შედარებების პროგრამა
ჰს	ჰარმონიზებული სისტემა
BDD	ძირითადი მონაცემები და მიმართულებები (საშუალოვადიანი ხარჯები)
DQAF	მონაცემთა ხარისხის შეფასების მექანიზმი
FDI	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
GSBPM	სტატისტიკის ბიზნეს პროცესის ზოგადი მოდელი
IT	ინფორმაციული ტექნოლოგიები
MOU	ურთიერთგაგების მემორანდუმი
NQAF	ხარისხის შეფასების ეროვნული ჩარჩო
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
ROSC	მოხსენება სტანდარტებისა და ნორმების დაცვის შესახებ
SDDS	მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი
TACIS	დსთ-ის ქვეყნებისთვის ევროკავშირის ტექნიკური დახმარება
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
USAID	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

შინაარსი

მოკლე შინაარსი	7
1. შესავალი – საქართველოში სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის(სგეს)მომზადება.....	10
საქართველოს სტატისტიკის სისტემა.....	10
რატომ გახდა საჭირო სგეს-ის შემუშავება.....	11
როგორ მომზადდა სტრატეგია.....	11
სგეს-ის მოქმედების ვადა და შინაარსი.....	12
დოკუმენტის მიმოხილვა.....	12
2. ათვლის წერტილი – საქართველოს სტატისტიკაში არსებული მდგომარეობა 2011 წელს ოფიციალური სტატისტიკის განვითარება საქართველოში.....	13
საქსტატის დაარსება.....	13
არსებული მიღწევები.....	14
საქართველოს სტატისტიკის სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები	15
რისკები და შესაძლებლობები.....	16
დონორთა მიერ სტატისტიკის მხარდაჭერა და პოტენციალის განვითარება.....	17
3. გარემო, რომელშიც ვმუშაობთ.....	24
საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა.....	24
სტატისტიკურ მონაცემებზე არსებული და მოსალოდნელი მოთხოვნა	27
არსებული შეზღუდვები.....	29
4. ხედვა და პრიორიტეტები.....	31
სტატისტიკის სისტემის ხედვა.....	31
მისია.....	31
ხედვის და მისიის განხორციელება – საშუალოვადიანი პრიორიტეტები.....	32
სტატისტიკური ბიზნეს პროცესის გაუმჯობესება.....	32
სტატისტიკის სისტემის მართვისა და კოორდინირების გაუმჯობესება.....	33
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.....	33
ადამიანური რესურსების განვითარება.....	33
5. 2011–2014 წწ. საქსტატის ბიზნეს გეგმა.....	34
მიმოხილვა.....	34
საქსტატის მიერ წარმოდგენილი მონაცემთა ხარისხის და მოცვის გაუმჯობესება.....	34
ეროვნული ანგარიშები.....	34
ბიზნეს სტატისტიკა.....	35

ფასების სტატისტიკა.....	36
საგარეო სექტორის სტატისტიკა.....	37
სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკა.....	38
მოსახლეობის აღწერა და დემოგრაფიული სტატისტიკა.....	40
სოციალური სტატისტიკა.....	41
სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება.....	42
მონაცემთა გავრცელების ეფექტური და მკაფიო პოლიტიკის შემუშავება	42
ვებ-გვერდის დახვეწა და მომხმარებლებზე ორიენტირება.....	42
საქმიანობის დოკუმენტირება და მეტამონაცემების მისაწვდომობის გაუმჯობესება.....	43
მომხმარებლებთან დიალოგის ხელშეწყობა/გამართვა და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება.....	44
მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება კვლევისა და შემდგომი ანალიზისათვის.....	44
მკაფიო ყოვლისმომცველი და გონივრული სატარიფო პოლიტიკა.....	45
ადამიანური რესურსების განვითარება.....	45
სტატისტიკის სისტემაში მუშაობის მიზმიდევლობის გაზრდა.....	46
კადრების რიცხოვნობის შესაბამისობა დატვირთვის დონესთან.....	46
ინვესტირება ცოდნასა და უნარებში.....	48
სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაციისა და მართვის გაუმჯობესება.....	49
საქსტატის საბჭოს ანგარიშვალდებულებისა და როლის გაძლიერება.....	49
ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების სხვა მწარმოებლებთან კოორდინაციის გაუმჯობესება და საქართველოში სტატისტიკურ მონაცემთა ხარისხის სტანდარტების გამოყენება.....	49
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.....	50
რეგისტრებისა და შერჩევის ბაზების ხარისხის გაუმჯობესება	50
შესაბამისი და განახლებული კლასიფიკაციებით უზრუნველყოფა.....	51
გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა და გეოგრაფიული კოორდინატების მონაცემების გამოყენების გაუმჯობესება.....	51
მონაცემთა მართვის გაუმჯობესება და მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.....	52
მონაცემთა შეგროვების ეფექტურობის გაზრდა.....	52
რეგიონალური სტატისტიკის გაუმჯობესება და მონაცემთა შეგროვებისა და გამოყენების ადგილობრივი პოტენციალის გაუმჯობესება.....	53
6. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი – შედეგების შეფასება და ანგარიშგება.....	54
განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება.....	54
მონიტორინგის სტრუქტურა.....	54
ანგარიშგება.....	55
7. სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის განხორციელება და დაფინანსება.....	56
განხორციელების პირობები.....	56
სტრატეგიის განხორციელების ღირებულება.....	57
ფინანსური გეგმა.....	57
დანართი 1. მონიტორინგის სტრუქტურა.....	59
დანართი 2. საქსტატის სახელფასო განაკვეთების სხვა უწყებების სახელფასო განაკვეთებთან შესაბამისობაში მოყვანა	69

მოკლე შინაარსი

- I. საქართველოში სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგია (სგეს) ასახავს ეროვნული სტატისტიკის სისტემის მიზნებსა და ამოცანებს 2011 წლიდან 2014 წლამდე. ის მომზადებულია PARIS21-ის¹ რეკომენდაციების შესაბამისად. სტრატეგიაში განსაზღვრულია სტატისტიკის სისტემის მიმდინარე მდგომარეობა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და განხილულია სტატისტიკაზე მოქმედი გარე ფაქტორები.
- II. სგეს-ში ჩამოყალიბებულია ეროვნული სტატისტიკის სისტემის მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება 2009 წელს მიღებულ კანონს "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" და ასახავს მომდევნო ოთხი წლის პრიორიტეტებს. სგეს-ში განმარტებული მისია, ხედვა და შეფასება ეხება მთლიანად სტატისტიკის სისტემას, ხოლო განხორციელებებს, ანუ ბიზნეს გეგმა ეხება მხოლოდ საქსტატის საქმიანობას.
- III. შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ სისტემას აქვს ძლიერი მხარეები. ამკარად გაუმჯობესდა ხარისხი და მოცვა ეკონომიკურ და ფინანსურ სტატისტიკაში, რაც გამოიხატა 2010 წელს სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტთან (Special Data Dissemination Standard – SDDS) მიერთებაში. საქართველომ საკმაოდ მნიშვნელოვანი წინსვლა მოახდინა 2004 და 2010 წლამდე სტატისტიკური პოტენციალის განვითარებაში, რაზეც მსოფლიო ბანკის შეფასებაც მეტყველებს. საქსტატის, როგორც დამოუკიდებელი უწყების შექმნა, და ამით სტატისტიკის მნიშვნელობის აღიარება, ასევე მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს სისტემის განვითარებაში. ჩამოყალიბებულია სტრუქტურა და გამოკვეთილია სისტემის შემდგომი სტრატეგიული განვითარების სურვილი.
- IV. სისუსტეები ასახავს რესურსების შეზღუდულობას (განსაკუთრებით მიმდინარე ხარჯებისთვის გამოყოფილი სახსრების), პროფესიონალი კადრების არასაკმარის რიცხოვნობას და მოსახლეობის აღწერის დაფინანსებაში არსებულ გაურკვევლობას. თუმცა მსგავსი პრობლემები დამახასიათებელია განვითარების ანალოგიური დონის მქონე სხვა ქვეყნებისთვისაც.
- V. საქართველო იმყოფება გარკვეული რაოდენობის საშუალოვადიანი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტატისტიკის სისტემის განვითარებაზე. პირველი: სტატისტიკის მონაცემები საჭიროა ეკონომიკის ფუნქციონირების მონიტორინგისათვის, შოკების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირებისთვის და ეკონომიკისა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ამ შოკების გავლენის შეფასებისათვის. მეორე: ფისკალური კორექტირების გაგრძელება ნიშნავს, რომ სტატისტიკის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხების ზრდის შესაძლებლობა შეზღუდულია, ამიტომ კაპიტალური ან მიმდინარე ხარჯების ზრდის მოთხოვნას თან უნდა ახლდეს რეალისტური და მოტივირებული დასაბუთება. მესამე: სტატისტიკის სისტემამ დადებითი როლი უნდა ითამაშოს კერძო სექტორზე ბიუროკრატიული წნეხის შესუსტებაში მონაცემებზე გონივრული შეზღუდული მოთხოვნის დანესებითა და ხელისუფლებისადმი ანაგარიშგების ტვირთის მინიმუმამდე შემცირების გზით.

¹ The Partnership in Statistics for Development in the 21st Century (PARIS21) www.paris21.org . პარტნიორობა 21-ე საუკუნეში სტატისტიკის განვითარებისთვის დაარსდა 1999 წლის ნოემბერში გაეროს, ევროპის კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, საეთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ. პარტნიორობის მთავარი მიზანია დაბალი და საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვის სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიების შექმნაში ხელშეწყობა.

- VI. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემების გამოყენება, სტატისტიკის მომხმარებელთა რიცხვი და სახეობები იზრდება. ოფიციალურმა სტატისტიკამ ხელისუფლებისთვის მონაცემების მიწოდებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის მხარდაჭერაში და ქვეყნის განვითარების მონიტორინგისა და ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში.
- VII. მომხმარებელთა რიცხვის ზრდასთან ერთად საქსტატსა და ოფიციალური სტატისტიკის სხვა მწარმოებლებს მოუწევთ მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფების და მათი მოთხოვნების უფრო ღრმა შესწავლა. ზოგ მომხმარებელს აქვს საკმარისი ცოდნა, ზოგი კი საკმაოდ გამოუცდელია და საჭიროებს სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის შინაარსისა და ინტერპრეტირების განმარტებას. სტრატეგიის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა ტიპის მომხმარებელზე ორიენტირებული ახალი სტატისტიკური პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება.
- VIII. სგეს-ის განხორციელების პერიოდში შეუძლებელი იქნება მონაცემებზე ყველა წარმოშობილი მოთხოვნის შესრულება. მთავარი მიზანია გაუმჯობესებული მონაცემების წარმოება, რომლებიც ხელს შეუწყობენ გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვას ყველა დონეზე. სგეს-ი განსაზღვრავს სტატისტიკის სისტემის განვითარების სამ შემდეგ პრიორიტეტს: (i) სტატისტიკის ბიზნეს პროცესის გაუმჯობესება და გაფართოება; (ii) ხელმძღვანელობის, კოორდინაციისა და მართვის გაუმჯობესება; (iii) ინფრასტრუქტურის განახლება, განვითარება და მართვა; (iv) ინვესტირება ადამიანურ რესურსებში.
- IX. სპეციფიკური პრიორიტეტები მოიცავს: (i) 2014 წლის მოსახლეობის აღწერის ჩატარებას; (ii) მოსახლეობის აღწერასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარებას; (iii) ეკონომიკური აღწერის ჩატარებას, რათა დეტალურად გამოიკვეთოს მრეწველობის, მომსახურების სფეროსა და სხვა სექტორების სტრუქტურა; (iv) ძირითად მონაცემთა მწკრივების მოცვისა და ხარისხის გაუმჯობესებას ეროვნული ანგარიშების, ფასების, დასაქმების, უმუშევრობის და შრომის ბაზრის სხვა მოვლენების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის ჩათვლით; (v) სტატისტიკურ მონაცემთა გავრცელების გაუმჯობესებას, მონაცემთა გავრცელების მიზნით ვებ გვერდის უფრო მეტად გამოყენებას და მომხმარებელთა მხარდაჭერის გაძლიერებას.
- X. კოორდინაციისა და მართვის გაუმჯობესება გულისხმობს: მართვის ეფექტურობის გაზრდას, სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაციის გაძლიერებასა და სტანდარტების გაუმჯობესებას. ამის მიზანია, მართვის სტრუქტურის გაუმჯობესება და გაფართოება, მართვის საშუალო რგოლის გაძლიერება და შედეგებზე პასუხისმგებლობის ამოღება.
- XI. კოორდინაციის გაძლიერება გულისხმობს დუბლირების შემცირებას მონაცემთა შეგროვების პროცესში, რაც თავის მხრივ უფრო გააუმჯობესებს სავსელე საშუალებების დაგეგმვასა და მართვას. სადაც შესაძლებელია, უფრო მეტად უნდა იყოს გამოყენებული ადმინისტრაციული მონაცემები. ამის მიზანია სანარმოებზე ანგარიშგების ტვირთის შესუსტება ეკონომიკური კვლევების უკეთესი კოორდინაციისა და მონაცემების ელექტრონული მიღების მეშვეობით.
- XII. ინფრასტრუქტურის განახლება გულისხმობს; შერჩევის ბაზისა და რეგისტრების მოცვისა და სანდოობის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ბიზნეს კვლევებისათვის; ინფორმაციულ ტექნოლოგიებში და საკომუნიკაციო საშუალებებში ინვესტირებას და მათ განახლებას; ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მათ შორის რეგიონებში მდებარე შენობებისა და აღჭურვილობის.
- XIII. საქსტატის თანამშრომლები უმნიშვნელოვანესი რესურსია. სგეს-ი სთავაზობს პროფესიონალ და ნახევრადპროფესიონალ თანამშრომელთა რიცხოვნობის შეზღუდულ გაზრდას და საქსტატისა და სამინისტროებს შორის სახელფასო განაკვეთებში განსხვავების შემცირებას. თუმცა დოკუმენტში გათვალისწინებულია, რომ არსებული ფინანსური სირთულეების პირობებში, ზემოთაღნიშნული ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა შეზღუდულია და უკეთესი შედეგები მიიღწევა თანამშრომელთა მწარმოებლურობის გაზრდის ხარჯზე.
- XIV. გეგმა ყურადღებას ამახვილებს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ ორ საკითხზე. პირველი: საქსტატს უჭირს კვალიფიციური და გამოცდილი კადრების მოზიდვა და შენარჩუნება. მეორე: უნდა იყოს უზრუნველყოფილი სტატისტიკოსთა და ეკონომისტთა პროფესიული უნარების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება და ცოდნის დონის რეგულარულად ამაღლება.

- XV. ბიზნეს გეგმა გვთავაზობს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება საქსტატის კომპეტენციაში შემავალ სფეროებში ხარისხისა და მოცვის გაუმჯობესებისკენ (ეროვნული ანგარიშები, ბიზნეს სტატისტიკა, ფასების სტატისტიკა, საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სოფლის მეურნეობისა და გარემოს, მოსახლეობის, დემოგრაფიისა და სოციალური სტატისტიკა). გეგმით განსაზღვრულია მიზნები, მათ მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებები და საჭირო რესურსები.
- XVI. სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესებას, კერძოდ: მონაცემების გავრცელების მკაფიო და ეფექტური პოლიტიკის არსებობას; ვებ გვერდის მომხმარებელზე ორიენტირებას; სტატისტიკური ბიზნეს პროცესის დოკუმენტირებას და მეტამონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას; მონაცემთა მომხმარებელებთან დიალოგის გაუმჯობესებას; კვლევის და ანალიზის მიზნით მიკრომონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; გონივრული სატარიფო პოლიტიკის დანერგვას.
- XVII. რეგიონული სტატისტიკის და ადგილობრივ დონეებზე მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და გამოყენების გაუმჯობესება წარმოადგენს სვეს-ის მნიშვნელოვან ნაწილს. მიზნად არის დასახული მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესება საქსტატის რვავე რეგიონულ ოფისში და ამ მონაცემების გამოყენება დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის რეგიონულ დონეებზე.
- XVIII. სვეს-ის ნაწილს წარმოადგენს მონიტორინგის დეტალური ჩარჩო, რომელშიც ასახულია მოსალოდნელი შედეგები, პროგრესის შეფასების მაჩვენებლები და ამ ინფორმაციის ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომობის მექანიზმი. ზოგადად, სტატისტიკის სისტემაში მიღწეული პროგრესი შეფასდება მომხმარებელთა კმაყოფილების დონით; სსფ-ის მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისა და მსოფლიო ბანკის სტატისტიკური პოტენციალის მაჩვენებლით.
- XIX. საქსტატი პასუხს აგებს სვეს-ის განხორციელებაზე, და პროგრესის მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე. გათვალისწინებულია საქსტატში მცირე სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც აღმასრულებელი დირექტორის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული.
- XX. 2011-დან 2014 წლამდე სვეს-ის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები შეადგენს 39.7 მილიონ ლარს. ეს თანხა მოიცავს მიმდინარე ხარჯებს, პოტენციალის გაუმჯობესებისთვის საჭირო ინვესტიციებსა და გაუთვალისწინებელ ხარჯებს.
- XXI. ფინანსური გეგმის თანახმად, ზემოთ აღნიშნული ხარჯების 62 პროცენტი დაფინანსებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 6 პროცენტი დაფინანსდება დონორთა მიერ უკვე არსებული პროექტების ფარგლებში, 8 პროცენტი ასევე დონორთა მიერ დაფინანსდება მოსახლეობის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში. ფინანსური დეფიციტი შეადგენს 9.4 მილიონ ლარს, ანუ ფინანსური გეგმით გათვალისწინებული მთელი ხარჯების 24 პროცენტს. შემოთავაზებულია ამ დეფიციტის დაფარვის რამდენიმე ხერხი, კერძოდ: დონორთა მიერ დაფინანსებული ახალი პროექტების მეშვეობით, ერთიანი კალათის პრინციპით (სხვადასხვა დონორების მიერ) სტრატეგიის განხორციელების დაფინანსებით, დონორთა მიერ ბიუჯეტის პირდაპირი მიზნობრივი დაფინანსებით.

შესავალი – საქართველოში სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის (სგეს) მომზადება

საქართველოს სტატისტიკის სიტუაცია

- 1.1 საქართველო მცირე ზომის, საშუალოზე დაბალი (lower-middle) შემოსავლის მქონე განვითარებადი ქვეყანაა. საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე, კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს. დასავლეთიდან მას ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით – რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი, სამხრეთით – სომხეთი და თურქეთი. სახელმწიფოს ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 69 700 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიის მოსახლეობა – 4.4 მილიონ ადამიანს. 1991 წელს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები განიცადა. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მომდევნო ოთხ წელიწადში საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა ძალზე შედეგიანი რეფორმები სახელმწიფო მმართველობაში, ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში, რამაც უზრუნველყო სწრაფი ეკონომიკური ზრდა. 2008-2009 წლებში ქვეყნის მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახა რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. 2010 წლიდან ეკონომიკური ზრდა კვლავ განხლდა, თუმცა საშუალოვადიან პერსპექტივაში სავარაუდოდ საჭირო იქნება ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტების შემდგომი განსაზღვრა და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება.
- 1.2 1991 წლიდან საქართველოში სტატისტიკის სისტემის განვითარება ფაქტობრივად თავიდან დაიწყო; საბჭოთა პერიოდში საქართველოს სტატისტიკა საბჭოთა სტატისტიკის ნაწილს წარმოადგენდა და ცენტრალიზებულად დაგეგმილი ეკონომიკის საჭიროებებს ემსახურებოდა. ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოში სტატისტიკის განვითარება მიზნად ისახავდა საბაზრო ეკონომიკის საჭიროებებზე დაყრდნობით სტატისტიკის სისტემის დამოუკიდებლობისთვის ხელშეწყობას და მის შემდგომ განვითარებას.
- 1.3 1997-2004 წლებში ქვეყანაში სტატისტიკური საქმიანობა 1997 წელს მიღებული „სტატისტიკის შესახებ კანონით“ მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ხორციელდებოდა. 2004 წელს დეპარტამენტი ეკონომიკის სამინისტროს შეუერთდა და მის სტრუქტურაში 2010 წლის თებერვლამდე ფუნქციონირებდა.
- 1.4 2009 წლის დეკემბერში მიღებული იქნა ახალი კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, რომლის საფუძველზე დაარსდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). ახალი კანონი უზრუნველყოფს საკანონმდებლო ბაზას საქართველოში სტატისტიკის შემდგომი განვითარებისთვის, საქსტატისა და ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ შეგროვებული და გავრცელებული მონაცემების მოცვისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

რატომ გახდა საჭირო სვას-ის შემუშავება

- 1.5 2004 წლიდან არსებითი პროგრესი აღინიშნა ეროვნული სტატისტიკის სისტემის პოტენციალისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით (უფრო დაწვრილებით იხ. მეორე თავი). 2010 წლის მაისიდან საქართველო მიუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტს. ამავე დროს მსოფლიო ბანკის სტატისტიკური პოტენციალის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოში სტატისტიკის ეფექტურობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა, მიუხედავად თვალსაჩინო მიღწევებისა, არსებობდა ისეთი სტრატეგიულ დოკუმენტის შექმნის აუცილებლობა, რომელშიც აისახებოდა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და PARIS21-ის რეკომენდაციები. კერძოდ, სვას-ი იმ პრობლემების წინა პლანზე წამოწევს შესაძლებლობას ქმნის, რაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქსტატის და მთლიანად საქართველოს სტატისტიკის სისტემის წინაშე დგას.
- 1.6 ამჟამად, სტატისტიკის სისტემა ფინანსური რესურსების უკმარისობას განიცდის. ამ პირობებში საქსტატს უჭირს თავისი ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო კვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნება. ამავე დროს საქსტატი ვალდებულია შეასრულოს "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" კანონით დაკისრებული ვალდებულებები, მათ შორის აღიაროს სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოებული სტატისტიკა. ოფიციალური სტატისტიკის წარმოება ხორციელდება სტატისტიკის საბჭოს მიერ დამტკიცებული აღიარებული საერთაშორისო ანალოგების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სტანდარტების საფუძველზე. ეს ვალდებულება აკისრებს სტატისტიკის საბჭოს საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის სტანდარტების დანერგვას. ამ სტანდარტების საფუძველზე ჩამოყალიბდება ეროვნული სტატისტიკის სისტემის განვითარების ჩარჩო. ამის განხორციელება თავის მხრივ მოითხოვს აზრთა გაზიარებასა და კონსულტაციებს სტატისტიკური მონაცემების სხვა მწარმოებლებთან. ეს სტრატეგია შექმნილია სწორედ ამ პროცესის ხელშეწყობისთვის.
- 1.7 სვას-ის მომზადება სტატისტიკის განვითარებისა და გაუმჯობესების ახალ შესაძლებლობებს იძლევა, რაც ვერ ხერხდება ფრაგმენტულად, მხოლოდ ცალკეულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებისას. ამ დოკუმენტში გაწერილია საშუალოვადიანი სტრატეგია, რომელიც განიხილავს სტატისტიკის სისტემას მთლიანობაში, მის ინსტიტუციურ და ტექნიკურ მხარეებს და სთავაზობს პრობლემების გადაჭრის ეფექტურ გზებს. სტრატეგია ქმნის აღიარებულ პრიორიტეტებზე აგებულ სტატისტიკის განვითარების ჩარჩოს და სთავაზობს ადგილობრივი და დონორთა რესურსების მობილიზების მექანიზმს. სტრატეგია შექმნილია ტექნიკური და ფინანსური დახმარების კოორდინაციისთვის, იმისთვის, რომ დონორთა დახმარება ეროვნულ პრიორიტეტებს ემსახურებოდეს.

როგორ მომზადდა სტრატეგია

- 1.8 სვას მომზადდა მსოფლიო ბანკის სტატისტიკური პოტენციალის გაუმჯობესების სატრასტო ფონდიდან გამოყოფილი გრანტით. ეს საქმიანობა დაიწყო 2010 წლის ივნისში, როდესაც საქართველოს შესაფასებელი მისია ესტუმრა. მისია ორი საერთაშორისო ექსპერტით იყო წარმოდგენილი. ტექნიკური დახმარების შემდეგი ეტაპი განხორციელდა ორი კონსულტანტის მიერ 2011 წლის იანვრისა და მაისის სამუშაო მისიების ფარგლებში. სამუშაოს ხელმძღვანელობდნენ საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი და მისი მოადგილე, ხოლო მეთვალყურეობას უწევდა საქსტატის საბჭო.
- 1.9 როგორც 2010 წლის ივნისის, ისე 2011 წლის იანვრის მისიების დროს ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობდა საქსტატის თანამშრომლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან: ინფორმაციის მომხმარებლებთან მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კვლევითი ინსტიტუტებიდან, სტატისტიკური ინფორმაციის სხვა მწარმოებლებთან, სტატისტიკით დაინტერესებულ დონორებთან და პირველადი ინფორმაციის ზოგიერთ მომწოდებელთან, კერძოდ, ბიზნეს კომპანიების წარმომადგენლებთან. 2011 წლის 24 მაისს საქსტატის მიერ ორგანიზებული იქნა სემინარი ეროვნულ დონეზე. ამ დოკუმენტში გათვალისწინებულია კომენტარები და რეკომენდაციები, რომლებიც მიღებული იქნა ზემოთაღნიშნული კონსულტაციებისა და სემინარის დროს.

სგეს-ს მოქმედების ვადა და შინაარსი

- 1.10 როგორც ამ დოკუმენტის მეორე თავშია აღნიშნული, საქართველოს სტატისტიკის სისტემის მთავარ უწყებას წარმოადგენს საქსტატი, რომელსაც ევალება მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა მწკრივების წარმოება. სტატისტიკის სისტემა ასევე წარმოდგენილია სხვა სახელმწიფო უწყებებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკით და ფინანსთა სამინისტროთი, რომლებიც ყოველდღიური უფლება-მოვალეობების შესრულებისას აწარმოებენ სტატისტიკურ მონაცემებს. მონაცემთა მომხმარებლებს წარმოადგენენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, მენარმეები, ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები, მედია, დონორები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ასევე, საქართველო ვალდებულია მიაწოდოს ბევრი სახის სტატისტიკური მონაცემი იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებშიც არის განწვრიანებული.
- 1.11 სგეს-ის მიზანია "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე საქართველოს სტატისტიკის მთელი სისტემის განვითარების ჩარჩოს შემუშავება. გათვალისწინებულია, დროთა განმავლობაში მონაცემთა ხარისხის ეროვნულ ჩარჩოზე დაფუძნებული უფრო ინტეგრირებული სტატისტიკური სისტემის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სოციალური, ეკონომიკური და გარემოს სტატისტიკისადმი საერთაშორისო მოთხოვნები და რეკომენდაციები. ჩვენ გვგვსმის, რომ იმ ხედვის განხორციელებისთვის, რომელსაც მეოთხე თავში განვიხილავთ, საჭირო იქნება დროის გარკვეული პერიოდი და სისტემის უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევა.
- 1.12 საქსტატის საბჭოსთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ სგეს-ის პერიოდი განისაზღვრება 2011-დან 2014 წლამდე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია რეალურად შევადგასოთ მდგომარეობა და გავითვალისწინოთ, რისი მიღწევა შეგვიძლია ოთხი წლის განმავლობაში არსებული შესაძლებლობებისა და იმ პრობლემების გათვალისწინებით, რომელთა წინაშე საქსტატი და სტატისტიკის სხვა მწარმოებელი უწყებები იმყოფებიან. ფინანსური და ადამიანური რესურსების უკმარისობის პირობებში (იხ. თავი მესამე) საქსტატმა უნდა შეასრულოს კანონით დაკისრებული ვალდებულებები. შესაბამისად, სტრატეგიის ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს საქსტატის პოტენციალის გაზრდისკენ, იმისთვის რომ საშუალოვადიან პერიოდში მან ხელმძღვანელობა გაუწიოს სტატისტიკის კოორდინირებული და ინტეგრირებული სისტემის განვითარებას.

დოკუმენტის მიმოხილვა

- 1.13 სგეს შედგება შვიდი თავისგან. მომდევნო სამი თავი განიხილავს სტატისტიკის სისტემის მოსალოდნელ განვითარებას მთლიანობაში. მეორე თავი მოიცავს საქართველოში სტატისტიკის სისტემის ახლანდელი მდგომარეობის მოკლე მიმოხილვას და მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას. იმავე თავში განხილულია მომდევნო ოთხ წელიწადში სტატისტიკის სისტემაში სავარაუდო შესაძლებლობები და სირთულეები. მესამე თავში მიმოხილულია ეკონომიკური გარემო, გაკეთებულია საშუალოვადიანი განვითარების ანალიზი და წარმოდგენილია, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს სტატისტიკაზე მოთხოვნა მომდევნო პერიოდში და შესაძლო პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას. მეოთხე თავი ასახავს ჩვენ გრძელვადიან ხედვას და უახლოესი მომავლის პრიორიტეტებს, რომლებიც ჩვენ დავსახეთ.
- 1.14 დოკუმენტის ბოლო ნაწილში (მომდევნო სამი თავი) ასახულია მოსალოდნელი შედეგები და ჩვენი საქმიანობა 2011 წლიდან 2014 წლამდე. დოკუმენტის ეს ნაწილი ყურადღებას ამახვილებს საქსტატზე და, კერძოდ, შეიცავს: დეტალურ სამოქმედო გეგმას მეხუთე თავში; პროგრესის მონიტორინგსა და ანგარიშების მომზადებას მეექვსე თავში; სამოქმედო გეგმის განხორციელებას (ბიუჯეტისა და ფინანსური გეგმის ჩათვლით) მეშვიდე თავში.

ათვის წერტილი – საქართველოს სტატისტიკის მდგომარეობა 2011 წელს

ოფიციალური სტატისტიკის განვითარება საქართველოში

- 2.1 მიუხედავად იმისა, რომ მიწის ფონდის და სოფლის მეურნეობის ამსახველი სტატისტიკა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში 1921 წლამდე არსებობდა, სტატისტიკის როგორც განვითარებისა და ანგარიშგებისთვის აუცილებელი მონაცემების მომწოდებლის განვითარება მხოლოდ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო, ამ დრომდე სტატისტიკური საქმიანობა საქართველოში ეფუძნებოდა საბჭოთა სტანდარტებსა და მეთოდოლოგიებს, ის მოსკოვიდან მიღებული მითითებებით ხელმძღვანელობდა და გეგმიური ეკონომიკის საჭიროებებს ემსახურებოდა.
- 2.2 საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საჭირო გახდა დაკვირვების სტატისტიკური მეთოდების ძირეული შეცვლა და ინფორმაციის მოპოვების ალტერნატიული წყაროების ჩამოყალიბება. კერძოდ, მნიშვნელოვანი იყო განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი მეთოდებისა და მაჩვენებლების შემოღება. სტატისტიკური მონაცემები განსაკუთრებით საჭირო იყო ქვეყანაში მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებებსა და ეკონომიკურ რეფორმებზე დასაკვირვებლად და მათ გასაძღოლად.
- 2.3 დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში სტატისტიკის საქმიანობა ხორციელდებოდა უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) ნაწილის დაქვემდებარებაში არსებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის მიერ. სტატისტიკურ სამუშაოთა სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი "სტატისტიკის შესახებ". 1996 წლის აპრილიდან 1997 წლის ოქტომბრამდე საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სრულყოფის მიზნით სტატისტიკის სახელმწიფო დროებითი კომისია შეიქმნა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის, ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო კანცელარიის პასუხისმგებელი პირები. კომისიის დასკვნის საფუძველზე 1997 წელს მიღებული იქნა ახალი კანონი "სტატისტიკის შესახებ" და შეიქმნა სტატისტიკის დეპარტამენტი. 2004 წელს სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეუერთდა და 2010 წლის თებერვლამდე თავის საქმიანობას ახორციელებდა როგორც ამ სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

საქსტატის დაარსება

- 2.4 სტატისტიკის ორგანიზებაში შემდგომი ცვლილება მოხდა 2009 წლის დეკემბერში, როდესაც მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ". ამ კანონის მიზანია სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე ქვეყანაში დამოუკიდებელი, ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოების უზრუნველყოფა. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნა ამ კანონის საფუძველზე,

ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით და წარმოადგენს სტატისტიკის დეპარტამენტის სამართალმემკვიდრეს.

2.5 საქსტატის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- **პროფესიული დამოუკიდებლობა** – სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება თავისუფალია პოლიტიკური ან/და დაინტერესებული ჯგუფების გავლენისგან;
- **ობიექტურობა** – ოფიციალური სტატისტიკა უნდა ინარჩუნებოდეს პროფესიული და ეთიკური სტანდარტების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს ყველა მომხმარებლისათვის სტატისტიკური მონაცემების თანაბარ ხელმისაწვდომობას;
- **სანდოობა** – სტატისტიკის წარმოება უნდა განხორციელდეს სწორად, ზუსტად და თანამიმდევრულად, რაც გულისხმობს სტატისტიკური სტანდარტების, მეთოდოლოგიისა და რესურსების შესარჩევად მეცნიერული კრიტერიუმების გამოყენებას, აგრეთვე სტატისტიკის წარმოებისათვის გამოსაყენებელი მეთოდებისა და პროცედურების საჭაროობას;
- **სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალურობა** – დაცული უნდა იქნეს დავირების ერთეულთან დაკავშირებული ადმინისტრაციული თუ სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. აკრძალულია ამ ინფორმაციის არასტატისტიკური მიზნით გამოყენება;
- **ეფექტიანობა** – სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯები უნდა იყოს შედეგის მნიშვნელობისა და მიღებული სარგებლის პროპორციული.

2.6 საქსტატის ფუნქციებს განეკუთვნება.

- ოფიციალური სტატისტიკის სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და მის ტერიტორიულ და სტატისტიკის მწარმოებელ სხვა ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა;
- სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და განხორციელება, რომელიც მოიცავს:
 - სტატისტიკური კვლევების ჩატარებას;
 - ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავებას სტატისტიკური მიზნებით;
 - სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების გრაფიკის შემუშავებას და მისი საჭაროობის უზრუნველყოფას;
 - გამოქვეყნებული გრაფიკის მიხედვით სტატისტიკური მონაცემების გავრცელებას და ყველა მომხმარებლისათვის მათი თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
 - საერთაშორისო ანალოგების შესაბამისი სტატისტიკური მეთოდებისა და სტანდარტების შემუშავებას და დანერგვას;
 - მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარებას;
 - ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის მომზადებას;
 - სტატისტიკის ტერიტორიული ორგანოების შექმნას და მათი სამოქმედო არეალის განსაზღვრას;

2.7 საქსტატთან ფუნქციონირებს საქსტატის საბჭო. საბჭო შედგება შვიდი წევრისაგან და საბჭოს თავმჯდომარისგან. საბჭოს სამი წევრი წარმოადგენს ეროვნულ ბანკს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს, რომელთაც თანამდებობაზე პირდაპირ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ უნდა იყოს საჭარო მოსამსახურე. საბჭოს ამ ხუთ წევრს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობით. საქსტატს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ამავდროულად არის საქსტატის საბჭოს თავმჯდომარე. აღმასრულებელ დირექტორს საქსტატის საბჭოს წარდგინებით, საბჭოს წევრთაგან ოთხი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. ახლანდელი საბჭო დაინიშნა 2010 წლის თებერვლიდან 2014 წლის თებერვლამდე.


არსებული მიღწევები

2.8 2004 წელს მსოფლიო ბანკის მიერ შემოღებული იქნა სტატისტიკური პოტენციალის მაჩვენებელი – ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს სტატისტიკური პოტენციალი გაიზარდა 2004 წლის 67

ქულიდან 2010 წლის 94 ქულამდე (მაქსიმუმი 100 ქულა)². თუმცა ეს მაჩვენებელი ეფუძნება მხოლოდ გამოქვეყნებულ ინფორმაციას და არ მოიცავს მომხმარებელთა კმაყოფილების შესახებ ინფორმაციას, ის მაინც სასარგებლოა განვითარებად ქვეყნებში სტატისტიკური პოტენციალის შესახებ. მაჩვენებელი დაფუძნებულია დიაგნოსტიკურ ჩარჩოზე, რომლის მეშვეობითაც ამა თუ იმ ქვეყნის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია ედრება საერთაშორისო სტანდარტებს და რეკომენდაციებს მეთოდოლოგიის, მონაცემთა წყაროების, პერიოდულობისა და დროულობის მიხედვით. შემადგენელი და მთლიანი ქულა 0-დან 100-მდე გამოითვლება ქვეყნის მიხედვით. თუ ქვეყანა შეფასებულია 100 ქულით, ეს ნიშნავს რომ მისი სტატისტიკის სისტემა ყველა კრიტერიუმს შეესაბამება.

2.9 როგორც ეს 2.1 დიაგრამაზე ნაჩვენებია, საქართველოს სტატისტიკური პოტენციალის მაჩვენებელი 6 წელიწადში 40 პროცენტით გაიზარდა, რაც ყველაზე სწრაფი ზრდის მაჩვენებელია ცენტრალური ევროპისა და აზიის რეგიონში და განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

დიაგრამა 2.1 სტატისტიკური პოტენციალი



2.10 სტატისტიკური პოტენციალის ზრდა შეინიშნებოდა სამივე მიმართულებით, თუმცა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წინსვლა მეთოდოლოგიის გაუმჯობესების ხარჯზე მოხდა, განსაკუთრებით ეკონომიკური სტატისტიკის მეთოდოლოგიის, პერიოდულობისა და დროულობის გაუმჯობესების ხარჯზე (იხ. 2.2). ეკონომიკური (განსაკუთრებით მაკროეკონომიკური და ფინანსების) სტატისტიკის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება აისახა 2010 წლის მაისში, როდესაც საქართველო მიუერთდა სსფ-ის მონაცემების გაცრეცილების სპეციალურ სტანდარტს (SDDS). ეს ფაქტი საქართველოს სტატისტიკის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ განვითარების იგივე დონის ბევრ ქვეყანას არა აქვს მიღწეული ეს სტანდარტი. მიუხედავად იმისა, რომ, საქართველო სარგებლობს უფლებით არ დაიცვას წარმოების ინდექსის და შრომის ბაზრის სტატისტიკის პერიოდულობისა და დროულობის სტანდარტები, SDDS-ით გათვალისწინებული სტატისტიკის სტანდარტების ფორმალური მონიტორინგი ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის მომხმარებლებს ხარისხის გარანტიას უქმნის.


საქართველოს სტატისტიკის სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები

2.11 მომხმარებელთა საჭიროებების და კმაყოფილების დონის რაოდენობრივი შეფასების არარსებობის მიუხედავად, ცნობილია, რომ ბოლო დროს მომხმარებლები აღნიშნავენ ოფიციალური სტატისტიკის როგორც მოცვის, ისე ხარისხის გაუმჯობესებას. რამდენიმე არსებული პრობლემის მიუხედავად, ბევრ მომხმარებელს მიაჩნია, რომ ძირითადი მონაცემების სანდოობა, სიხშირე და პერიოდულობა გაუმჯობესებულია.

2.12 2.1 ცხრილში მოტანილია საქართველოს სტატისტიკის სისტემის უკანასკნელი პერიოდის შეფასებების ძირითადი ელემენტები, რომელიც დაფუძნებულია სსფ-ის მონაცემთა ხარისხის შეფასების მექანიზმზე

² დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://go.worldbank.org/1D3D45EV11>

დიაგრამა 2.2 სტატისტიკური პოტენციალის კომპონენტები, საქართველო



(IMF's Data Quality Assessment Framework (DQAF))³. ამ ცხრილის მეხუთე სვეტში ჩამოთვლილია სტრატეგიული საკითხები, რომლებიც ამ დოკუმენტში უნდა იყოს განხილული.

- 2010 წლის ნოემბერში პროექტის იდენტიფიკაციის ფარგლებში შედგენილი შვედეთის სტატისტიკური ბიუროს მისიის ანგარიში.
- 2010 წლის ამ სტრატეგიის მომზადების ფარგლებში ვილემ დე ვრისის (Willem de Vries) და ჰერმან ჰაბერმანის (Hermann Habermann) ანგარიში.
- “ქვეყნის ანგარიში” მომზადებული საქსტატისა და ევროსტატის თანშრომლობის ფარგლებში.

2.13 შეფასებების შედეგად აღმოჩენილია სტატისტიკის სისტემის ზოგადი ძლიერი მხარეები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის ხარისხი და მოცვა, ასევე 2010 წელს SDDS-ში განვერდიანება ნათლად აჩვენებს ამ სტანდარტების დაცვის ვალდებულებას. სხვა ძლიერი მხარეები მოიცავს საქსტატის დაარსებას, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ სტატისტიკურ სააგენტოს და ოფიციალური სტატისტიკის სანდოობის გარანტს. ამავე დროს, საქართველოს საშუალება მიეცა მიეღო დონორთა მიერ გაწეული ფინანსური და ტექნიკური დახმარება. მოსალოდნელია ამ დახმარების გაგრძელება სულ ცოტა საშუალოვადიან პერიოდში. ჩამოყალიბებულია ძლიერი სტრუქტურა საქსტატის ლიდერობით და არსებობს ერთი მხრივ ცვლილებისკენ სწრაფვა და მეორე მხრივ – სტრატეგიული მიმართულების შექმნის შექანაზში.

2.14 სუსტ მხარეებს მიეკუთვნება ფინანსური და ადამიანური რესურსების უკმარისობა და მოსახლეობის მომდევნო აღწერის დაფინანსებასთან დაკავშირებული გაურკვეველობა. თუმცა, საქართველოს სტატისტიკაში არსებული პრობლემები დამახასიათებელია საქართველოს განვითარების დონის სხვა ქვეყნებისთვისაც. შესაბამისად, სტრატეგიის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს პრობლემების გამოვლენისკენ. ჩვენ უნდა გამოვანახოთ ამ პრობლემების გადაჭრის რეალისტური გზები და ყურადღება გავამახვილოთ დასმულ პრიორიტეტებზე. ძირითადი პრობლემები მოიცავს: სუსტ ინფრასტრუქტურას, არასაკმარის ვერტიკალურ მენეჯმენტს, საქსტატის ადგილობრივი სამსახურების დაბალ არაეფექტურობას და სტატისტიკური ინფორმაციის სიმცირეს ადგილობრივ დონეზე.

რისკები და შესაძლებლობები

2.15 საქსტატის, როგორც დამოუკიდებელი, ძლიერი უფლებამოსილებით აღჭურვილი სააგენტოს დაარსება წარმოადგენს საქართველოში სტატისტიკის განვითარებისკენ მიმართულ უმნიშვნელოვანეს მიღწევას და მისი შემდგომი განვითარების საფუძველს. ეს ასევე გამოხატავს მთავრობის მზადყოფნას, განავითაროს სტატისტიკის სისტემა გავრცელებული ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებისა⁴ და ევროპის სტატისტიკის ნორმების კოდექსის შესაბამისად⁵. საქართველოს შესაძლოა დაჭირდეს

³ ამ შექანაზის გამოყენებით მონაცემების ხარისხი ფასდება ამა თუ იმ ქვეყნის სტატისტიკის პრაქტიკის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან, მათ შორის მეთოდოლოგიის, შედარებით.

⁴ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://unstats.un.org/unsd/dnss/gp/fundprinciples.aspx>.

⁵ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/quality/introduction>.

რამდენიმე წელიწადი განვითარებული ქვეყნების დონის მისაღწევად, მაგრამ ამის საფუძველი უკვე ჩაყრილია. "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" კანონის შესაბამისად, სტატისტიკური სამუშაოების წლიური სახელმწიფო პროგრამა მტკიცდება პრეზიდენტის ნორმატიული აქტით. ეს პროგრამა მოიცავს სტატისტიკის მთელ სისტემას, განსაზღვრავს ოფიციალური სტატისტიკის ინფორმაციის წყაროებს, მონაცემთა შეგროვებას და ოფიციალური სტატისტიკის გავრცელებას.

- 2.16 მნიშვნელოვანია ისიც, რომ მთავრობა აღიარებს სტატისტიკის მნიშვნელობას არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებისა და რესურსების განაწილებისთვის, არამედ კერძო სექტორის ეკონომიკური აქტივობის განვითარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის. არსებობს იმის ნიშნები, რომ მთავრობა მაღალი რანგის მოხელეები აღიარებენ სტატისტიკის სისტემის ეფექტურობისა და ეფექტიანობის აუცილებლობას, როგორც ბაზრის გამართული მუშაობის, ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.
- 2.17 სტატისტიკის განვითარების ძირითადი საშუალოვადიანი რისკი დაკავშირებულია ეკონომიკის მდგომარეობასთან და ფისკალური კორექტირების სახელმწიფო პროგრამის შედეგებთან, რომლებმაც დამოკიდებულია საქსტატის და მთლიანად სტატისტიკის სისტემის ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ოდენობა. როგორც აღნიშნულია ამ დოკუმენტის მესამე თავში, მაშინაც კი, როდესაც იწყება ეკონომიკური ზრდა, სხვა მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსად საქართველო გარე შოკებისგან დაუცველი რჩება. მთავრობის ეკონომიკური პროგრამა მიმართულია საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებისკენ, რაც გულისხმობს მომდევნო ორი-სამი წლის ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების კორექტირებას. ამ გარემოების გათვალისწინებით აუცილებელი იქნება სტატისტიკის საქმიანობისათვის გამოყოფილი სახსრების რეალური ზრდის პრევენციის შექმნა და იმის ჩვენება, რომ საქსტატი და ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი სხვა უწყებები ყველა ღონეს ხმარობენ ხარჯთაღმწიფებლობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის.
- 2.18 სხვა რისკების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მომხმარებელთა ფართო წრეებში საქსტატის მონაცემებისადმი ნდობის ამაღლებისთვის ხელშეწყობა. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის სტატისტიკის აუცილებლობა უდავოა, თუმცა უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო საქსტატის, როგორც ოფიციალური სტატისტიკის სანდო მწარმოებლის როლის განმტკიცებისათვის. ინფორმაციაზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად საჭირო გახდება სანდოობის განმტკიცება ოფიციალური სტატისტიკის დანარჩენი მწარმოებელი უწყებებისთვისაც. ვინაიდან საქსტატი კონკურენტული გარემოს გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, საჭირო იქნება მისი სახელის ("ბრენდის") ყურადღებით განვითარება. გამოცდილ მომხმარებლებთან ერთად, რომლებიც წარმოდგენილია მთავრობაში და აკადემიურ წრეებში, არსებობს ასევე მომხმარებელთა უფრო ფართო ჯგუფი, მათ შორის მედია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სხვა ჯგუფები, რომლებსაც არ გააჩნიათ სტატისტიკის მონაცემთა გამოყენების საკმარისი გამოცდილება. ამ მომხმარებლებს სტიმულებით დახმარება და მხარდაჭერა, რომ მათ შეძლონ სტატისტიკის ეფექტურად გამოყენება.
- 2.19 საშუალოვადიან პერსპექტივაში საქსტატმა უნდა განავითაროს კომუნიკაციის და მონაცემთა გავრცელების სტრატეგია, რომელიც მას საშუალებას მისცემს ადვილად გამოსაყენებელი და გამოსადეგი ფორმით მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია, რაც თავის მხრივ საქსტატს მონაცემთა სანდო მიმწოდებლის სახელს შეუქმნის. ამისათვის საჭირო იქნება სტატისტიკის მონაცემთა ანალიზის, ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციის უნარების განვითარება, ისევე როგორც მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების გაუმჯობესება. აღნიშნული სტრატეგია უნდა ითვლისწინებდეს ახალი ტექნოლოგიების უპირატესობების გამოყენებასა და სხვა უწყებებთან პარტნიორობის განვითარებას.

დონორთა მიერ სტატისტიკის მხარდაჭერა და პოტენციალის განვითარება

- 2.20 უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო იღებს მნიშვნელოვან ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას, რომელიც მიმართულია სტატისტიკის განვითარებისკენ. 2.2 ცხრილში მოცემულია ინფორმაცია საქსტატის მიერ ბოლო წლებში მიღებული და 2011 წლის გეგმით მისაღები დახმარება. ყველა ძირითადი დონორი ჩართული იყო სვეს-ის მომზადების პროცესში და ისინი მზად არიან კოორდინირებულად გააგრძელონ დახმარება.

ცხრილი 2.1. საქართველოს სტატისტიკის სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება

	შვედეთის სტატისტიკის სააგენტოს ანგარიში	დე კრისისა და ჰამბურგის ანგარიში	”ქვეყნის ანგარიში”	კომენტარები და დასკვნები
ხარისხის უზრუნველყოფისათვის საჭირო წინაპირობები				
სამართლებრივი სივრცე	კანონი უზრუნველყოფს საქმიანობის უფლება-მოსილებას	აღიარებულია საქსტატის უფლებამოსილებები დაწინაურებული საბჭო	ახალ კანონში გათვალისწინებულია ევროსტატის და გაეროს UNECE-ის რეკომენდაციები	საჭიროა, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა იცოდნენ და ესმოდეთ კანონი
რესურსები	კადრების ნაკლებობა პერსონალი აღკვეთურად არის გადაზიდული, მაგრამ საჭიროა ახალი ცოდნის შექმნა	უცხოური დახმარება მიიღება, მაგრამ რამდენიმე სახის საქმიანობაში შეინიშნება დამოკიდებულება დონორებზე საქსტატის განიცდის დაფინანსების სისტემატურ ნაკლებობას ზოგიერთი სპეციფიკური უნარის ნაკლებობა საინფორმაციო ტექნოლოგიების განახლების აუცილებლობა	ბიუჯეტის ავტონომიურობის და ბიუჯეტის გამართის პრობლემა ბიუჯეტი ზოგჯერ არ გამოიყოფა დამტკიცებული თანხის ფარგლებში შემუშავებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გრძელვადიანი სტრატეგია ევროკავშირის (TACIS) დახმარებით ტექნიკური აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. ცენტრსა და რეგიონებს შორის ბიუჯეტის განაწილების პრობლემა	საჭიროა სტრატეგიათა შესაბამისად საინფორმაციო ტექნოლოგიების განახლება თანამშრომლების ცოდნა და უნარები უნდა შეესაბამებოდეს პროიტივულ ამოცანებს რესურსების განაწილება უნდა შეესაბამებოდეს პროიტივულ ამოცანებს
შესაბამისობა	ყოველსომეფელი შეფასება არ არის გაკეთებული	პროიტივული, დასახულია დონორთა მიერ, განსაკუთრებით კვლევის პროგრამებში	მოხმმარებლებთან ინტენსიური და გულწრფელი თანამშრომლობა	მომდევრო ითხი ნლისთვის მონაცემთა წარმონებში პროიტივულ შეთანხმება.
ხარისხის მართვა	მეთოდოლოგიის სამართლებრივი განიცდის კადრების და რესურსების ნაკლებობას	მოხმმარებლებთან ინტენსიური და გულწრფელი კავშირი შემუშავებულია	ინტენსიური და გულწრფელი თანამშრომლობა	მოხმმარებლები აღნიშნავენ მონაცემთა ხარისხის გარკვეულ გაუმჯობესებას. აუცილებელია საქსტატისა და მონაცემთა მონმარებლებს შორის ინტენსიური კომუნიკაციის გაძლიერება

	შვედეთის სტატისტიკის სააგენტოს ანგარიში	დე კრისისა და ჰაბმბანის ანგარიში	"ქვეყნის ანგარიში"	კომენტარები და დასკვნები
სტატისტიკის უზრუნველყოფა				
პროფესიონალიზმი	სერიოზული პრობლემა არ გამოვლენილა	დამოუკიდებელი სტატისტიკის არსებობის მცირეხნიანი კულტურა და ტრადიცია	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	საგარეუდოდ საჭირო იქნება პროფესიონალ მრჩეველთა საბჭო
ბაზმირება	საჭიროა ძირითადი სტატისტიკური მონაცემების წარმოების მეთოდების განახლება და მეთოდებისა და პროცესების დოკუმენტირება	ხელმძღვანელობის უწყვეტობის პრაქტიკის ნაკლებობა	ყველა მომხმარებელი ერთდროულად იღებს მონაცემებს	საჭიროა მომხმარებელთა კმაყოფილების რეგულარული შესწავლა
ეთიკური სტანდარტები	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	საჭიროა მეთოდებისა და პროცედურების უფრო სისტემატური დოკუმენტირება
მეთოდოლოგია				
კონსტრუქციული და ბანარტები	შეესაბამება საერთაშორისო რეკომენდაციებს, მაგრამ საჭიროებს განახლებას ზოგიერთ სფეროში	საჭიროა საერთაშორისო რეკომენდაციების მორგება ადგილობრივ სიტუაციასთან	ძირითადად შესაბამება ევროკავშირის რეკომენდაციებს და პრაქტიკას	ზოგიერთ სფეროში საჭიროა განახლება
ფარგები	დაუკვირვებელი ეკონომიკის მოცვის პრობლემა	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	დაუკვირვებელი ეკონომიკის მოცვის პრობლემა	შედეგით პროექტის ფარგლებში
ბაზმირება და კლასიფიკაციები	შეესაბამება საერთაშორისო რეკომენდაციებს, მაგრამ საჭიროებს განახლებას ზოგიერთ სფეროში	საჭიროა ადგილობრივ სიტუაციამ საერთაშორისო კლასიფიკაციების მორგება	კლასიფიკაციები ძირითადად ეფუძნება ევროკავშირისა და საერთაშორისო რეკომენდაციებს	საჭიროა რამდენიმე სფეროში განახლება შედეგით პროექტის ფარგლებში
ჩანაწერი საფუძვლი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	

სიზუსტი და სანდოობა	შვედეთის სტატისტიკის სააგენტოს ანგარიში	დე კრისისა და ჰაბმრანის ანგარიში	”ქვეყნის ანგარიში”	კომენტარები და დასკვნები
მონაცემთა წყარო	საქსტატისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების არარსებობა, რამაც მომავალში შეიძლება შექმნას სირთულეები	საქსტატის 2013 წელს მოსახლეობის აღწერის ჩატარება	დაუკვირვებელი ეკონომიკის პრობლემა	აუცილებელია მონაცემთა წყაროსთან ხელმისაწვდომობის გაზრდა და სხვა უწყებებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება
მონაცემთა შეფასება	რამდენიმე სპეციფიკური საკითხი გამოვლენილია	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	აუცილებელია მონაცემთა წყაროსთან ხელმისაწვდომობის გაზრდა და სხვა უწყებებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება
სტატისტიკური ხარისხი	საჭიროა შერჩევის, სენსორული შესწორების და სხვა ხერხების გამოყენების უნარების გაუმჯობესება	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	შედეგითი პროექტის ფარგლებში
მონაცემთა კონტროლი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	
მონაცემთა გადაინვა	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	

	შვადრეთის სხატისტიკის საბაზისი ანგარიში	დე კრისისა და ჰაბარბანის ანგარიში	"ქვეყნის ანგარიში"	კომენტარები და დასკვნები
გამოყენებადობა				
პარიტეტული და დრეტული	რამდენიმე სპეციფიკური საკითხი გამოვლენილია	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის მომხარეებელთა აზრი გახატავალიწინებელია
შეთანხმებულობა	რამდენიმე სპეციფიკური საკითხი გამოვლენილია	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	საჭიროა სტატისტიკის სხვადასხვა მხარეების მიერ წარმოებული მონაცემების ურთიერთშეთანხმებული
გადასინჯვა	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	მცირე მსჯელობა სფი-ს აქტუალიზების თაობაზე	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	საჭიროა გადასინჯვის ფორმალური პოლიტიკის შემუშავება
ხელმისაწვდომობა				
მონაცემები	საჭიროა ინფორმაციის ფასიანი გავრცელების პოლიტიკა	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	ოფიციალური ვებ გვერდი 2002 წლიდან არსებობს, 2006 წელს ახალი დიზაინი გაკეთდა მონაცემთა გამოყენების კალენდარი გამოქვეყნებულია საჭიროა მარკეტინგის მკაფიო სტრატეგიის შემუშავება	პოლიტიკისა და პრაქტიკის ახალ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სხვა სააგენტოებთან თანამშრომლობით საკითხის შემდგომი ანალიზი და კვლევა საჭიროა მიკრო მონაცემების ხელმისაწვდომობის და გამოყენების გაუმჯობესება კონფიდენციალულობის დაცვის პირობებით
მთავრდება	საჭიროა დოკუმენტების გაუმჯობესება	მეთოდებისა და პროცედურების შემუშავებული დოკუმენტირება	მნიშვნელოვანი პრობლემები არ არის გამოვლენილი	საჭიროა მომხმარებლებისთვის მებრუნაციების ხელმისაწვდომობის და მათ შესახებ ცოდნის დონის გაზრდა

ცხრილი 2.2. საქსტატისთვის დონორთა მიერ განხორციელებული დახმარება, 2010–2011 წწ.

დონორი /სააგენტო	დახმარების ტიპი	თანხა ან ღირებულება	დეტალები
მსოფლიო ბანკი	ტექნიკური და ფინანსური დახმარება	280 ათასი აშშ დოლარი	სატრასტო ფონდი – სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის მომზადების მხარდაჭერისათვის
ათასწლეულის განმეგვის პროგრამა	ტექნიკური და ფინანსური დახმარება	2 მილიონი აშშ დოლარი 2008-2011 წწ. (მათ შორის დამატებით 239 ათასი დოლარი)	2011 წ. საერთაშორისო შედარებების პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის მხარდაჭერა პროგრამული უზრუნველყოფის და ტექნიკური აღჭურვილობის შექმნა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მხარდაჭერა თანაშრომელთა ტერენინგი
შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარება (SIDA)	ტექნიკური და ფინანსური დახმარება	2.3 მილიონი აშშ დოლარი	გრძელვადიანი მრჩეველი – პროექტის მენეჯმენტი მოკლევადიანი ტექნიკური დახმარება სტატისტიკური მეთოდების, ეროვნული ანგარიშებისა და ფასების სტატისტიკის განვითარებისათვის, საჭიროების შემთხვევაში დახმარების სხვა სფეროებში განხვევა, სულ გათვალისწინებულია (45 მისია) სასწავლო ტურები
ნიდერლანდები	ტექნიკური და ფინანსური დახმარება	200 000 ევრო (შეთავაზებული თანხა)	პროექტი დაეხმარება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევის განვითარებას
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია	ტექნიკური დახმარება	–	მიგრაციის სტატისტიკის განვითარებისათვის საჭირო რჩევები
აშშ საერთაშორისო დახმარების სააგენტო და "World Learning"	ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფა	–	ფასების სტატისტიკისათვის საჭირო პორტაბელი კომპიუტერების შეძენა

დღენდორი /საბაგენტი	დახმარების ტიპი	თანხა ან ღირებულება	დეტალები
ევროკავშირი	ტექნიკური დახმარება და ტრენინგი	-	ექსპერტების მხარდაჭერა ეროვნული ანგარიშების, ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მხარდაჭერა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მეშვეობით სასწავლო ტურები
გაეროს განვითარების პროგრამა	ტექნიკური დახმარება	-	რჩევები შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის თაობაზე
გაეროს მოსახლეობის ფონდი	ტექნიკური დახმარება	-	გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის გამოყენება მოსახლეობის აღწერისას მოსახლეობის აღწერის მომზადების რჩევა
აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი	აღჭურვილობის უზრუნველყოფა და ტექნიკური დახმარება	-	სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მხარდაჭერა
სსფ	ტექნიკური დახმარება და თანაშემწეობა გადაამზადება	-	მაკროეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის კუთხით SDDS-თან მიერთების მხარდაჭერა

გარემო, რომელშიც ვმუშაობთ

- 3.1 იმისათვის, რომ შევიმუშავოთ სტატისტიკის განვითარების რეალისტური და თანმიმდევრული სტრატეგია, მნიშვნელოვანია გვესმოდეს ის გარემო, რომელშიც ჩვენ ვმუშაობთ და ის სირთულეები, რომლებიც გავლენას მოახდენენ ჩვენ საქმიანობაზე საშუალოვადიან პერიოდში. საქართველოს სტატისტიკის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს მომხმარებელთა მოთხოვნებს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ არსებული რესურსებიც. სტატისტიკის სისტემის ფუნქციონირება უმეტესად ფინანსდებოდა და მომავალშიც დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თუმცა, შესაძლებელია დაფინანსების გაზრდა ზოგიერთი საქმიანობიდან. ჩვენ ასევე მოვლით, რომ ჩვენი პარტნიორები, რომლებიც ხელს უწყობდნენ საქართველოში სტატისტიკის განვითარებას, გააგრძელებენ დახმარებას, თუ მთავრობის მიერ დასახული იქნება სტატისტიკის განვითარების მკაფიო სტრატეგიული პრიორიტეტები.
- 3.2 სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნა რამდენიმე ფაქტორით იქნება განპირობებული, რომელთა შორის არის მთავრობის ეკონომიკური სტრატეგია, საქართველოს სტატისტიკის წარმოების და გავრცელების რეგიონალური და საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება სხვადასხვა თემაზე სტატისტიკური მონაცემების მიწოდებასთან და ყველა მოქალაქის კეთილდღეობის ამაღლებასთან და ჩვენი რესურსების მდგრადობასთან. ამავე დროს, ჩვენი საქმიანობის გაფართოება განპირობებული იქნება ფინანსური რესურსების მისაწვდომობით (განსაკუთრებით მიმდინარე და კაპიტალური ხარჯებით), ჩვენი შესაძლებლობებით მოვიზიდოთ და შევინარჩუნოთ კვალიფიციური კადრები და იმით, თუ რამდენად ეფექტიანი და ხარჯ-ეფექტური იქნება ჩვენი საქმიანობა.
- 3.3 დოკუმენტის ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ჩვენი სამუშაო გარემოს სხვადასხვა ასპექტს და განვსაზღვრავთ პრობლემებს, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით. ეს თავი მოიცავს საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვას, მთავრობის მიერ დასახულ პრიორიტეტებს, პარტნიორების მიერ გაწეულ მხარდაჭერას და სტატისტიკაზე სავარაუდო ცვალებად მოთხოვნას.

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

- 3.4 საქართველო მცირე ზომის და შედარებით მწირი ბუნებრივი და მინერალური რესურსების მქონე ქვეყანაა, რომელიც ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს. საქართველო სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, შედარებით სტაბილური გახდა 1990-იანი წლების ბოლოს. 2003 წელს მომხდარი "ვარდების რევოლუციის" შედეგად ქვეყანაში გატარდა ღრმა ეკონომიკური, სოციალური და მმართველობითი რეფორმები. ამის შედეგად ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა კორუფცია და გაუმჯობესდა ბიზნეს გარემო. მსოფლიო ბანკის შეფასებით საქართველო ბიზნესის კეთების (Doing Business) რეიტინგში 2006 წლიდან 2009 წლამდე 112-ე ადგილიდან მე-15 ადგილზე გადავიდა .
- 3.5 რეფორმების შედეგად მიღწეული ეკონომიკური ზრდა 2004 წლიდან 2008 წლის ივლისამდე საშუალოდ 9 პროცენტს შეადგენდა. რეფორმების ფარგლებში მთავრობამ შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა მცირე ზომის, მაგრამ ეფექტური სახელმწიფო სექტორის მხარდაჭერით დინამიური კერძო სექტორის ჩამოყალიბებას, რომელიც ინვესტიციების, ეკონომიკური ზრდის და დასაქმების მთავარი წყარო იქნებოდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2000-2004 წლების საშუალოდ 250 მილიონი აშშ დოლარიდან 2007 წელს 1.7 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკის რესტრუქტურირებაში და სტიმული მისცა მის ზრდას.

- 3.6 2008 წლის აგვისტოში მომხდარ შეიარაღებული კონფლიქტი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე. კონფლიქტის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა ქვეყნის ინფრასტრუქტურა, გაიზარდა ქვეყნის საინვესტიციო რისკი და შემცირდა ინვესტორთა ნდობა. ახალი კრედიტების გაცემა შეწყდა, უცხოურ სესხებსა და პირდაპირ ინვესტიციებს კი, რომლებიც ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ, საფრთხე დაემუქრა. სახელმწიფო ფინანსების სექტორში მკვეთრად დაეცა შემოსულობების დონე და ამავე დროს გაიზარდა დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისა და სოციალური დახმარებისკენ მიმართული ხარჯები.
- 3.7 მიუხედავად იმისა, რომ 2010 და 2011 წლებში ქვეყანაში ეკონომიკის რეალური ზრდა მიღწეული იქნა, ეკონომიკის მდგომარეობა მაინც არამდგრადი დარჩა. (იხ. ცხრილი 3.1).. სსფ-ის მიერ 2008 წლის სექტემბერში გამოყოფილი დახმარება 1.15 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით, მიმართული იყო ინვესტორთა ნდობისა და საერთაშორისო რეგერვების აღსადგენად. მთლიანი საერთაშორისო რეგერვები 2008 წლის 1.48 მილიარდი აშშ დოლარიდან (2.4 თვის იმპორტის დაფინანსება) 2010 წელს გაიზარდა 2.20 მილიარდ აშშ დოლარამდე (4.5 თვის იმპორტის დაფინანსება). 2010 წელს ეკონომიკის ზრდამ 6.4 პროცენტი შეადგინა, რაც გამომწვეული იყო მრეწველობის და მშენებლობის, აგრეთვე ტრანსპორტის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესის ზრდით. მნიშვნელოვანი ზრდა აგრეთვე შეინიშნებოდა ექსპორტის დარგებში, ტურიზმში, საბანკო სესხების გაცემასა და სახელმწიფო ინვესტიციებში. 2010 წელს ფისკალური დეფიციტი 3 პროცენტით შემცირდა წინა წელთან შედარებით.

ცხრილი 3.1: ეკონომიკის მაჩვენებლები, 2006-2010 წწ.

	2006	2007	2008	2009	2010
	ფაქტობრივი				წინასწარი
წარმოება და ფასები					
მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი) ⁶	1 680	2 090	2 460	2 540	2 700
უმუშევრობის დონე (%)	13.6	13.3	16.5	16.9	16.3
სფი	8.8	11.0	5.5	3.0	11.2
მშპ ზრდა (%)	9.4	12.3	2.3	-3.8	6.4
მთლიანი ეროვნული დანაზოვი	15.7	12.6	4.3	3.8	7.1
ინვესტიციები/მშპ (%)	30.9	32.2	27.0	15.0	17.1
სახელმწიფო ფინანსები	პროცენტობით მშპ-სთან თუ სხვა რამ არ არის მითითებული				
შემოსავლები და გრანტები	27.9	29.3	30.7	29.3	28.5
საგადასახადო შემოსავლები	19.2	21.6	24.9	24.4	23.4
ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	29.8	34.0	37.0	38.4	35.2
მიმდინარე	22.2	25.0	28.5	30.1	26.3
კაპიტალური და წმინდა დაკრედიტება	7.6	9.0	8.6	8.4	8.9
ფისკალური ბალანსი	2.7	0.3	-2.0	-6.5	-4.5
საგარეო სექტორი					
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-15.1	-19.8	-22.8	-11.2	-9.6
საქონლის და მომსახურების ექსპორტი	32.9	31.3	28.8	29.8	34.8
საქონლის და მომსახურების იმპორტი	56.9	58.2	58.6	48.9	52.3

⁶ მსოფლიო ბანკის ატლასის მეთოდის მიხედვით.

	2006	2007	2008	2009	2010
	ფაქტობრივი				წინასწარი
საერთაშორისო რეზერვები (მილიონი აშშ დოლარი)	931	1 361	1 480	2 110	2 264
სახელმწიფო საგარეო ვალი	21.9	17.6	21.0	31.4	33.8
იმპორტი	56.9	58.2	58.6	48.9	52.3
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი)	1 190	2 015	1 564	658	815
საერთაშორისო რეზერვები (მილიონი აშშ დოლარი)	931	1 361	1 480	2 110	2 264
სახელმწიფო საგარეო ვალი	21.9	17.6	21.0	31.4	33.8

- 3.8 2011 წლის აპრილში საქართველომ წარმატებით განათავსა ვერობონდები კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე, რაც თავის მხვრივ საქართველოს მიმართ ინვესტორთა მაღალი ნდობის ნიშანია. 2011 წლის აპრილში საქართველომ გამოუშვა ახალი ათწლიანი ვერობონდები, ემისიის მოცულობამ 500 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა 6.875 პროცენტი კუპონის განაკვეთით და 7.125 პროცენტი წლიური შემოსავლით. ამ ვერობონდებზე მოთხოვნამ (2.66 მილიონი აშშ დოლარი) ხუთჯერ და მეტად გადააჭარბა მიწოდებას. ამ ემისიის ხარჯზე დაფარული იქნა იგივე მოცულობის ვერობონდების წინა გამოშვების 83 პროცენტი (417 მილიონი აშშ დოლარი). ამით საქართველომ წარმატებით და უმტკივნეულოდ დაფარა საგარეო ვალის გარკვეული ნაწილი.
- 3.9 მიღწეული პროგრესის მიუხედავად, 2010 წელს მიღებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მშპ-ის მხოლოდ 7 პროცენტი შეადგინა (12 პროცენტი 2008 წელს). ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ კრიზისის შემდგომ პერიოდში ძალს იკრებს ეკონომიკური ზრდის ფუძემდებლური ფაქტორები – შიდა კერძო ინვესტიციები და საბაზრო სექტორი. დანაზოგებისა და ინვესტიციების მაჩვენებლები 2010 წელს უმნიშვნელოვნოდ გაიზარდა. 2011 წლის მარტში წლიურმა ინფლაციამ 14 პროცენტი შეადგინა, მაშინ როდესაც 2009 წლის იგივე მაჩვენებელი 3 პროცენტს შეადგენდა. ინფლაციის მაღალი დონე ძირითადად განპირობებული იყო საერთაშორისო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის გაძვირებით.
- 3.10 ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტის და შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის განახლების შესაძლებლობა, გლობალური ეკონომიკური და ბუნებრივი კრიზისების საფრთხე ეკონომიკურ რისკს ზრდის. სურსათისა და კომუნალურ მომსახურებაზე ფასების ზრდა სოციალურ პრობლემებს ამწვავებს. თუმცა, ამავე დროს გლობალური მოთხოვნის მიმდინარე აღდგენა საქართველოს ეკონომიკის აღდგენასაც უწყობს ხელს. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების და სხვა კერძო კაპიტალის ნაკადების შესუსტების მიუხედავად 2010 წელს საქართველომ შეძლო მშპ-ის 7 პროცენტის ტოლი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოეზიდა. სსფ-ის პროგრამა და სავალუტო რეზერვების სტაბილურობა შეიძლება ჩაითვალოს პოზიტიურ ფაქტორად. ბანკების მიერ საკრედიტო განაკვეთების შემცირების კვალობაზე მოსალოდნელია ქვეყნის შიდა ინვესტორების ნდობის ზრდაც.
- 3.11 ეკონომიკური მდგომარეობა სტატისტიკურ სისტემას გარკვეულ მნიშვნელოვან წინაპირობებს უქმნის. პირველ რიგში, სტატისტიკური ინფორმაცია კვლავ საჭიროა როგორც მთლიანად ეკონომიკაზე, ისე მის ცალკეულ ნაშევან სექტორებზე დაკვირვებისათვის. არსებობს, აგრეთვე, შოკებისა და ეკონომიკასა და მოსახლეობის მგრძობიარე ჯგუფებზე მათი გავლენის შესახებ ინფორმაციაზე მოკლევადიან მოთხოვნაზე რეაგირების პოტენციალის საჭიროება. ვინაიდან საქართველოს ეკონომიკა ღია ტიპისაა, საჭიროა ეკონომიკის მონიტორინგი რეგიონალურ და გლობალურ ჭრილში და საქართველოს ეკონომიკური სტატისტიკა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. მეორე: ფისკალური კორექტივების პოლიტიკის გაგრძელება ნიშნავს იმას, რომ სტატისტიკის საქმიანობის დაფინანსების გაზრდის შესაძლებლობა ფრიად შემზღვეულია და როგორც მიმდინარე, ისე კაპიტალური ხარჯების ზრდის აუცილებლობა უნდა იყოს მკაფიოდ დასაბუთებული. მესამე – სტატისტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესებზე ბიუროკრატიული წნეხის შემსუბუქებას ბიზნეს სექტორიდან ინფორმაციის მიღების აუცილებლობის შემცირებით და მთავრობისგან ამ წნეხის მინიმუმამდე დაყვანით.

სტატისტიკურ მონაცემებზე არსებული და მოსალოდნელი მოთხოვნა

- 3.12 საქართველოს მთავრობა საქსტატისა და სტატისტიკის მწარმოებელი სხვა უწყებების მიერ წარმოებული ინფორმაციის ძირითადი მომხმარებელია. სტატისტიკური მონაცემები ჭირდება ხელისუფლების როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ უწყებებს გადაწყვეტილების მიღებისათვის. ქვემოთ მოტანილია მთავრობის მიერ სტატისტიკის გამოყენების მაგალითები (Scott, 2005):
- გადაუდებელი პრობლემების იდენტიფიცირება და საპასუხო ნაბიჯების გადადგმა;
 - პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება და პოლიტიკური ნაბიჯების მხარდაჭერა;
 - პროგრნოზირება ან გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგების შეფასება;
 - პოლიტიკის განხორციელების და მომსახურების მიწოდების მონიტორინგი;
 - სხვადასხვა პოლიტიკისა და პროგრამების შეფასება
- 3.13 საქართველოს მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები 2011-2014 წლებისთვის წარმოდგენილია მთავრობის საშუალოვადიან პრიორიტეტებში – ძირითად მიზნებსა და მიმართულებებში (იხ. ჩანართი 3.1). თუმცა ეს პრიორიტეტები არ განსაზღვრავს რაიმე მაჩვენებლებს, მაგრამ მათში ზოგადად არის მითითებული მოთხოვნა ძირითად მონაცემებზე. მონაცემები აუცილებელია ეკონომიკური საქმიანობის მონიტორინგისთვის, სამუშაო ადგილების შექმნის აღრიცხვისთვის, ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განსაზღვრისთვის და სოფლის მეურნეობაში მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღებისათვის. ამავე დროს, სტატისტიკური ინფორმაცია საჭიროა მთლიანად მოსახლეობის და მისი სოციალურად დაუცველი ჯგუფების კეთილდღეობის შეფასებისათვის. რეგიონალური სტატისტიკის გაუმჯობესების აუცილებლობა განპირობებულია ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გადაადგილებაზე დაკვირვების საჭიროებით.
- 3.14 საქართველოში, ოფიციალური სტატისტიკის კიდევ ბევრი მომხმარებელი არსებობს, და მათი რიცხვი და კატეგორიები გაიზარდა საქსტატის "ბრენდის" გაუმჯობესების პარალელურად. განვითარებად, თანამედროვე, ღია და დემოკრატიულ სახელმწიფოში ოფიციალური სტატისტიკა ხელს უწყობს ბაზრების ეფექტურ ფუნქციონირებას, ქვეყნის განვითარების მონიტორინგსა და ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. სტატისტიკის მომხმარებელთა მნიშვნელოვანი და მზარდი საზოგადოება სავარაუდოდ მოიცავს შემდეგ ჯგუფებს:
- პოტენციურ ინვესტორებს, რომლებიც დაინტერესებული არიან საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში და საქონლისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრაში;
 - საერთაშორისო ინვესტორებს, რომლებიც კაპიტალის ბაზრებზე აქტიურობენ და დაინტერესებული არის ეკონომიკური მდგომარეობის და სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალებთან დაკავშირებული რისკების შეფასებაში;
 - ადგილობრივ მენარმეებს და ბიზნესმენებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ინვესტირებისა და სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობების შესწავლაში;
 - მკვლევარებსა და მეცნიერებს, რომლებსაც მონაცემები სჭირდებათ ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივი პრობლემების ანალიზისთვის;
 - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს, დამსაქმებელთა გაერთიანებებსა და სხვა გავლენიან ჯგუფებს;
 - მედია კომპანიებს, რომლებიც ფართო საზოგადოებაში ავრცელებენ ინფორმაციას ქვეყნის განვითარების შესახებ;
 - საერთაშორისო ორგანიზაციებს და დონორებს, რომლებიც სწავლობენ საჭიროებებს, შეიმუშავებენ პროგრამებსა და პროექტებს, ახორციელებენ შედეგების მონიტორინგსა და შეფასებას;
 - საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ზოგადად არიან დაინტერესებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით.

ჩანართი 3.1 საქართველოს მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მიზნები და მიმართულებები 2011-2014 წლებში.

სამუშაო ადგილების შექმნა მიჩნეულია 2011–2014 წლებში საქართველოს მთავრობის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური პოლიტიკის მთავარ საზრუნავად. სამუშაო ადგილების შესაქმნელად მთავრობას მიზნად აქვს დასახული მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ინფრასტრუქტურის განვითარება, მაღალხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების მიღების უზრუნველყოფა და ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. სტაბილური ეკონომიკური ზრდა და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემო უნდა აისახოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში. ბიუჯეტის დეფიციტის და ბიუჯეტის ხარჯების შეფარდება მშპ–თან თანდათანობით შემცირდება. განზრახულია ინფლაციის ერთნიშნა დონეზე შენარჩუნება.

საერთაშორისო საინვესტიციო კაპიტალის მოსაზიდად საქართველოს ეკონომიკისთვის გამოწვევად რჩება კიდევ უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობა, ევროპა–კავკასია–აზიის სატრანსპორტო დერეფნის ფარგლებში სატრანსპორტო კვანძის როლის გაძლიერების ჩათვლით. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს, აგრეთვე, ქართული პროდუქციის ექსპორტს და ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებს და უნდა დაიცვას თავისუფალი ვაჭრობის პრინციპები.

მთავრობა გააგრძელებს დაუცველი სოციალური ჯგუფებისადმი დახმარებას და გაზრდის ჯანდაცვის მომსახურების ყველასთვის ხელმისაწვდომობას. ჯანდაცვის მომსახურების დონის და ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად გაუმჯობესდება დაუცველი ჯგუფების ცხოვრების ხარისხიც. მიღებული ინება, აგრეთვე, ზომები პენსიების მართვის გასაუმჯობესებლად.

ენერგეტიკული, საგზაო და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის პრიორიტეტულობა უცვლელი დარჩება. ამოქმედდება ელექტროენერჯის სანარმოებელი ახალი სიმძლავრეები და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი.

რეგიონებსა და სოფლად ინვესტიციების მისაზიდად მთავრობა განავითარებს რეგიონულ საგზაო ქსელს, გაუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დივერსიფიცირებას. მთავრობა აგრეთვე გააგრძელებს ქალაქებისა და სარეკრეაციო ცენტრების აღორძინებას რათა გაზარდოს ბიზნესისა და ტურიზმის პოტენციალი და გააუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი.

სოფლის მეურნეობის განვითარება მიმართული იქნება სასოფლო–სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის გაზრდისკენ. დაგეგმილია ექსპორტის ფიზიკური მოცულობის და ღირებულების გაზრდა, ხარჯების შემცირება და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისთვის ხელის შეწყობა.

შიდა მიგრაციაზე დაკვირვების შედეგად უფრო ეფექტურად დაიგეგმება და განხორციელდება მოქალაქეთა მომსახურება და სოციალური დახმარება.

- 3.15 სტრატეგიის განხორციელების პროცესში, საქსტატსა და ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა უწყებებს დაჭირდებათ მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების მოთხოვნების უფრო ღრმა ანალიზი. ზოგიერთ მათგანს უკვე აქვს სტატისტიკურ მონაცემთა გამოყენების შესახებ საკმარისი ინფორმაცია და ცოდნა, სხვებს კი სჭირდებათ დამატებითი ცოდნა მონაცემთა ინტერპრეტაციის შესახებ. ამ სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი სტატისტიკური პროდუქტების და მომსახურების განვითარება, რომლებიც მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებზე იქნება გამომწვევი.

არსებული შეზღუდვები

- 3.16 მნიშვნელოვანია, რომ სტატისტიკის განვითარების ყველა გეგმა იყოს რეალისტური და ითვალისწინებდეს სხვადასხვაგვარ სირთულეებს, რომლებიც საშუალოვადიან პერიოდში სტატისტიკურ სისტემაზე მოქმედებენ. მეორე თავში აღწერილი სტატისტიკის მიმდინარე მდგომარეობა რამდენიმე პრობლემაზე მიუთითებს. ამ ნაწილში ჩვენ განსაზღვრავთ, როგორ ვაპირებთ ამ პრობლემებთან გამკლავებას.
- 3.17 მეორე თავში განსაზღვრულია სამი ძირითადი პრობლემა. პირველი – საბიუჯეტო სახსრების უკმარისობა, რაც ბუნებრივია აფერხებს საქსტატის საქმიანობას. მეორე – კვალიფიცირებული სტატისტიკოსებისა და სხვა სპეციალისტების ნაკლებობა, აგრეთვე, საქსტატის შესაძლებლობა მოიზიდოს და შეინარჩუნოს კვალიფიცირებული კადრები. მესამე – სტატისტიკისადმი ნდობა და საქსტატის "ბრენდის", როგორც სანდოობისა და დამოუკიდებლობის გარანტიის ჩამოყალიბება.
- 3.18 საშუალოვადიან პერსპექტივაში საქსტატისა და სხვა სტატისტიკური უწყებების დაფინანსების ზრდის პოტენციალი შეზღუდულია. კონკრეტული წინადადებები ამ პრობლემის გადაწყვეტის შესახებ მოტანილია ამ დოკუმენტის მეხუთე თავში, ხოლო პრიორიტეტები განსაზღვრულია მეოთხე თავში. ქვემოთ მოტანილია ძირითადი სტრატეგიული ნაბიჯები, რომლის გადადგმას ვაპირებთ ამ საკითხების გადასაწყვეტად.
- პირველი – ყურადღებას გავამახვილებთ იმ პრიორიტეტულ საქმიანობაზე, რომლის განხორციელება დააკმაყოფილებს მონაცემებზე ყველაზე მნიშვნელოვან მოთხოვნებს და სადაც ხარჯების უმნიშვნელო ზრდა არსებით შედეგებს მოგვითმის.
 - მეორე – ჩვენ საქმიანობა მიმართული იქნება ხარჯების შემცირებისა და ეფექტურობის ზრდისაკენ. ეს საქმიანობა ითვალისწინებს რამდენიმე ქმედებას: სავსელ სამუშაოების უკეთეს კოორდინაციას; ადმინისტრაციული პროცედურების შედეგად მიღებული მონაცემების უფრო ფართო გამოყენებას; ეფექტურ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ინვესტირებას ტექნიკურ აღჭურვილობაში; კადრების გადამზადებას მათი ეფექტურად გამოყენებისათვის.
 - მესამე – გავაგრძელებთ თანამშრომლობას უცხოელ პარტნიორებთან როგორც ადამიანურ რესურსებსა და ტექნიკურ აღჭურვილობაში ინვესტირების, ისე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. ხარჯების ფინანსური გეგმა მოტანილია მეექვსე თავში, რომელიც განსაზღვრავს ფინანსურ დეფიციტს და მისი დაფარვის გზებს 2012-2014 წლებში დონორთა დახმარებით, ხოლო 2015 წლიდან – მთლიანად საბიუჯეტო სახსრებით.
- 3.19 პროფესიული კადრების ნაკლებობა უარყოფით გავლენას ახდენს საქსტატის უფლებამოსილებების განხორციელებაზე და სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ პრობლემას ეთმობა. როგორც 2011-2014 წლებში, ისე შემდგომში საჭირო იქნება საქსტატის თანამშრომლების განაკვეთების და სამუშაო პირობების სხვა უწყებებთან შესაბამისობაში მოყვანა. შეზღუდული ბიუჯეტი მიუთითებს იმაზე, რომ მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში ხელფასებისა და საშტატო ერთეულების ზრდის ალბათობა დაბალია. მეხუთე თავში მოცემული ბიზნეს გეგმა ითვალისწინებს საშტატო ერთეულების რიცხოვნობის უმნიშვნელო ზრდას და სახელფასო განაკვეთების მცირე, მაგრამ რეალურ მატებას. თუმცა, ქვეყანაში სტატისტიკური საქმიანობის მდგრადობის შესანარჩუნებლად საჭირო იქნება საქსტატსა და სხვა უწყებებში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნება. სხვა ნაბიჯები ამ მიმართულებით მოიცავს:
- ხელსაყრელი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას და კადრებისათვის გადამზადებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნას;
 - ყველა თანამშრომლისთვის პროფესიული წინსვლის შესაძლებლობების შექმნას, რაც მიღწევების მიხედვით დანინაურების პროცედურის არსებობას გულისხმობს;
 - არსებული საკადრო პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას.

3.20 სტატისტიკის მწარმოებელი უწყებების წინაშე დგას ოფიციალური სტატისტიკის საიმედოობისა და სანდოობის ამალღების საკითხი. სტატისტიკური მონაცემების მიმართ ნდობის გამყარება რთულია და მას გარკვეული დრო სჭირდება, თუმცა პრობლემების არსებობის შემთხვევაში რთულად მოპოვებული ნდობის დაკარგვა ადვილია. შესაბამისად ნაბიჯები, რომლებსაც საქსტატი და სხვა უწყებები გადადგამენ სტატისტიკური მონაცემებისადმი ნდობის გასამყარებლად მოიცავს შემდეგს:

- მონაცემთა მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის რეგულარულ ინტერაქტიულ კავშირს;
- ოფიციალური სტატისტიკის ყველა მწარმოებელის მიერ მეთოდებისა და პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, პრობლემებზე საუბრისა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანისთვის მზადყოფნას;
- კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად საჭირო პროცესებს და პროცედურებს;
- სანდოობისა და კმაყოფილების დონის შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღებას;
- ტექნიკური პრობლემების გადაჭრისას მუშაობის მკაფიო და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფას;
- ანაგრიშვალდებულებასა და ღიაობას სტატისტიკის მხარდასაჭერად გამოყენებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისას და ამ სახსრების ეფექტიან და ეფექტურ გამოყენებას.

ხედვა და პრიორიტეტები

- 4.1. ეროვნული სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის წინამდებარე თავში დასახულია საქართველოს სტატისტიკის სისტემის გრძელვადიანი მიზნები და პრიორიტეტები, რომლებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება ამ სტრატეგიის განხორციელებისას 2011–2014 წლებში.

სტატისტიკის სისტემის ხედვა

- 4.2. საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სისტემის ჩვენული ხედვა ითვალისწინებს ისეთი ინსტიტუტების შექმნას, პროცესების წარმართვას და ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომლებიც:
- უზრუნველყოფენ მთავრობას და სხვა მომხმარებლებს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარებისთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემებით;
 - შეესაბამება ჩვენს ვალდებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს სტატისტიკური მონაცემების რეგიონული და საერთაშორისო სააგენტოებისთვის მიწოდებას;
 - ეფექტურად იყენებს შეზღუდულ ეროვნულ რესურსებს.
- 4.3 ჩვენი მიზანია საერთაშორისო რეკომენდაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ღია და გამჭვირვალე სისტემის შექმნა, რომელიც ყველა მომხმარებელში გაამყარებს რწმენას, რომ ჩვენ მიერ წარმოებული სტატისტიკა არის სანდო, ობიექტური და ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისგან თავისუფალი. ამავდროულად, ჩვენი მიზანია, თანამშრომლებს შევუქმნათ უსაფრთხო და მიმზიდველი სამუშაო გარემო, უზრუნველყოთ, რომ საქსტატი და ქვეყანაში არსებული ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ყველა სხვა სააგენტო იყოს მზარდი ორგანიზაცია, რომლებსაც ძალუძთ უპასუხონ ახალ გამოწვევებსა და მოთხოვნებს.
- 4.4 ეს არის ისეთი გრძელვადიანი ხედვა, რომელიც ითვალისწინებს უწყვეტ განვითარებას და გაუმჯობესებას. ჩვენი საქმიანობის მონიტორინგსა და მისი ხარისხის შეფასებას ვაპირებთ შესრულებული სამუშაოს საქართველოს მსგავსი რესურსებისა და განვითარების დონის მქონე ქვეყნების შესაბამისი სამსახურების საქმიანობასთან პერიოდული შედარებებისა და ჩვენი მომხმარებლებისგან გამოხმაურების რეგულარულად მიღების გზით. კერძოდ, ვიღებთ ვალდებულებას, რომ საქართველოს სტატისტიკის სისტემის ყველა შემადგენელი კომპონენტი იქნება ღია და ანგარიშვალდებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ვაკეთებთ და როგორ ვიყენებთ ჩვენ ხელთ არსებულ რესურსებს. ჩვენი მიზანია, ასევე, ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, რათა გავზარდოთ სტატისტიკის გამოყენების არეალი ქვეყნის განვითარებისთვის.

მისია

- 4.5 ჩვენი მისია განსაზღვრულია 2009 წელს მიღებულ საქართველოს კანონში “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ”. მასში აღნიშნულია, რომ ჩვენი მისია არის “სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე ქვეყანაში დამოუკიდებელი, ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოების უზრუნველყოფა”. ამ მისიის შესრულება იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც სტრატეგიის მესამე თავშია განსაზღვრული, ჩვენი მთავარი გამოწვევაა.

ხედვისა და მისიის განხორციელება – საშუალოვადიანი პერიოდიტები

- 4.6 ჩვენი მისიისა და ხედვის შესასრულებლად, საქსტატი და ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები უნდა შევთანხმდეთ პრიორიტეტებზე. ჩვენ ყველაფერს ვერ გავაკეთებთ, ყოველ შემთხვევაში მოკლე და საშუალო ვადაში, ვერ შევძლებთ ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რომლებიც შეიძლება სტატისტიკურ მონაცემებზე წარმოიშვას. ზოგადად, ჩვენი ამოცანა უკეთესი შედეგების მიღწევაა, ანუ გაუმჯობესებული სტატისტიკური მონაცემების წარმოება ისეთი ფორმებით, რომლებიც აადვილებს გადამწყვეტილების მიღების და დაგეგმვის პროცესებს ყველა დონეზე. რესურსების შეზღუდულობის გამო ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი საქმიანობის უბრალოდ გაფართოებას. ჩვენი ბიუჯეტი და პერსონალის დაქირავების შესაძლებლობა შეზღუდულია, ისევე როგორც რესპონდენტების მიმართ მოთხოვნების წაყენების შესაძლებლობა.
- 4.7 ჩვენ გთავაზობთ პრიორიტეტების განსაზღვრას ოთხ ძირითად სფეროში: (i) სტატისტიკური ბიზნეს პროცესების გაუმჯობესებასა და გაფართოებაში; (ii) ჩვენი ინფრასტრუქტურის განახლებაში, განვითარებაში და შენახვაში; (iii) ხელმძღვანელობის, კოორდინაციისა და მართვის გაუმჯობესებაში; და (iv) კადრების პროფესიულ განვითარებაში ინვესტირებაში.

სტატისტიკური ბიზნეს პროცესების გაუმჯობესება

- 4.8. საქსტატი გამოიყენებს სტატისტიკური ბიზნეს პროცესების ზოგად მოდელს (GSBPM⁷), რომელიც გაეროს ევროპული კომისიის სტატისტიკის განყოფილებამ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და ევროსტატთან ერთად შეიმუშავა. ეს მოდელი წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გავრცელების, დოკუმენტირებისა და დაარქივების მეთოდების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. GSBPM-ი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ადაპტირებული იქნება საქართველოში გამოყენებისათვის, იძლევა საშუალებას, დავაკვირდეთ ყველა არსებულ სტატისტიკურ პროცესს, განსაზღვროთ, სად არის საჭირო ცვლილებების გატარება და რისი გაუმჯობესება არის შესაძლებელი. იგი უზრუნველყოფს ახალი მიდგომების შემუშავების, მათი პრაქტიკაში გამოცდის და შემდგომ განხორციელების მექანიზმებს. ეს სტრუქტურა ასევე წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს დოკუმენტირების, მეტამონაცემების მომზადების და სტატისტიკურ სისტემაში მოსაყენებელი სტანდარტების საფუძველს. უფრო დეტალური აღწერა, თუ როგორ განხორციელდება ეს, მოცემულია მეხუთე თავში წარმოდგენილ ბიზნეს გეგმაში.
- 4.9 მომხმარებლებთან კონსულტაციებისა და ჩვენივე საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით, განვსაზღვრავთ სტრატეგიის განხორციელების პერიოდში სტატისტიკური პროცესების განვითარების ძირითად პრიორიტეტებს.
- მოსახლეობის ახალი აღწერის მომზადება და ჩატარება, რაც შესაძლებელს გახდის განვსაზღვროთ მოსახლეობის ზუსტი რიცხოვნობა, დავადგინოთ საბაზისო მონაცემები, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა სფეროში დაგეგმვისა და რეგიონული სტატისტიკის განვითარებისათვის, და შევიმუშავოთ შერჩევის ბაზა შინამეურნეობათა კვლევებისთვის.
 - მოსახლეობის აღწერასთან ერთად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) რეკომენდაციების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო აღწერის მომზადება და ჩატარება. ამის შედეგად გამოიკვეთება სოფლის მეურნეობის სექტორის სტრუქტურის ზუსტი და დეტალური სურათი, დადგინდება საბაზისო მონაცემები ბევრ სფეროში დაგეგმვისთვის, გაუმჯობესდება საბაზისო მონაცემები რეგიონული სტატისტიკის განვითარებისათვის და უზრუნველყოფილი იქნება შერჩევის ბაზა მომავალი სასოფლო-სამეურნეო კვლევებისთვის.
 - ეკონომიკური აღწერის მომზადება და ჩატარება მრეწველობის, მომსახურების და სხვა სექტორების დეტალური სტრუქტურის დასადგენად, ბიზნეს რეგისტრის განახლებისა და განვითარებისათვის საბაზისო მონაცემების უზრუნველსაყოფად და რეგიონული სტატისტიკის განვითარებისთვის ხელშესაწყობად.

⁷ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www1.uncece.org/stat/platform/display/metis/The+Generic+Statistical+Business+Process+Model>

- 4.10 სტატისტიკის სხვა სფეროებში მთავარი მიზანი სხვადასხვა ძირითად მონაცემთა, მათ შორის ეროვნული ანგარიშების, ფასების სტატისტიკის, დასაქმებისა და უმუშევრობის მონაცემების, შრომის ბაზრის ფუნქციონირების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის მოცვის და ხარისხის გაუმჯობესება იქნება.
- 4.11 ეროვნული სტატისტიკის განვითარების სტრატეგიაში ყურადღება ასევე გამახვილდება სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების გაუმჯობესებაზე, ინფორმაციის გავრცელებისთვის ვებ გვერდის უკეთ გამოყენებისა და მონაცემთა შეგროვებასა და გავრცელებას შორის არსებული დაგვიანებების შემცირების გზით. ჩვენ აგრეთვე გავაძლიერებთ ჩვენი ინფორმაციის მომხმარებელთა მხარდაჭერას.

სტატისტიკის სისტემის მართვისა და კოორდინირების გაძლიერება

- 4.12. ამ სფეროში მთავარი პრიორიტეტებია მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდა, სტატისტიკური საქმიანობების კოორდინირების გაძლიერება და სტანდარტების გაუმჯობესება. კერძოდ, მთავარი მიზანი არის მენეჯმენტის სტრუქტურის გაფართოება და გარღმავება საშუალო რგოლის მენეჯმენტის გაძლიერების და ამ რგოლისთვის შედეგებზე პასუხისმგებლობის დელეგირების გზით.
- 4.13 კოორდინირება მიმართული იქნება სავსე საშუალების დაგეგმვისა და მართვის ოპტიმიზების გზით მონაცემთა შეგროვებაში დუბლირების შემცირებისკენ. ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული მონაცემები შეძლებისდაგვარად მეტად იქნება გამოყენებული. ჩვენი მიზანი ასევე იქნება ბიზნეს სანარმოებზე წნეხის შემსუბუქება ეკონომიკური კვლევების უფრო ეფექტიანი კოორდინირების და ისეთი ტექნიკის გამოყენების მეშვეობით, როგორცაა მონაცემთა ინტერნეტით მიღება.

ინფრასტრუქტურის განვითარება

- 4.14 ამ სფეროს მთავარი პრიორიტეტები მოიცავს:
- შერჩევის ბაზის და რეგისტრების მოცვისა და სანდოობის გაზრდას, განსაკუთრებით ბიზნეს კვლევებისათვის;
 - საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და საკომუნიკაციო აღჭურვილობაში ინვესტირებას და მათ მოდერნიზებას, რათა საქსტატს შეეძლოს მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მოწინავე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი შესაძლებლობებით სარგებლობა;
 - ინფრასტრუქტურის სრულყოფას რეგიონულ დონეზე, მათ შორის შენობების და აღჭურვილობის (სადაც საჭიროა).

ადამიანური რესურსების განვითარება

- 4.15 სტრატეგიის განხორციელების მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინვესტირებას ადამიანურ რესურსებში, რომლებიც ასრულებენ მონაცემთა შეგროვებასა და გაანგარიშებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სამუშაოს. ამ სფეროში მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენს:
- განათლებისა და სხვა საკვალიფიკაციო სტანდარტების განსამზღვრა საქსტატში სხვადასხვა დონეებზე მუშაობისთვის;
 - ყველა თანამშრომლის უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და განათლების დონის დეტალური შემოწმების ჩატარება;
 - კვალიფიკაციის სასურველ და რეალურ დონეებს შორის შეუსაბამობის განსამზღვრა და გადამზადების გეგმის შემუშავება ამ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად სტრატეგიის განხორციელების პერიოდში;
 - გადამზადების საჭიროებების გამოვლენის ყოველწლიური პროცესის დანერგვა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალის შეფასების პროცესთან, და შემდეგ ამ ინფორმაციის გამოყენება გადამზადების წლიური დეტალური გეგმის მოსამზადებლად;
 - ყოველწლიურად მინიმალური დონის გადამზადების უზრუნველყოფა მთელი პერსონალისათვის;
 - შეფასების ყოველწლიური პროცესის მეშვეობით გადამზადების შედეგებზე მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ახლად შეძენილი უნარებისა და კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენება;
 - ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში ყველა მენეჯერისთვის გადამზადების ჩატარება.

2011–2014 წლების საქსტატის ბიზნეს გეგმა

მიმოხილვა

5.1 საქართველოს სტატისტიკის პირველ სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს მთავრობისა და სხვა მომხმარებლების უფრო მეტი და უკეთესი ხარისხის სტატისტიკური მონაცემებით აღჭურვა ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ეროვნული სტრატეგიის წინამდებარე ნაწილი მოიცავს 2011 წლის ივნისიდან 2014 წლის დეკემბრამდე საქსტატის ბიზნეს გეგმას. გეგმით განსაზღვრულია საქსტატის საქმიანობა მოსალოდნელი შედეგებით და საჭირო რესურსებით. ამ თავში განხილულია სტატისტიკის საქმიანობის ხუთი ძირითადი მიმართულება: საქსტატის მიერ წარმოებული მონაცემების ხარისხის და მოცვის გაუმჯობესება; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა; ადამიანური რესურსების განვითარება; კოორდინაციისა და მართვის გაუმჯობესება როგორც საქსტატში, ისე მთლიანად საქართველოს სტატისტიკურ სისტემაში; ინვესტირება ინფრასტრუქტურაში, რომელიც ჩვენ გვჭირდება ჩვენი სამუშაოს უფრო ეფექტურად და შედეგიანად შესასრულებლად.

საქსტატის მიერ წარმოებულ მონაცემთა ხარისხის და მოცვის გაუმჯობესება

ეროვნული ანგარიშები

5.2 2010 წელს საქართველო მიუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტს (SDDS). ბიზნეს გეგმის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს SDDS-ის მოთხოვნათა შესაბამისად ეროვნული ანგარიშების შედგენის უზრუნველყოფა. ამავე დროს 2014 წლისთვის საქსტატი მიზნად ისახავს:

- 2008 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემის (SNA 2008) შესაბამისად ეროვნული ანგარიშების შედგენაზე თანდათანობით გადასვლას;
- მიმდინარე ფასებში კაპიტალის ანგარიშის შედგენას SNA 2008-ის შესაბამისად;
- ეკონომიკის დაუკვირვებადი სექტორების მოცვის გაუმჯობესებას და მშპ-ის გაანგარიშების საიმედოობის ამაღლებას;
- მშპ-ის გაანგარიშებას დანახარჯების მეთოდით მუდმივ ფასებში;
- ეროვნული ანგარიშების საბალანსო ცხრილების წარმოებას ცალკეული ინსტიტუციური სექტორების მიხედვით, მათ შორის. სახელმწიფო სექტორის, კერძო სექტორისა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების, არაფინანსური კორპორაციებისა და ფინანსური კორპორაციების მიხედვით;
- რესურსებისა და გამოყენების ცხრილების შედგენას მუდმივ ფასებში;
- ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოსთან და საწყისი მონაცემების სხვა მწარმოებლებთან ერობლივი მუშაობით მოცვის, დროულობისა და საიმედოობის გაუმჯობესებას.

5.3 ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად ჩასატარებელია შემდეგი საქმიანობა:

- ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების კვლევა (2011);
- ინსტიტუციური სექტორების მიხედვით შუალედური მოხმარების სტრუქტურის დეტალური გამოკვლევა (2012);

- არაფორმალური და დაუკვირვებადი ეკონომიკური აქტივობის გამოკვლევა განათლების სექტორში (2012);
- არაფორმალური და დაუკვირვებადი ეკონომიკური აქტივობის გამოკვლევა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში;
- არაფორმალური და დაუკვირვებადი ეკონომიკური აქტივობის გამოკვლევა ჯანდაცვის სექტორში (2014);
- შინამეურნეობების კვარტალური კვლევის მონაცემების (კერძოდ, შინამეურნეობების ხარჯებისა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონის) უფრო დეტალური ანალიზი;
- მონაცემთა დეტალური ბაზის შექმნა მუდმივ ფასებში რესურსებისა და გამოყენების ცხრილების შესადგენად.

5.4 ეროვნული ანგარიშების წარმოებისთვის ძირითად რესურსს, საწყის მონაცემებთან ერთად, პროფესიონალი კადრები, მათი გადამზადება ცოდნისა და უნარების ამალღებისათვის, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები წარმოადგენენ. 5.2 პარაგრაფში მოყვანილი მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი:

- 2014 წლის ბოლოსთვის ეკონომისტების/სტატისტიკოსების რაოდენობის გაზრდა ექვსიდან რვაამდე. უპირაინა ერთი თანამშრომლის აყვანა 2013 წელს და ერთის – 2014 წელს.
- ინვესტირება თანამშრომელთა გადამზადებაში ისე, რომ ყველა თანამშრომელმა ყოველიურად გაიაროს ერთი მოკლევადიანი კურსი საქართველოში და ერთი მოკლევადიანი კურსი საქართველოს ფარგლებს გარეთ. ერთი თანამშრომლის სამუშაო დროის საშუალოდ 15 პროცენტი (წელიწადში 5-6 კვირა) გადამზადებისათვის უნდა იყოს განკუთვნილი.
- ტექნიკური დახმარება ძირითად სფეროებში.
- ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განახლება და მეტად გამოყენება, თანამშრომელთა რაოდენობის ზრდასთან პარალელურად პერსონალური კომპიუტერების რაოდენობის გაზრდა.

ბიზნეს სტატისტიკა

5.5 საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო, პასუხისმგებელია ბიზნეს საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე. ეს მონაცემები გამოიყენება ეროვნული ანგარიშების წარმოებისთვის, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ბრუნვის, დამატებული ღირებულების, დასაქმების, პროდუქციის გამოშვების და ძირითად აქტივებში ინვესტიციების განსაზღვრისათვის, რომლებიც კლასიფიცირებულია საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ზომის, ეკონომიკური საქმიანობის სახის და ადგილმდებარეობის მიხედვით. ინფორმაცია ქვეყნდება კვარტალურად და წლიურად.

5.6 ბიზნეს სტატისტიკასთან დაკავშირებული პრობლემები. ორი ტიპისაა. პირველი დაკავშირებულია ბიზნეს რეგისტრთან და მისი აქტუალობის და სიზუსტის უზრუნველყოფასთან. მეორე – სხვადასხვა კვლევების ჩატარებასთან, მათ შორის მცირე საწარმოთა შერჩევის ეფექტურ დიზაინთან და საწარმოებისგან ანგარიშების დაგვიანებით მიღებასთან ან გამოუპასუხებლობასთან. "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" კანონი არ ავალდებულებს საწარმოებს სტატისტიკური ანგარიშების წარმოდგენას, საქსტატს კი არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე ზომები იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც უარს აცხადებენ კვლევებში მონაწილეობაზე.

5.7 სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პერიოდში ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს მიზანია მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების პროცესის უზრუნველყოფა, მათ შორის მონაცემთა დროულად მიღება, ახალი საწარმოების მონაცემთა ბაზაში მოხვედრა, გამოქვეყნებული მონაცემების ხარისხისა და სანდოობის გაუმჯობესება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბიზნეს რეგისტრის მოცვასა და სანდოობას, საწარმოთა მხრიდან კვლევებთან და აღწერასთან დაკავშირებულ ანგარიშების გაუმჯობესებას, მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებული ხარჯების და საწარმოებისთვის ანგარიშების ტვირთის შემცირებას. კონკრეტული მიზნები მოიცავს:

- 2014 წლისთვის ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზებას, საწარმოთა გეოგრაფიული კოორდინატების

მითითებით, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, ახლად რეგისტრირებული სანარმოების სა-
იდენტიფიკაციო მონაცემების დაზუსტებასა და გაუქმებული სანარმოების რეგისტრიდან ამო-
ღებას;

- ბიზნეს რეგისტრის მოცვის გაფართოებას შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული სა-
ნარმოების ჩართვით;
- 2014 წლისთვის სტატისკური ინფორმაციის გავრცელების ვადის 30 პროცენტით შემცირებას და
გამოუპასუხებლობის დონის 50 პროცენტით შემცირებას;
- 2012 წლისთვის ენერგეტიკული სტატისტიკის განვითარებას, მათ შორის ენერგეტიკული
ბალანსის ყოველწლიურად შედგენას;
- საქსტატისა და ბიზნეს წრეების რეგულარული კონსულტაციების ფორმალური მექანიზმის და-
არსებას, რაც გულისხმობს რეგულარულ შეხვედრებსა და სხვა სახის კომუნიკაციას, მათ შორის
ონლაინ ფორუმს.

5.8 ამ მიზნების მიღწევისათვის საჭიროა:

- 2014 წლის ბოლომდე საყოველთაო ეკონომიკური აღწერის ჩატარება, რაც მოიცავს სანარმოების
მონაცემების დაფიქსირებას ადგილმდებარეობის მიხედვით, საქმიანობის სახეობის, საკუთ-
რების ფორმის და სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. აღწერის შედეგები იქნება
გამოყენებული ბიზნეს რეგისტრის განახლებისათვის ყველა სანარმოს ადგილმდებარეობის
მითითებით;
- სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და დანერგვა ბიზნეს რეგისტრის
მართვისა და სანარმოთა კვლევების მონაცემების დამუშავებისათვის;
- სანარმოების მიერ მონაცემთა ონლაინ გადმოცემისთვის საჭირო სისტემის შემუშავება და
დანერგვა;
- საქსტატისა და ბიზნეს წრეების რეგულარული კონსულტაციების ფორმალური მექანიზმის ჩა-
მოყალიბება, რაც გულისხმობს რეგულარულ შეხვედრებსა და სხვა სახის კომუნიკაციას, მათ
შორის ონლაინ ფორუმს;
- ანგარიშგების წნეხის შესასუსტებლად სანარმოთა მონაწილეობით სტატისტიკური ანგარიშგების
ფორმების გადასინჯვის პროცესის დანერგვა. ეს გულისხმობს, რომ შეიქმნება მექანიზმი, რომე-
ლიც საქსტატს მისცემს კანონიერ უფლებას, გადასინჯოს ანგარიშგების ყველა ფორმა, რომე-
ლიც ინიცირებული იყო რომელიმე სახელმწიფო უწყების მიერ.

5.9 გეგმის განხორციელებისთვის საჭირო იქნება.

- ოთხი სტატისტიკოსის გადამზადება წელიწადში და ცამეტი ადამიანის მოკლევადიანი გადა-
მზადება საქართველოში;
- ტექნიკური დახმარება;
- ტექნიკური აღჭურვილობის და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, მათ შორის ონლაინ
კვლევების და ბიზნეს რეგისტრის მართვისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.

ფასების სტატისტიკა

5.10 ფასების სტატისტიკის სამმართველოს ძირითად საქმიანობას წამოადგენს ფასების შესახებ მო-
ნაცემთა ყოველთვიური შეგროვება, სამომხმარებლო ფასების ინდექსისა (სფი) და მწარმოებელთა
ფასების ინდექსის (მფი) გაანგარიშება და გამოქვეყნება. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი)
მეთოდოლოგია და მოცვა მიჩნეულია სრულყოფილად. იგულისხმება სამომხმარებლო კალათა,
რომელიც შედგენილია 266 სახეობის პროდუქტისა და მომსახურებისგან. ფასების შესახებ ინფორმაცია
საქართველოს ხუთი ქალაქიდან მიიღება. სფი-ის წონები მიიღება შინამეურნეობების გამოკვლევებიდან
და ახლდება სამ წელიწადში ერთხელ. ბოლო დროს გაუმჯობესებულია სეზონური პროდუქციის
ფასებზე დაკვირვება. მწარმოებელთა ფასების ინდექსის (მფი) გაანგარიშება უფრო პრობლემურად
არის მიჩნეული. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაფიქსირებულია არასაკმარისი მოცვა,
ხოლო საქსტატს არ გააჩნია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა მონაცემთა კონტროლისა და
დამუშავებისათვის.

- 5.11 საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო შედარებების პროგრამის (International Comparison Program – ICP) 2011 წლის რაუნდში. რეგიონალური და გლობალური შედარებების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია საქართველოს და სომხეთის ფასების შედარება. სამუშაო მოიცავს მშპ-ის ყველა კომპონენტისთვის ფასთა ჩამონათვალის შექმნას, ფასების რეგისტრატორების მომზადებას, ფასების შესახებ მონაცემთა შეგროვებას და კონტროლს. იმისთვის, რომ წონები ფასთა ინდექსებთან შესაბამისობაში იყოს მოყვანილი, ეს სამუშაო განხორციელდება ეროვნული ანგარიშების სამმართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობით.
- 5.12 დაგეგმილ პერიოდში ფასების სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული მიზნები მოიცავს:
- სანყისი მონაცემების შესაბამისობის ხარისხის გაუმჯობესებას პორტატიული კომპიუტერების გამოყენებით მონაცემთა შეგროვებისთვის და პირველადი კონტროლისთვის;
 - ფასების შეგროვებას 2011 წლის ICP–თვის და მყიდველობითი უნარის პარიტეტების განსაზღვრას სომხეთთან შედარებით;
 - 2012 წელს წონების სისტემის შეცვლას ეროვნული ანგარიშების (და არა მხოლოდ შინამეურნეობების გამოკვლევის) მონაცემებზე დაყრდნობით;
 - მომხმარებლებისთვის მეთოდებისა და პროცედურების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდებას, მეთოდოლოგიური ცნობარის გამოშვებას და ინდექსების და მათი გაანგარიშების შესახებ რეგულარულ ინფორმირებას მეთოდოლოგიის არსებითი შეცვლის შესახებ წინასწარი ინფორმირების ჩათვლით;
 - მფი-ის მოცვის გაფართოებას და მონაცემთა კონტროლისა და გაანგარიშების დაჩქარებისა და გაუმჯობესებისთვის საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას;
 - სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშებას.
- 5.13 მიზნების მისაღწევად მიმართული ძირითადი საქმიანობა:
- ფასების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ინდექსების გაანგარიშების მეთოდებისა და პროცედურების შესახებ დეტალური დოკუმენტაციის წარმოება;
 - ფასების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების თანხლები კომენტარების მომზადება;
 - სფი-ისთვის ეროვნულ ანგარიშებზე დაფუძნებული ახალი წონების გაანგარიშება;
 - პროდუქციის და ფასების რეგისტრაციის ადგილების შერჩევის პროცედურების გადასინჯვა, პორტატიულ კომპიუტერებში გამოსაყენებლად პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და მათი გამოყენებისთვის თანამშრომლების გადამზადება;
 - მფი-ს მეთოდოლოგიის განვითარება;
 - სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავება და გამოცდა.
- 5.14 საჭიროებები
- ტექნიკური დახმარება;
 - თანამშრომლების გადამზადება, განსაკუთრებით პორტატიული კომპიუტერების გამოყენებაში;
 - პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა ან/და შემუშავება განახლება.

საგარეო სექტორის სტატისტიკა

- 5.15 საგარეო სექტორის სტატისტიკა მოიცავს საგარეო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკას. საქსტატი აწარმოებს საგარეო ვაჭრობის (საქონლის ექსპორტ-იმპორტის) სტატისტიკას სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. დამატებითი ინფორმაცია ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით ვაჭრობის შესახებ მიიღება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან და გაზის ტრანსპორტირების საერთაშორისო კომპანიიდან. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა გამოიანგარიშება იმ მონაცემებიდან, რომლებიც კვარტალური კვლევებიდან მიიღება 1500 სანარმოოდან და უფრო ფართოდ – წლიური კვლევიდან, რომელიც მოიცავს 2000 სანარმოს. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ქვეყნდება ყოველთვიურად სავაჭრო პარტნიორების (იმპორტისთვის) და დანიშნულების ქვეყნების (ექსპორტისთვის) მიხედვით. ასევე ვაჭრობის სტატისტიკა ქვეყნდება ქვეყნების ჯგუფებისა და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (პარმონიზებული სისტემის

2007 წლის ვერსიის შესაბამისად). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა ქვეყნდება ყოველკვარტალურად, კლასიფიცირებულია ქვეყნების, ეკონომიკის სექტორებისა და მონაცემთა წყაროების მიხედვით. კვარტალური მონაცემები წინასწარია და შემდგომ ზუსტდება საწარმოთა წლიური გამოკვლევით.

- 5.16 საგარეო ვაჭრობის მონაცემების ხარისხი შედარებით საიმედოა და მომავალში ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მონაცემების ოპერატიულობის გაუმჯობესებისკენ და უფრო დეტალური ანალიზის წარმოდგენისკენ. შედარებით მეტი პრობლემაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა საიმედოობისა და სისრულის მხრივ. კერძოდ, აუცილებელია საწარმოთა რეგისტრის განახლება, სავსე კვლევებისა და მონაცემთა დამუშავების ხარისხის კონტროლის გაძლიერება.
- 5.17 დაგეგმილი პერიოდისთვის საგარეო სექტორის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის მიზნები მდგომარეობს შემდეგში:
- 2014 წლისთვის 2010 წელთან შედარებით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ყოველთვიური მონაცემების გამოქვეყნების ვადის შემცირება 30 პროცენტით;
 - 2012 წლიდან ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებითი და მოცულობითი ინდექსების განგარიშება და გამოქვეყნება;
 - ექსპორტისა და იმპორტის რეალური ზრდის მონაცემების წარმოება;
 - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესება მოცვის, საიმედოობისა და დროულობის 2010 წელთან შედარებით სულ ცოტა 20 პროცენტით გაუმჯობესებით.
- 5.18 ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელია შემდეგი საქმიანობა:
- საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის განახლება;
 - ექსპორტისა და იმპორტის რეალური ზრდის მაჩვენებლების განგარიშებისთვის საჭირო კვლევა და ანალიზი;
 - საგარეო ვაჭრობის ინდექსების წონების განსაზღვრისთვის საჭირო კვლევა და ანალიზი;
 - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევის რეგიონალურ დონეზე ჩატარება;
 - საქართველოს ეროვნულ ბანკთან და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევაში ჩასართავად საწარმოთა სიის განახლება და წარმოება;
 - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევისათვის საჭირო გადამზადებისა და სავსე გეგმადმხედველობის გაუმჯობესება;
 - კითხვარების თარგმნა.
- 5.19 საჭიროებები:
- დამატებით ორი ეკონომისტის/სტატისტიკოსის აყვანა 2012 წელს;
 - ტექნიკური დახმარება;
 - ინტერვიუერთა გადამზადებისთვის საჭირო სახსრები;
 - დამატებითი ტექნიკური უზრუნველყოფა;
 - რვა ეკონომისტისთვის/სტატისტიკოსისთვის მოკლევადიანი გადამზადების ჩატარება.

სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკა

- 5.20 სოფლის მეურნეობის და გარემოს სტატისტიკის სამმართველო აგროვესს, ამუშავებს და ავრცელებს სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკას. ბოლო სასოფლო-სამეურნეო აღწერა ჩატარდა 2004 წელს. 2007 წლიდან სამმართველო ატარებს კვარტალურ და წლიურ კვლევებს და აგროვესს ინფორმაციას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შესახებ. 2010 წელს გამოქვეყნდა 2009 წლის სრული მონაცემები.
- 5.21 გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (Food and Agriculture Organization – FAO) ტექნიკური დახმარებით საქსტატი 2010 წლის შუაგულამდე უშვებდა კვარტალურ ბიულეტენს საქართველოში სურსათის უსაფრთხოების შესახებ. ამჟამად ინფორმაცია სასურსათო უსა-

ფრთხობის შესახებ ქვეყნდება საქსტატის ვებ გვერდზე დროითი მწკვრივების სახით, რომლებიც ყოველკვარტალურად ახლდება.

- 5.22 ვინაიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის უდიდესი წილი შედარებით მცირე ზომის ოჯახურ მეურნეობებში ინარმოება, ინფორმაციის შეგროვებისას საჭიროა პირდაპირი ინტერვიუების ჩატარება. სოფლის მეურნეობის სეზონურობის ასახვისთვის წლის განმავლობაში ტარდება ხუთი ინტერვიუ და ბოლო ინტერვიუ აჭამებს წლიურ საქმიანობას.
- 5.23 სოფლის მეურნეობის სტატისტიკური ინფორმაციის ძირითადი მომხმარებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამ დარგის სტატისტიკაში არსებობს შემდეგი პრობლემები: მოძველებული, 2004 წლის შერჩევის გამოყენება; სავსე სამუშაოების ხარისხის სუსტი კონტროლი, მონაცემთა დამუშავებისთვის და გავრცელებისთვის საჭირო დიდი დრო. შერჩევა მოიცავს 5 000 შინამეურნეობას, რაც არ არის საკმარისი ადგილმდებარეობისა და საქონლის მიხედვით ძირითადი მაჩვენებლების წარმოებისთვის.
- 5.24 დაგეგმილ პერიოდში სამმართველო მიზნად ისახავს:
- სოფლის მეურნეობის გამოკვლევის შერჩევის ბაზის განახლებას მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის ერთიანი აღწერის ფარგლებში;
 - სოციალური სტატისტიკის სამმართველოსთან თანამშრომლობითა და სოფლის მეურნეობისა და სოფლის სტატისტიკის განვითარების ახლახან ჩამოყალიბებული გლობალური სტრატეგიის შესაბამისად⁸, სოფლის მეურნეობისა და შინამეურნეობების კვლევებისთვის შერჩევის ბაზის შექმნის შესაძლებლობის შესწავლას. ეს გულისხმობს, რომ ერთიანი ბაზა ამოქმედდება მოსახლეობის მომდევნო აღწერის შემდეგ;
 - 2012 წლიდან ინტერვიუების მუდმივი ქსელის შექმნას და უფრო ინტენსიური გადამზადების ჩატარებას სავსე სამუშაოების ხარისხის ასამაღლებლად;
 - სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მოცვაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და ახალი საქმიანობის ამსახველი მონაცემების გაანგარიშების ხარჯთ-ეფექტური პროცედურების შემუშავებას;
 - მექანიზმის შემუშავება მონაცემთა მომხმარებლებთან უფრო რეგულარული კონსულტაციების და სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად;
 - მონაცემთა მომხმარებლებთან კონსულტაციების საფუძველზე მონაცემებზე მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნის შესწავლას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების სტატისტიკის დროულობის გაუმჯობესების მიზნით;
 - საქართველოში გარემოს შესახებ მონაცემთა მომზადების და გავრცელების სტრუქტურის შექმნა.
- 5.25 მიზნების რეალიზებისთვის საჭიროა შემდეგი საქმიანობის განხორციელება:
- სოფლის მეურნეობის გამოკვლევის შერჩევის ბაზის გადასინჯვა და კვლევების ერთიანი ბაზის შექმნის საკითხის შესწავლა და ანალიზი;
 - მოსახლეობის მომდევნო აღწერის კითხვარებში დამატებითი კითხვების ჩასმის შესაძლებლობის შესწავლა სასოფლო მეურნეობების და მათი მფლობელების დასადგენად;
 - ინტერვიუებზე მუდმივი ჯგუფის აყვანა და მათი უნარების განახლება;
 - შინამეურნეობების კვლევასთან კოორდინირებული სოფლის მეურნეობის კვლევის შედგენა, ანალიზი და პილოტური ტესტირება;
 - სურსათის უსაფრთხოების გაუმჯობესებული და უფრო დროული სტატისტიკის პილოტური ტესტირება;
 - გარემოს გაუმჯობესებული და უფრო დროული სტატისტიკის პილოტური ტესტირება.

⁸ ინფორმაციისთვის იხ. http://www.fao.org/fileadmin/templates/ess/documents/meetings_and_workshops/ICAS5/Ag_Statistics_Strategy_Final.pdf.

5.26 საჭიროებები:

- მუდმივი ინტერვიუების და ზედამხედველების აყვანა, აღწერის დამთავრების შემდეგ;
- კვლევის მართვის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა და მისი გამოყენების შესწავლა;
- ტექნიკური დახმარება;
- სავსე სამუშაოებში GPS მონაცემებისა და პორტატიული კომპიუტერების გამოყენება;
- მონაცემთა მართვისა და დამუშავებისათვის 30-მდე დამატებითი კომპიუტერი;
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკაში ტექნიკური გადამზადების ჩატარება 10-მდე სტატისტიკოსისთვის ბიზნეს გეგმის ოთხნობიანი პერიოდის განმავლობაში.

მოსახლეობის აღწერა და დემოგრაფიული სტატისტიკა

5.27 ყოველწლიურად მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა გამოიანგარიშება მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგებზე დაყრდნობით. დაბადებულთა რიცხოვნობის დამატებით, გარდაცვლილთა რიცხვის გამოკლებით და წმინდა მიგრაციის დამატებით (იანგარიშება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვრის გადაკვეთის მონაცემთა საფუძველზე).

5.28 მოსახლეობის პილოტური აღწერა ჩატარდა 2007 წელს. მორიგი საყოველთაო აღწერა დაგეგმილი იყო 2010 წლისთვის, მაგრამ 2008 და 2009 წლების პოლიტიკური და ფინანსური პრობლემების გამო მისი ჩატარება გადაიდო. ახალი აღწერა დაგეგმილია 2014 წლისთვის, თუმცა შესაბამისი ფინანსური სახსრები ჯერ არ არის გამოყოფილი. გარკვეული ფინანსური და ტექნიკური დახმარება განუვლი იყო გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ და ის გამოყენებულია გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) გამოყენებით რუკების და შინამეურნეობების სიების შესადგენად.

5.29 მოსახლეობის აღწერის და დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველო დემოგრაფიულ სტატისტიკას სამოქალაქო რეესტრიდან და საავადმყოფოებიდან მიღებული დაბადებისა და გარდაცვალების მონაცემებზე დაყრდნობით აწარმოებს. საქსტატს სამოქალაქო რეესტრთან კარგი ურთიერთობები აქვს და განზრახულია ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით. მიგრაციის მონაცემების საკითხი უფრო პრობლემურია, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრო აგროვებს მონაცემებს საზღვრის გადაკვეთის თაობაზე, რასაც საქსტატი იყენებს. მაგრამ ამ მონაცემების მიხედვით შეუძლებელია მიგრაციის მიზნისა და დანიშნულების ქვეყნის დადგენა.

5.30 მსფეროში სტრატეგიის ძირითად მიზანს საყოველთაო აღწერის მომზადება და ჩატარება წარმოადგენს. ვინაიდან მისი ჩატარების დაგეგმვის დაწყება მხოლოდ 2012 წელს გახდება შესაძლებელი (როდესაც მოსალოდნელია ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა), ნავარაუდევია აღწერის 2014 წლისთვის დანიშვნა. როგორც სტრატეგიის წინა ნაწილში აღინიშნა, მასთან ერთად შესაძლებელია სოფლის მეურნეობის აღწერის ჩატარებაც. მოსალოდნელია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ განსაზღვრული რაოდენობის კითხვების ჩასმა აღწერის კითხვარში.

5.31 ამ მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება შემდეგი სამუშაოების ჩატარება.

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერისთვის მომზადება, მათ შორის დეტალური ციფრული რუკების მომზადება, კითხვარების ველზე ტესტირება, ფართომასშტაბიანი PR პროგრამის ჩატარება, ინტერვიუების, ზედამხედველების და სხვა სავსე პერსონალის აყვანა და გადამზადება, მონაცემთა დამუშავების და ანალიზის პროცედურებისა და პროგრამების შემუშავება და ტესტირება;
- მიგრაციის ხანგრძლივობის შესახებ მონაცემთა მიღება ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის შესახებ მონაცემთა ბაზების გამოყენებით, მიგრაციული ბარათების სისტემის დანერგვა ყველა სასაზღვრო პუნქტში მიგრაციის შესახებ არსებულ მონაცემთა შესავსებად;
- შიდა და გარე მიგრაციის მონიტორინგის მიზნით სპეციალური კვლევის ჩატარება. კითხვების შემუშავება შიდა მიგრაციის მონიტორინგისთვის, მაგალითად: შინამეურნეობების კვლევის პარალელურად, რომელიც ჩატარდება მომდევნო საყოველთაო აღწერის შემდეგ.

5.32 საჭირო რესურსები:

- მოსახლეობის აღწერის მართვის თანამშრომლების აყვანა;
- ციფრული რუკების მოსამზადებლად ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა;

- საველე ინტერვიუებისა და ზედამხედველების აყვანა;
- მონაცემთა დამუშავებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა;
- მრავალმხრივი ტექნიკური დახმარება;
- დემოგრაფიული სტატისტიკის საკითხებზე და მოსახლეობის აღწერის მართვაზე მომუშავე ათამდე სტატისტიკოსისთვის ტექნიკური გადამზადების ჩატარება გვემით გათვალისწინებულ პერიოდში.

სოციალური სტატისტიკა

- 5.33 სოციალური სტატისტიკის სამმართველოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვარტალური და წლიური შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევის ჩატარება, მონაცემების დამუშავება და გამოქვეყნება. შინამეურნეობათა წლიური ინტეგრირებული გამოკვლევის მიზანია შინამეურნეობათა შემოსავლების, ხარჯების და შრომის ბაზარზე მონაწილეობის შესახებ მონაცემების შეგროვება. ეს ინფორმაცია გამოიყენება შემოსავლების, ხარჯების, სიღარიბის დონის, დასაქმებისა და უმუშევრობის მონაცემების გასაანგარიშებლად. შინამეურნეობების გამოკვლევა საქსტატის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს, იგი ტარდება ყოველკვარტალურად ცვლადი შერჩევის საფუძველზე იმგვარად, რომ შერჩეული შინამეურნეობა ერთი წელი რჩება კვლევის ბაზაში.
- 5.34 შინამეურნეობების გამოკვლევის წინაშე რამდენიმე პრობლემა დგას, მათ შორისაა ძალიან დიდი, დაახლოებით 70–გვერდიანი კითხვარი და გამოუპასუხებლობის საკმაოდ მაღალი დონე. ასევე არსებობს მონაცემთა ხარისხის და მათი რედაქტირების პრობლემა. ამავე დროს ჯერჯერობით არ ხდება მონაცემთა დიდი ნაწილის სრული ანალიზი და ქვეყნდება ცხრილების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა. შერჩევის ბაზა შედგენილია 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, რის გამოც ის საკმაოდ მოძველებულია და უარყოფითად აისახება მონაცემთა ხარისხზე.
- 5.35 საშუალოვადიანი მიზნები მოიცავს შინამეურნეობების გამოკვლევიდან მიღებული მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებას, ნაწილობრივ საველე სამუშაოების მართვის გაუმჯობესების მეშვეობით და, აგრეთვე, ანალიზის დონის ამაღლების მეშვეობით მონაცემთა ღირებულების გაზრდით. მონაცემთა ხარისხის ამაღლებამ ხელი უნდა შეუწყოს უფრო დეტალურ და სრულყოფილ ანალიზს. შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემებიდან შეიძლება მიღებული იყოს ფასეული ინფორმაცია შინამეურნეობების კეთილდღეობის დონის შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებენ სხვადასხვა ტიპის შინამეურნეობები პოლიტიკის ცვლილებებზე და გარეშე ფაქტორებზე.
- 5.36 შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან, მოსახლეობის აღწერიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნება გენდერული სტატისტიკის წარმოებისათვის. სტრატეგიით გათვალისწინებული პერიოდის ბოლოს საქსტატს ექნება შემუშავებული გენდერული სტატისტიკის წარმოების სტრატეგია, მოხდება საჭირო მონაცემების შეგროვება და ანალიზი.
- 5.37 ამ მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება შემდეგი სამუშაოების ჩატარება:
- 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შემდეგ გადაისინჯება შინამეურნეობების გამოკვლევის შერჩევის ბაზა, კვლევისა და ანალიზის საფუძველზე შემუშავდება გამოკვლევის ერთიანი ბაზა მთელი საქართველოსთვის;
 - კვლევისა და ანალიზის შედეგების საფუძველზე საჭიროებისამებრ გადაისინჯება შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა საველე სამუშაოების სოფლის მეურნეობის კვლევასთან კოორდინირების მიზნით. ამის მიზანია მონაცემთა შესაბამისობის ამაღლება და საველე სამუშაოების ღირებულების შემცირება. ხოლო არსებული პროცედურების ნებისმიერი შეცვლა საველე პირობებში ტესტირების საფუძველზე მოხდება;
 - შემუშავდება და დაინერგება მონაცემთა დოკუმენტირების, არქივირებისა და ანალიზის გეგმა;
 - შემუშავდება საქსტატში გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესებისა და გაფართოების სტრატეგია.
- 5.38 საჭირო რესურსები:
- მოსახლეობის აღწერის შემდეგ საველე ინტერვიუებისა და ზედამხედველების მუდმივი ჯგუფის ჩამოყალიბება;

- მონაცემთა დამუშავებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური აღჭურვილობის შექმნა და გამოყენება;
- GPS და პორტატიული კომპიუტერების გამოყენება სავსე სამუშაოების ხელშეწყობისთვის;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების განახლება ტექნიკური აღჭურვილობისა და კვლევების მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისთვის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის მეშვეობით;
- ტექნიკური დახმარება;
- გვემით გათვალისწინებულ ოთხნობიან პერიოდში ათამდე სტატისტიკოსისთვის ტექნიკური გადმზადების ჩატარება შინამეურნეობების კვლევის მართვისა და ანალიზის საკითხებზე.

სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება

5.39 ისეთი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გავრცელება, რომლებიც არ გამოიყენება, ან რომლებიც არ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს, არ წარმოადგენს შეზღუდული რესურსების ეფექტურ გამოყენებას. შესაბამისად, ბიზნეს გვემის ეს ნაწილი ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ საქმიანობაზე, რომლის განახორციელებასაც ჩვენ ვაპირებთ, რათა ყველა ჩვენი პროდუქტი გახდეს უფრო ხელმისაწვდომი და სასარგებლო. გვემის, რომ ამჟამად საქართველოში ბევრ მომხმარებელს არ გააჩნია საკმარისი გამოცდილება გადანაცვებილების მისაღებად ან რესურსების განაწილებისათვის სტატისტიკის გამოყენებაში. თანამედროვე ტექნოლოგიებმა რევოლუციურად შეცვალა არა მარტო სტატისტიკის შეგროვება და ანალიზი, არამედ მონაცემების გავრცელებისა და გამოყენების ხერხები.

მონაცემთა გავრცელების ეფექტური და მკაფიო პოლიტიკის შემუშავება

5.40 „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ 2009 წლის კანონის მიხედვით საქსტატი განსაზღვრავს მონაცემთა გავრცელების საკუთარ პოლიტიკას. კანონის, ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების, საუკეთესო გამოცდილების თანახმად, სტატისტიკური ინფორმაცია საზოგადოებას უნდა მიენოდოს პრეს რელიზების, ბეჭდვითი პუბლიკაციებისა და საქსტატის ვებ-გვერდის საშუალებით. სტატისტიკური მონაცემები ერთდროულად ქვეყნდება ყველა მომხმარებლისათვის, მათ შორის მთავრობის წევრებისა და სხვა ოფიციალური პირებისათვის. ბეჭდვითი პუბლიკაციები ინახება საქსტატის ბიბლიოთეკაში, რომელიც ღიაა ყველა მომხმარებლისთვის, და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ეგზავნება სამინისტროებს, სხვა სამთავრობო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, უცხოეთის ქვეყნების საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მონაცემთა მწკრივების გამოქვეყნების ან განახლების თარიღი ცხადდება წინასწარ საქსტატის კალენდარის მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება ვებ-გვერდზე.

5.41 გვემის შესრულების პერიოდში განზრახულია ამ პოლიტიკის შენარჩუნება, მაგრამ გავრცელების წამყვან წყაროდ თანდათანობით საქსტატის ვებგვერდი გახდება, რომელსაც, საჭიროებისამებრ, დაემატება პრეს რელიზები. სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილი იქნება ბეჭდვითი ფორმით, თუმცა, სავარაუდოდ პუბლიკაციების რიცხვი და ტირაჟი შეიზღუდება.

ვებ-გვერდის დახვეწა და მომხმარებელზე ორიენტირება

5.42 ამჟამად საქსტატის უახლესი სტატისტიკური მონაცემების უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. მონაცემები წარმოდგენილია ცხრილების, გრაფიკებისა და დიაგრამების სახით. მონაცემების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია მენიუს სისტემით. მომხმარებელმა უნდა იცოდეს იმ მონაცემთა მწკრივები, რომელსაც ეძებს, რათა იპოვოს კონკრეტული სტატისტიკური მონაცემები. სისტემა საკმაოდ გამართულად მუშაობს გამოცდილი და გათვითცნობიერებული მომხმარებლისთვის, მაგრამ ახალ და გამოუცდიელ მომხმარებელზე არ არის ორიენტირებული.

5.43 ამდენად, საშუალოვადიანი მიზანია ვებ-გვერდის იმგვარად გარდაქმნა, რომ მან მონაცემების გავრცელების პლატფორმის სახე მიიღოს, იყოს უფრო გასაგები და ფართო მომხმარებელზე ორიენტირებული.

კონკრეტული ამოცანები მოიცავს შემდეგს:

- მომხმარებლებისათვის ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც მისცემს მონაცემებისა და მონაცემთა ერთობლიობის მოძებნის საშუალებას;
- სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენის გაუმჯობესება და მეტი განმარტებებითა და დამატებითი დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;
- მომხმარებლების ისეთი ინსტრუმენტებით აღჭურვა, რომლის მეშვეობით ისინი შეძლებენ მონაცემებთან მუშაობას. ამჯამად, მომხმარებლებს შეუძლიათ მონაცემთა ჩამოტვირთვა "ექსელის" ცხრილების სახით, მაგრამ არ არსებობს ხერხი, რომელიც მისცემს მათ საშუალებას შექმნან საკუთარი მაჩვენებლები ან ცხრილები, გრაფიკები ან რუკები;
- მეთოდებისა და პროცედურების განმარტების ხელმისაწვდომობა, მომხმარებლების უკეთ გარკვევა, თუ როგორ შეგროვდა მონაცემები და რა შესაძლო შეზღუდვები არსებობს მონაცემთა გამოყენებასთან დაკავშირებით;
- მონაცემთა ყოვლისმომცველი ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მონაცემთა მწკრივები და, ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა სფეროს მონაცემები ძირითადი მაჩვენებლებისთვის, რათა მომხმარებლებს შეეძლოთ მათთვის საჭირო სახით ცხრილების, გრაფიკების, დიაგრამების და რუკების შედგენა.

5.44 ამისთვის საჭიროა ვებ გვერდის გაუმჯობესებისა და განახლების პროგრამა, რაც თავის მხრივ საჭიროებს:

- ტექნიკურ დახმარებას;
- სპეციალური კომპიუტერული პროგრამის შექმნას ვებ-გვერდის ფუნქციების გაზრდისა და ეფექტური უსაფრთხოების უზრუნველყოფად;
- სერვერების გაუმჯობესებას;
- პროგრამისტებისა და ვებ-დიზაინერების დაქირავებას;
- პერსონალის გადამზადებას.

საქმიანობის დოკუმენტირება და მეთამონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა

5.45 სტატისტიკის გაუმჯობესებისა და გამოყენების გაზრდისათვის საჭიროა არა მარტო ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების წარმოება და გავრცელება, არამედ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იქნა წარმოებული ეს მონაცემები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რა შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს მონაცემების ინტერპრეტაციასა და გამოყენებაში. ამგვარ ინფორმაციას მეთამონაცემები ეწოდება. ამჯამად საქსტატის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია მეთამონაცემები სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებისთვის, მაგრამ ინფორმაციის დიდი მოცულობა კვლავაც არ არის ხელმისაწვდომი. გარკვეული ინფორმაცია მონაცემების შეგროვებისა და მაჩვენებლების გაანგარიშების ხერხების თაობაზე მოცემულია ბეჭდურ პუბლიკაციებში, თუმცა იგი ნაკლებად გამოყენებადია, თუ მომხმარებლებს არ მიუწვდებათ ხელი მონაცემებზე ვებ გვერდის მეშვეობით.

5.46 ამდენად, გვერდის შესრულების პერიოდში, ჩვენ ვაპირებთ ჩვენი სტატისტიკური პროცედურებისა და პროცესების თაობაზე სრული დოკუმენტაციის მომზადებას იმისთვის, რომ 2014 წლისთვის ყველა არსებული და ახალი სტატისტიკურ მონაცემთა მწკრივი ან საქმიანობა იყოს სათანადოდ დოკუმენტირებული და მომზადებული ისეთ ფორმატში, რომელიც ხელმისაწვდომი და გასაგები იქნება მომხმარებლისათვის. ჩვენ გამოვიყენებთ სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფილია სტატისტიკური ბიზნეს პროცესის ტიპური მოდელის მიერ (Generic Statistical Business Process Model – GSBPM), და რომელიც შეუშავებულია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ⁹, რათა მოხდეს ყველა ჩვენი პროცესის დოკუმენტირება რეგულარული გადასინჯვისა და სრული დოკუმენტაციის ჩათვლით. ამ პროცესის ნაწილი გულისხმობს შესაბამისი მეთამონაცემების ვებ გვერდზე გამოქვეყნებას და ბეჭდური ფორმით გამოცემას. იმისათვის, რომ ჩვენი მეთამონაცემები შესაბამებოდეს რეგიონალურ და საერთაშორისო მეთამონაცემებს, აუცილებელია, ჩვენი დოკუმენტირება განხორციელდეს სტატისტიკურ

⁹ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: <http://www1.unece.org/stat/platform/display/metis/The+Generic+Statistical+Business+Process+Model>.

მონაცემთა და მეტა-მონაცემთა გაცვლის სტანდარტის (Statistical Data and Metadata Exchange – SDMX) შესაბამისად.

5.47 საჭიროებები:

- ტექნიკური დახმარება;
- პერსონალის გადამზადება.

მომხმარებელთან დიალოგის ხელშეწყობა / გამართვა და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება

5.48 სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების პროცესის კიდევ ერთი ნაწილია მომხმარებელთან დიალოგის გამართვა და დახვეწა, რაც მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

- რეგულარული სემინარების ან კონფერენციების გამართვას, კერძოდ, ყოველწლიურად ერთი დიდი კონფერენციის ჩატარებას;
- საჭიროებისამებრ კონსულტაციებს სპეციალისტ-მომხმარებელთან სხვადასხვა საკითხებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგეგმება მეთოდების შეცვლა ან ხდება ახალი საქმიანობების ინიცირება;
- მომხმარებელთან უკუკავშირის პროცესის უზრუნველყოფას, მაგალითად, მომხმარებელთა ფორუმის შექმნას ვებ გვერდზე;
- პერიოდულად მომხმარებელთა საჭიროებების და/ან კმაყოფილების გამოკითხვის ჩატარებას;
- საქსტატში მომხმარებელთა დახმარების სამსახურის შექმნას.

5.49 საჭიროებები:

- ტექნიკური დახმარება და რჩევა;
- სულ ცოტა ერთი დამატებითი თანამშრომლის აყვანა, რომელსაც ექნება სათანადო გამოცდილება კომუნიკაციის სფეროში;
- პერსონალის გადამზადება.

მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება კვლევისა და შემდგომი ანალიზისათვის

5.50 ამჟამად საქსტატი უზრუნველყოფს ზოგიერთი მიკრომონაცემის ხელმისაწვდომობას, მაგალითად, ცალკეული შინამეურნეობის შესახებ მონაცემების შინამეურნეობების გამოკვლევიდან და ზოგიერთი სხვა მონაცემის. ეს აძლევს მომხმარებელს საშუალებას, ჩაატაროს საკუთარი კვლევა და ანალიზი და ამით გაზარდოს თავისი კვლევის ფასეულობა. არსებული წესების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მონაცემთა კომპლექტები არ არის სრულად დოკუმენტირებული, აქედან გამომდინარე, მომხმარებელს არ ეცოდინება, როგორ იქნა მიღებული ეს მონაცემები, რა კითხვები იყო დასმული, რა ცვლილებები იყო შეტანილი რედაქტირებისა და კონტროლის პროცედურების დროს და, შედეგად, რა შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს მათი ინტერპრეტირებისა და გამოყენებისას. ამავე დროს, საქსტატი არ ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ ვინ ჩამოტვირთავს მონაცემებს, როგორ იყო გამოყენებული ინფორმაცია, რა სახის ანალიზი ჩატარდა. გარდა ამისა, საქსტატს არ აქვს მომხმარებელთან უკუკავშირი.

5.51 საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც შემუშავდა შინამეურნეობების კვლევების საერთაშორისო ქსელის (International Household Survey Network – IHSN) მიერ, და რომელიც დადგენილია საერთაშორისო სტანდარტებით (როგორცაა, მაგალითად, მონაცემთა გავრცელების ინიციატივა (Data Dissemination Initiative – DDI), გვიჩვენებს, რომ საჭიროა უფრო ყოვლისმომცველი მიდგომების გამოყენება. კერძოდ, საქსტატმა უნდა განახორციელოს ინვესტიცია გამოკითხვების მონაცემებისა და მეტამონაცემების დოკუმენტირებაში, მონაცემთა ეროვნული არქივის შექმნაში და უზრუნველყოს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ასევე საჭიროა ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული რესპონდენტების შესახებ მონაცემების კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კონფიდენციალურობის დაცვას. ამავე დროს, მკვლევარებსა და ანალიტიკოსებს უნდა მიეცეთ მიკრომონაცემებზე წვდომის საშუალება. მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი სახის

ინვესტიცია ძალიან კარგ შედეგს იძლევა, კეთდება რა მონაცემების უფრო სრულყოფილი ანალიზი, ხოლო სტატისტიკური უწყება მომხმარებლების უკუკავშირის მეშვეობით იღებს ღირებულ ინფორმაციას მონაცემების ხარისხისა და გამოკითხვების ეფექტურობის თაობაზე.

- 5.52 ამდენად, ბიზნეს გეგმის ფარგლებში 2012 წლისათვის საქსტატი გახსნის მონაცემთა ეროვნულ არქივს, სადაც შევა შინამეურნეობების, სოფლის მეურნეობის უახლესი გამოკვლევების მონაცემები და სხვა შესაბამისი მონაცემები. გამოყენებული იქნება როგორც ტექნიკური დახმარება, ისე შინამეურნეობათა კვლევის საერთაშორისო ქსელის (International Household Survey Network – IHSN) ინსტრუმენტები. საჭიროებები:
- ტექნიკური დახმარება და რჩევები/რეკომენდაციები;
 - სულ ცოტა ერთი თანამშრომლის აყვანა არქივის გაძღოლისთვის;
 - გადამზადება.

მაკროეკონომიკური და გონივრული საბარბო პოლიტიკა

- 5.53 მიუხედავად იმისა, რომ იგეგმება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქსტატის დაფინანსების თანდათანობითი ზრდა, გვესმის, რომ მაკროეკონომიკური პრობლემების გამო დაფინანსების ზრდა შემზღვეული იქნება, ყოველ შემთხვევაში, საშუალოვადიან პერიოდში. ამდენად, ძალზედ მნიშვნელოვანია დამატებითი თანხების აკუმულირება ზოგიერთ პროდუქტზე საფასურის დანესების და შეკვეთების შესრულების საშუალებით. ამდენად, ჩვენი წინადადებაა, სრული საბარბო პოლიტიკის შემუშავება და გამოქვეყნება. პოლიტიკა მოიცავს შემდეგ პრინციპებს:
- ძირითადი სტატისტიკური ინფორმაციის უფასოდ მიწოდებას ყველა მომხმარებლისათვის;
 - ტარიფების დადგენას სპეციალურ და არასტანდარტულ პროდუქტებზე, რომლებიც დამოკიდებული იქნება განუვალ ხარჯებზე;
 - საქსტატს შეეძლება შეკვეთების შესრულება სტატისტიკის გამოქვეყნების უფლებით ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის შესაბამისად და იმ პირობით, რომ თავად განსაზღვროს მეთოდები და პროცედურები;
 - გამოყენებული იქნება დიფერენცირებული პოლიტიკა მომხმარებლის გადახდისუნარიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

- 5.54 მოსალოდნელია, რომ ამგვარი პოლიტიკა შემუშავდება 2011 წელს და გამოქვეყნდება 2012 წლის ივნისისთვის.

ადამიანური რესურსების განვითარება

- 5.55 თანამშრომლები საქსტატის უმნიშვნელოვანესი რესურსია. მუდმივი თანამშრომლების სახელფასო ფონდი 2011 წლის ბიუჯეტის 32 პროცენტს შეადგენს¹⁰ და, ჯერჯერობით, ეს არის ხარჯების ყველაზე მსხვილი ნაწილი. სტატისტიკის ხარისხისა და მოცვის რაიმე გაუმჯობესება დამოკიდებული იქნება პერსონალის უნარების, ეფექტურობისა და მწარმოებლურობის გაზრდაზე. თუმცა, ვვარაუდობთ პროფესიონალებისა და დანარჩენი თანამშრომლების რიცხოვნობის გარკვეულ ზრდას ამ გეგმის განხორციელების პერიოდში – ნაწილობრივ, მონაცემთა ხარისხისა და მოცვის უზრუნველსაყოფად – ამავდროულად უნდა გავითვალისწინოთ საბიუჯეტო შეზღუდვები. ამრიგად, საქმიანობის გაუმჯობესება უნდა იყოს მიღწეული არსებული ადამიანური რესურსის მწარმოებლურობის გაზრდის ხარჯზე.
- 5.56 გეგმის ძირითად მოთხოვნა უკავშირდება საკადრო საკითხის ორი პრობლემის მოგვარებას. პირველი – კვალიფიციური კადრების აყვანა და შენარჩუნებაა. საქართველოში არსებობს სტატისტიკისა და მონაცემთა დამუშავების ცოდნისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალები ნაკლებობა. ამდენად, მომდევნო წლებში აუცილებელია, რომ საქსტატში მუშაობა გახდეს უფრო მიმზიდველი, ვიდრე სხვა დამსაქმებლებთან. მეორე პრობლემაა ის, რომ შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ადამიანების რიცხოვნობა ძალიან მცირეა და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ეს მდგომარეობა არ

¹⁰ თუ დავიანგარიშებთ მთელ ხარჯებს ყველა ხელფასზე, რეგისტრატორებისა და ინტერვიუერების ჩათვლით, წილი 84 პროცენტს მიაღწევს.

შეიცვლება. პერსონალის რიცხოვნობის მცირეოდენი გაზრდის გარდა, მნიშვნელოვანია გამოცდილი სტატისტიკოსებისა და ეკონომისტების რაც შეიძლება ეფექტურად გამოყენება და ისეთი პროცესების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს მათი კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის რეგულარულ ამაღლებას.

სტატისტიკის სისტემაში მუშაობის მიზიდვლობის გაზრდა

5.57 იმისათვის, რომ საქსტატიში მუშაობა მიმზიდველი გახდეს როგორც უკვე მომუშავე, ისე პოტენციური თანამშრომლებისათვის, საჭიროა რამდენიმე სფეროში ქმედებების განხორციელება. ანაზღაურების ზრდასთან ერთად გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც. ეს გულისხმობს: მიმზიდველი სამუშაო გარემოს შექმნას; სამუშაოს დაგეგმვის ეფექტური და მკაფიო პროცესების უზრუნველყოფას, რის შედეგადაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება, რა შედის მის მოვალეობებში, ვის წინაშე არის ანგარიშვალდებული და როგორ შეფასდება მისი მუშაობა. ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლებისთვის კარიერული ზრდის საშუალების მიცემა. ამისთვის ცნობილი უნდა იყოს დანიშნულების კრიტერიუმები და შრომა შესაბამისად უნდა ანაზღაურდეს. ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს საშუალება მუდმივად აიმაღლოს კვალიფიკაცია. ამისთვის, საჭიროა შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- საქსტატს ესაჭიროება ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა. ეს სისტემა უნდა შეიცავდეს მკაფიო პოლიტიკასა და პროცესს, რომელიც განსაზღვრავს ყველა თანამდებობისთვის აუცილებელ კომპეტენციასა და უნარებს და აგრეთვე, შეფასების სისტემას, რომელიც დაეხმარება მათ საკუთარი შრომის შეფასებაში და იმის განსაზღვრაში, თუ რა უნდა გააკეთონ დანიშნულებისათვის;
- ყველა სტრუქტურული დანაყოფის მენეჯერების გადამზადება, რათა მათ უკეთ შეძლონ საკუთარი თანამშრომლების მოტივირება და მონიტორინგი;
- გადამზადების საჭიროებების განსაზღვრისა და ყოველწლიურად განახლებადი გადამზადების გეგმის სისტემის დანერგვა;
- რეგულარული კონსულტაციების ჩატარება ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს შორის.

5.58 საჭიროებები:

- ტექნიკური დახმარება;
- გადამზადება საქართველოში და საზღვარგარეთ;
- ადამიანური რესურსების მართვის სპეციალური კომპიუტერული პროგრამის შექმნა.

5.59 აგრეთვე ცნობილია, რომ ამ ეტაპზე საქსტატის პროფესიონალი სტატისტიკოსებისა და ეკონომისტების ანაზღაურება უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს სხვა სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაწესებულებებში. საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია ამ განსხვავების შემცირება, რათა სტატისტიკის სფეროში მუშაობა საკმარისად მიმზიდველი გახდეს საუკეთესო კადრების მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის. აგრეთვე ცნობილია, რომ გეგმის განხორციელების პერიოდში ნაკლებად შესაძლებელია ანაზღაურების გაზრდა შეზღუდული დაფინანსების გამო. მიუხედავად ამისა, საქსტატი საბჭოს მეშვეობით დაიწყებს მოლაპარაკებას ფინანსთა სამინისტროსთან ანაზღაურების შესაძლო გაზრდის თაობაზე ამ დოკუმენტის მეშვიდე თავში წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისად.

კადრების რიცხოვნობის შესაბამისობა დაბითრივის დონესთან

5.60 ბიზნეს გეგმა გულისხმობს საქსტატის სათავო ოფისის მუდმივი პერსონალის მცირე ზრდას იმგვარად, როგორც მითითებულია ცხრილში 5.1. თუმცა, ზრდა მიიღწევა რეგიონალურ ოფისებში პერსონალის შემცირების ხარჯზე.

ცხრილი 5.1. პერსონალის დაგეგმილი რიცხოვნობა საქსტატის სათავო და რეგიონალურ ოფისებში 2011-2014 წლებში

	2011	2012	2013	2014
ხელმძღვანელობა	3	3	3	3
აღმასრულებელი დირექტორის აპარატი	6	5	5	5
იურიდიული განყოფილება	3	1	1	1
მეთოდოლოგიის დეპარტამენტი				
მუდმივი	3	5	5	5
დროებითი	0	0	0	0
ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი				
მუდმივი	3	5	5	5
დროებითი	8	8	8	8
მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო				
მუდმივი	6	6	6	6
დროებითი	11	11	19	32
საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო				
მუდმივი	6	8	8	8
დროებითი	2	2	2	2
სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო				
მუდმივი	5	6	6	6
დროებითი	4	3	3	3
ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო				
მუდმივი	21	21	21	21
დროებითი	10	10	10	10
სოციალური სტატისტიკის სამმართველო				
მუდმივი	13	13	13	13
დროებითი	14	10	10	10
ეროვნული ანგარიშების სამმართველო				
მუდმივი	6	8	8	8
დროებითი	0	0	0	0
შიდა აუდიტის სამმართველო				
მუდმივი	4	5	5	5
დროებითი	0	0	0	0
ფასების სტატისტიკის სამმართველო				
მუდმივი	7	7	7	7
დროებითი	2	2	2	2
ადმინისტრაციული სამმართველო				
მუდმივი	11	11	11	11
დროებითი	16	10	10	10
ტერიტორიული ორგანოები	52	45	45	45
სულ				
მუდმივი	149	149	149	149
დროებითი	67	56	66	80
სათავო ოფისის პერსონალი	164	160	170	184
სულ პერსონალი	216	202	206	223

5.61 ტერიტორიული ორგანოების პერსონალის რიცხოვნობის მონაცემები მოტანილია ცხრილში 5.2. იგი მოიცავს ინტერვიურებს და პერსონალს, რომელიც საჭიროა კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის, კერძოდ, 2014 წლისთვის დაგეგმილი მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის.

ცხრილი 5.2. სავლელ პერსონალის დაგეგმილი რიცხოვნობა 2011-2014 წლებისთვის

	2011	2012	2013	2014
ზედამხედველები	65	65	465 ¹¹	3,065 ¹¹
სავლელ პერსონალი	445	445	3 445 ¹¹	18 445 ¹¹
სულ	510	510	3 910¹¹	21 510¹¹

ინვესტირება ცოდნასა და უნარებში

5.62 სტატისტიკური საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელება თანამშრომელთა გადამზადებაში. გადამზადების გეგმა დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ყველა მუდმივმა თანამშრომელმა ყოველწლიურად უნდა გაიაროს გადამზადების ორი ღონისძიება, რომელთა ჯამურმა ხანგრძლივობამ უნდა შეადგინოს წელიწადში ორიდან ოთხ კვირამდე;
- საქსტატი შეეცდება განათლების სათანადო დონის მქონე პირების აყვანას. ეს გაზრდის თანამშრომლების მოტივაციას, გააუმჯობესონ და დახვეწონ საკუთარი კომპეტენცია შესაბამისი კვალიფიკაციის ფარგლებში;
- ზოგადად, საქსტატი არ დაუჭერს მხარს და არ დააფინანსებს პერსონალის ხანგრძლივ გადამზადებას საზღვარგარეთ, თუ ასეთი გადამზადების ხანგრძლივობა 6 თვეს აღემატება. შესაძლებელია ხანგრძლივი გადამზადების მხარდაჭერა საქართველოში არსებულ შესაბამის კურსებზე;
- სავარაუდოდ, გადამზადება ძირითადად ჩატარდება სამუშაო ადგილზე მონვეული ექსპერტების მეშვეობით.

5.63 ცხრილში 5.3 ნაჩვენებია ყოველწლიური ინვესტიციის მოცულობა გადამზადების სახეობის მიხედვით. ამ ეტაპზე ცხრილში მითითებული ციფრები მხოლოდ ინდიკატური ხასიათისაა. გადამზადების წლიური გეგმები მომზადდება დაწესებულების და თანამშრომელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ცხრილში მოკლევადიანი გადამზადება გულისხმობს ექვს თვემდე ხანგრძლივობის კურსებს.

ცხრილი 5.3. სავარაუდო გადამზადება 2011-2012 წლებში (თანამშრომელთა რიცხოვნობა)

	2011	2012	2013	2014
მოკლევადიანი გადამზადება საქართველოს ფარგლებს გარეთ	17	17	18	17
გრძელვადიანი გადამზადება საქართველოში	1	2	1	2
მოკლევადიანი გადამზადება საქართველოში	29	31	31	32

¹¹ მოსახლეობის აღწერისათვის საჭირო სავლელ მუშაკების ჩათვლით.

სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაციისა და მართვის გაუმჯობესება

5.64 ბიზნეს გვემის ამ ნაწილში განხილულია საქართველოს სტატისტიკის სისტემის მართვა და კოორდინაცია. სისტემის სტრუქტურა დადგენილია 2009 წლის საქართველოს კანონით "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ". თუმცა, 2009 წლის კანონი არ ითვალისწინებს სტრუქტურის ძირეულ ცვლილებებს, მაინც არსებობს ზოგიერთი საყრადღებო საკითხი, რომლებზეც ვიმსჯელებთ ქვემოთ.

საქსტატის საბჭოს ანგარიშვალდებულებისა და როლის გაძლიერება

5.65 საქსტატის საბჭო დაინიშნა 2010 წლის თებერვალში. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საბჭოს წევრები დაინიშნენ ოთხი წლის ვადით და მათი განმეორებით დაინიშვნა არ არის დაშვებული. ეს გულისხმობს, რომ საბჭოს მთელი შემადგენლობა, აღმასრულებელი დირექტორის ჩათვლით, დაასრულებს მუშაობას 2014 წლის თებერვალში და დაინიშნება ახალი საბჭო, რაც პოტენციურად ხელმძღვანელობის უწყვეტობის შენარჩუნებისთვის პრობლემას წარმოადგენს.

5.66 კანონის შესაბამისად, აღმასრულებელი დირექტორი ამავე დროს საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებს. ასეთ დებულებას ვერ შეხვდებით ბევრ სხვა ქვეყანაში. უფრო გავრცელებულია მოდელი, სადაც აღმასრულებელი დირექტორისა და თავმჯდომარის ფუნქციები გაყოფილია, რაც ნაწილობრივ ემსახურება საბჭოს ანგარიშვალდებულების ფუნქციის გაძლიერებას. ამავედროულად ეს ამცირებს აღმასრულებელი დირექტორის დატვირთვას და აძლევს მას საშუალებას, მიიღოს დამოუკიდებელი რჩევა. 2014 წლის შემდეგ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებში მოსალოდნელია ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანა და თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის ფუნქციების გამიჯვნა.

5.67 კანონმდებლობის თანახმად, საბჭოს ფუნქციები მოიცავს იმ სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის გადასინჯვას, რომლებიც გამოიყენება სტატისტიკურ საქმიანობისას. სტატისტიკური მეთოდებისა და პროცედურების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავებას, მათ დამტკიცებას და საჭიროებისამებრ საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების დანერგვას. საბჭოს ხელი უნდა მიუწვდებოდეს დამოუკიდებელ ტექნიკურ რჩევა-რეკომენდაციებზე, რათა განსაზღვროს, შეესაბამება თუ არა საქსტატისა და სტატისტიკის სხვა მწარმოებლების მიერ გამოყენებული პროცედურები კანონის მოთხოვნებს. ამჟამად გაურკვეველია, რამდენად ხელმისაწვდომია საბჭოსთვის ამგვარი რჩევა.

5.68 ტექნიკური რჩევისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის და ეროვნული სტატისტიკური სისტემის მიერ გამოყენებული მეთოდების გადასინჯვისათვის ზოგიერთმა ქვეყანამ შექმნა ტექნიკური საკონსულტაციო ორგანოები. საქართველო მცირე ქვეყანაა და ნაკლებად შესაძლებელია დამოუკიდებელი სტატისტიკური რეკომენდაციის სტატისტიკის ოფიციალური სისტემის ფარგლებს გარედან. სავარაუდოდ, რთული იქნება ოფიციალური საკონსულტაციო ჯგუფის ჩამოყალიბება მუდმივი შემადგენლობით, თუმცა საქსტატსა და საბჭოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოიძიოს დამოუკიდებელი ტექნიკური რჩევა. ბიზნეს გვემის მოქმედების პერიოდში, სასურველია არაფორმალური ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა, რომლის წევრთა რიცხვი საწყის ეტაპზე არ უნდა აღემატებოდეს სამს (ყველა საქართველოში უნდა იმყოფებოდეს). საბჭოს ექნება საშუალება, მიიღოს ჯგუფის რეკომენდაციები და რჩევები, ხოლო თავის მხვრივ ჯგუფი მოიძიებს ტექნიკურ შესაძლებლობებს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. ჯგუფის ხარჯები შეტანილია ბიუჯეტის პროექტში (იხ. მეშვიდე თავი).

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების სხვა მწარმოებლებთან კოორდინაციის გაუმჯობესება და საქართველოში სტატისტიკურ მონაცემთა ხარისხის სტანდარტების გამოყენება

5.69 2009 წლის კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" ოფიციალურ სტატისტიკად მიიჩნევს საქართველოს ეროვნული ბანკის და, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოებულ სტატისტიკას, თუ მისი წარმოება ხორციელდება საქსტატის საბჭოს მიერ დამტკიცებული/ალიარებული საერთაშორისო ანალოგების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სტანდარტების საფუძველზე. ჯერ-ჯერობით შეუძლებელია კანონის ამ დებულების ფორმალურად შესრულება და სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, ნავარაუდევია იმ ოფიციალური სტატისტიკის ფორმალური აღიარების პროცესის დანერგვა, რომელიც არ იწარმოება საქსტატის მიერ.

- 5.70 ნავარუდევია, რომ ეს მოხდება სხვა სფეროებში ოფიციალური სტატისტიკისათვის სათანადო სტანდარტების დანერგვის საშუალებით. ამასთან, უნდა არსებობდეს საბჭოს მიერ შეფასების პროცესი, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება, რამდენად პასუხობს წარმოებული სტატისტიკა მიღებულ სტანდარტებს. პროცესის მართვა განხორციელდება ურთიერთგაგების მემორანდუმების საფუძველზე, რომლებზეც მუშაობა საქსტატს უკვე დაწყებული აქვს სხვადასხვა უწყებებთან. ურთიერთგაგების მემორანდუმის შეთანხმებისა და ხელმოწერის შემდეგ, საქსტატი, მეთოდოლოგიის სამმართველოს მეშვეობით, იმუშავებს უწყებასთან არსებული პრაქტიკისა და პროცედურების გადასინჯვის და ისეთი სტანდარტების დადგენის მიზნით, რომლებიც დაეფუძნება საერთაშორისო რეკომენდაციებს. პროცესი ნებაყოფლობითია და მასში სტატისტიკის სხვა მწარმოებლების მონაწილეობა მისასალმებელი იქნება.
- 5.71 იქ, სადაც სტატისტიკური მონაცემები უკვე ინარმოება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც, მაგალითად, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროში (ვინაიდან ამ უწყებების სტატისტიკური ანგარიშგება უკვე აკმაყოფილებს SDDS-ის მოთხოვნებს), პროცესი ძალიან მარტივი იქნება. სხვა შემთხვევებში საჭირო იქნება მსჯელობა შესაბამის სამინისტროებსა ან უწყებებთან, რათა დადგინდეს, რამდენად დაინტერესებულნი არიან ისინი საკუთარი სტატისტიკის შეფასებაში და რა დამატებითი დახმარებაა საჭირო მეთოდებისა და პროცედურების სათანადო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანისათვის. მოხდება შესაბამისი ტექნიკური რეკომენდაციის მოძიება სხვა ქვეყნების სტატისტიკურ სისტემებში, რათა განისაზღვროს სხვა ქვეყნების გამოცდილება და მისი საქართველოში გამოყენების შესაძლებლობა.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

- 5.72 ბიზნეს გეგმის ეს ნაწილი ეძღვნება საქსტატის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურაში ინვესტირებასა და მის შენარჩუნებას. აღნიშნული გულისხმობს ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, როგორცაა, მაგალითად, შენობა-ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებები, სხვადასხვა სახის მოწყობილობები და დანადგარები, განსაკუთრებით საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები და სტატისტიკური ინფრასტრუქტურა.

რეგისტრებისა და შერჩევის ბაზების გაუმჯობესება

- 5.73 ბიზნეს რეგისტრის შემუშავებისა და ფუნქციონირების, ისევე როგორც შინამეურნეობების გამოკვლევის შერჩევის ბაზის განახლების საჭიროება ამ დოკუმენტში უკვე ნახსენები იყო. გაუმჯობესებული რეგისტრები და შერჩევის ბაზები საჭიროა ბიზნეს სტატისტიკისთვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფასების სტატისტიკისთვის, შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევისა და სოფლის მეურნეობის გამოკვლევისათვის. ყველა ჩამოთვლილი შემთხვევისთვის საჭიროა რეგისტრებისა და ბაზების გადასინჯვა მათი სიზუსტის და განახლების უზრუნველსაყოფად. აუცილებელია გარკვეული პროცედურების შემოღება მომავალში მათი სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.
- 5.74 რეგისტრების გადასინჯვისა და განახლებისათვის საჭირო ქმედებები და ღონისძიებები გულისხმობს შემდეგს:
- მოსახლეობის აღწერას, რომელიც უზრუნველყოფს ახალ ჩარჩოს შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევისათვის და სოფლად არსებული შინამეურნეობების ჩამონათვალს;
 - დაგეგმილ სასოფლო-სამეურნეო აღწერას, რომელიც ჩატარდება მოსახლეობის აღწერასთან კოორდინირებულად დამატებითი მონაცემების მოპოვების მიზნით. ეს მოგვცემს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სოფლის მეურნეობის კვლევის შერჩევის ბაზისათვის და შინამეურნეობათა ინტეგრირებულ გამოკვლევასთან კოორდინირებისათვის. ის აგრეთვე უზრუნველყოფს შერჩევის ბაზას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კვლევისათვის;
 - დაგეგმილი ეკონომიკური აღწერის ჩატარებას, რაც მოგვცემს ყველა ბიზნეს საწარმოს ჩამონათვალს. ამას დამატება მოსახლეობის აღწერიდან მიღებული ინფორმაცია შინამეურნეობების ბიზნეს საწარმოების შესახებ;
 - ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ საჭირო იქნება ეფექტური პროცედურების შემუშავება ბიზნეს რეგისტრის განახლების მიზნით.

5.75 საჭიროებები:

- ტექნიკური დახმარება;
- გადამზადება;
- მონაცემთა ბაზების სპეციალური პროგრამების შექმნა.

შესაბამისი და განახლებული კლასიფიკაციებით უზრუნველყოფა

5.76 საჭიროა გარკვეული სამუშაოს ჩატარება სხვადასხვა კლასიფიკაციების გაძღოლისა და განახლების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ბიზნეს დანვსებულებების, დასაქმების, ეკონომიკური საქმიანობის და სხვა. ძირითადი საქმიანობა, რომელიც უნდა ჩატარდეს გეგმის მოქმედების პერიოდში, მდგომარეობს შემდეგში:

- ჰს 2007 კლასიფიკაციის ქართული და ინგლისური ვერსიების გადასინჯვა, ექვსნიშნა დონეზე;
- პროდუქციისა და მომსახურების კლასიფიკაციის გადასინჯვა და განახლება, რომელიც გამოიყენება ფასების შეგროვებისათვის და მისი პორტატიულ კომპიუტერებში შეტანა;
- დარგობრივი და დასაქმების კლასიფიკაციების გადასინჯვა და განახლება;
- სასოფლო მეურნეობებისათვის გამოყენებული საკლასიფიკაციო სქემის გადასინჯვა და განახლება.

5.77 საჭიროებები:

- ტექნიკური დახმარება;
- გადამზადება.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა და გეოგრაფიული კოორდინატების მონაცემების გამოყენების გაუმჯობესება

5.78 სტატისტიკური მონაცემების მნიშვნელობა შეიძლება არსებითად გაიზარდოს, თუ შესაძლებელი იქნება მათი დაკავშირება ფიზიკურ ადგილმდებარეობასთან გეოგრაფიული კოორდინატების საშუალებით. საქსტატმა განახორციელა ინვესტიცია გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის (GIS) შექმნაში და ამჟამად აგრძელებს მუშაობას ადმინისტრაციული ერთეულების დეტალური ციფრული რუკების შემუშავებაზე, რაც მოსახლეობის აღწერისთვის მომზადების ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს. აგრეთვე, GIS მეტად მნიშვნელოვანია რეგიონული სტატისტიკის წარმოებისათვის, სტატისტიკური ინფორმაციის აგრეგირების სხვადასხვა დონეებზე მიწოდებისათვის და მისი რუკის სახით შედგენისა და გავრცელებისათვის.

5.79 გეგმის განხორციელების პერიოდში სამუშაოების მიმართულებები გაიზრდება და 2014 წლისთვის ჩამოყალიბდება სრულყოფილი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა. ამის შემდეგ ყველა მონაცემი აღჭურვილი იქნება გეოგრაფიული კოორდინატებით. ბიზნეს გეგმის განხორციელების პერიოდში ჩასატარებელია შემდეგი საქმიანობები:

- ყველა ბიზნეს სანარმოს ბიზნეს რეგისტრში შეტანა და გეოგრაფიული კოორდინატების დადგენა;
- ყველა სასოფლო მეურნეობის იდენტიფიცირება და გეოგრაფიული კოორდინატების დადგენა;
- დასახლებული პუნქტების (ქალაქების, სოფლებისა და სხვა დასახლებების) გეოგრაფიული კოორდინატების დაზუსტება;
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ფარგლებში ფიზიკურ და სხვა ინფრასტრუქტურაზე ინფორმაციის შეტანის უზრუნველყოფა (განათლებისა და ჯანდაცვის დაწესებულებები, გზები და ა.შ.);
- ყველა ადმინისტრაციული საზღვრის ციფრულ ფორმატში გადატანა და პროცედურების დადგენა გეოინფორმაციული სისტემის განახლებისათვის ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთანავე.

5.80 საჭიროებები:

- ტექნიკური დახმარება;
- გადამზადება;
- ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური GIS პროგრამის განახლება.

მონაცემთა მართვის გაუმჯობესება და მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა

5.81 იმისათვის, რომ საქსტატის წარმოებული ყველა ინფორმაცია რაც შეიძლება მეტად იქნეს გამოყენებული, მნიშვნელოვანი იქნება ზოგადად მონაცემთა მართვის გაუმჯობესება და არსებული მონაცემების (განსაკუთრებით მათი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ინდივიდუალური რესპონდენტების იდენტიფიცირებისთვის) დაცვა. მონაცემთა მართვის პროცესი ამჟამად განიხილება ახალი IT სტრატეგიის ფარგლებში. ამ მიზნის მისაღწევად მიმართული საქმიანობა მოიცავს:

- მონაცემებთან დაკავშირებული ყველა პროცესის დოკუმენტირებას ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი განხილვა და საჭიროების შემთხვევაში დუბლირება;
- ყველა მონაცემის დუბლირება და შენახვა და მონაცემთა პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფა ხელშემშლელი პირობების მოქმედების შემთხვევაში;
- მონაცემებთან დაკავშირებული პროცესები უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებსა და საერთაშორისო რეკომენდაციებს;
- მონაცემებთან დაკავშირებული ყველა პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ისეთი მონაცემების, რომლებიც მისაწვდომია ვებ გვერდის და სხვა გარე საშუალებებით;
- კომუნიკაციისა და მონაცემთა გადაცემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

5.82 საჭიროებები:

- ტექნიკური დახმარება;
- გადამზადება;
- ტექნიკური საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება.

მონაცემთა შეგროვების ეფექტურობის გაზრდა

5.83 ხარჯების შემცირება და საქსტატის ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს ბიზნეს გეგმის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. მონაცემთა შეგროვების ღირებულების შემცირების ზომები ამის ძირითადი საშუალებაა. მაგალითად, კვლევების კოორდინაცია, რეგისტრატორების ერთი და იგივე ჯგუფების გამოყენება, კვლევის მართვის პროგრამის გამოყენება პორტატიული კომპიუტერების მეშვეობით. მიზანი იქნება გეგმის განხორციელების პერიოდში მონაცემთა შეგროვების ღირებულების შემცირება, განსაკუთრებით, ერთ რესპონდენტზე გასანევი ხარჯის შემცირება. ამის მისაღწევად საქსტატმა უნდა განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

- ერთ რესპონდენტზე რეგისტრაციის საშუალო ხარჯის გაანგარიშება ყველა სახის კვლევისათვის და აღწერისთვის, რომლებსაც ატარებს საქსტატი გეგმის მოქმედების პერიოდში და ამ ხარჯების შედარება სხვა ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან;
- სავსელე მუშაკების უფრო ეფექტურად გამოყენება მათი უფრო ხშირი და უკეთესი გადამზადების საშუალებით, სავსელე სამუშაოების განრიგის კოორდინირებით და კითხვარების კომბინირებით საჭიროების შემთხვევაში;
- ადგილებზე დროის შემცირება და მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება პორტატიული კომპიუტერების გამოყენების საშუალებით (სადაც ეს შესაძლებელია);
- კითხვარების ონლაინ რეჟიმში შევსების შესაძლებლობის უზრუნველყოფა ზოგიერთ ბიზნეს კვლევისთვის.

5.84 ზემოხსენებულის მისაღწევად საჭიროა შემდეგი საჭიროებები:

- ტექნიკური დახმარება და რჩევა;
- გადამზადება;
- ტექნიკური საშუალებებისა და პროგრამების განახლება.

რეგიონალური სტატისტიკის გაუმჯობესება და მონაცემთა შეგროვებისა და გამოყენების ადგილობრივი პოტენციალის გაუმჯობესება

- 5.85 საქსტატის რვა რეგიონალურ ოფისს ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. ისინი უზრუნველყოფენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით და პასუხს აგებენ მონაცემთა ხარისხის კონტროლის პირველ დონეზე. ამასთან, ისინი ემსახურებიან მონაცემთა მომხმარებლებს, განსაკუთრებით მუნიციპალური და რეგიონალური ადმინისტრაციების წარმომადგენლებს, აწვდიან მონაცემებს და ეხმარებიან მათ გამოყენებაში. მოსალოდნელია, რომ სტრატეგიის განხორციელების პერიოდში ორივე, განსაკუთრებით კი პირველი ფუნქციის, მნიშვნელობა გაიზრდება. ბიზნეს გეგმის ამ ნაწილში განხილულია, თუ როგორ ვაპირებთ რეგიონალური პოტენციალის გაძლიერებას საქსტატის რვავე ოფისში.
- 5.86 სხვა ქვეყნების გამოცდილება მიგვითითებს, რომ სხვადასხვა კვლევებისა და აღწერების საშუალებით შეგროვებული მონაცემების ხარისხის მართვა უფრო ეფექტურად ხორციელდება რესპონდენტებთან რაც შეიძლება უფრო ახლო კონტაქტის დროს. ეს ვრცელდება შინამეურნეობების გამოკვლევასა და აღწერებზე, სოფლის მეურნეობის სტატისტიკაზე, ფასების მონაცემების შეგროვებაზე და ბიზნეს სტატისტიკაზე. მიღებული მონაცემების სათაო ოფისში გადაგზავნის მომენტისათვის, შეცდომების გასწორება სხვადასხვა კითხვარსა თუ ფორმაში, ხშირად დაგვიანებულია. ადგილზე მონაცემების განხილვითა და რედაქტირებით, შესაძლებელია შეცდომების პოვნა და გასწორება და, აგრეთვე, უკუკავშირის უზრუნველყოფა რეგისტრატორებსა და ზედამხედველებთან.
- 5.87 საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, რამდენიმე სფეროში, განსაკუთრებით კი ბიზნეს დაწესებულებებიდან შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ხარჯების შემცირება და მონაცემთა ხარისხის ამაღლება მონაცემთა ონ-ლაინ რეჟიმში, ტელეფონით ან ელ. ფოსტით მიღების გაზრდით. რაც შეეხება სხვა სტატისტიკურ ინფორმაციას, მაგალითად, სოფლის მეურნეობის მონაცემების, შინამეურნეობების გამოკვლევებისა და აღწერების უმეტესობისათვის, კვლავაც საჭირო იქნება ადგილობრივი (საველე) რეგისტრატორების გამოყენება. სტრატეგიის განხორციელების პერიოდში დაგეგმილია მონაცემთა შეგროვების საკმაოდ ფართომასშტაბიანი სამუშაოები, მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური აღწერების ჩათვლით. ამ სამუშაოების ჩატარებაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება რეგიონალურ ოფისებს, პერსონალის აყვანისა და ტრენინგის, საველე სამუშაოების მართვის, მონაცემთა ხარისხის კონტროლისა და ზოგ შემთხვევაში მონაცემთა შეტანისა და კონტროლის ჩათვლით. რეგიონალური ოფისები აგრეთვე შეასრულებენ მნიშვნელოვან როლს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების საქმეში სხვადასხვა სტატისტიკური საქმიანობისა და შედეგებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მონაცემთა მომხმარებლებისათვის დახმარების განწვევის ჩათვლით.
- 5.88 სტრატეგიის განხორციელების პერიოდის დასასრულს, მოსალოდნელია, რომ ყველა რეგიონალურ ოფისს დასჭირდება:
- მინიმალური პერსონალის რაოდენობა – ერთი სპეციალისტი ან ერთი უფროსი სპეციალისტი, ორი მონაცემთა შეტანის ოპერატორი, ერთი მდივანი და ერთი მძღოლი;
 - აღჭურვილობა მონაცემთა დამუშავებისთვის — სულ ცოტა სამი კომპიუტერი და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, უსაფრთხო ინტერნეტ კავშირი და სხვა საოფისე საშუალებები;
 - სათანადო შენობა, კითხვარების უსაფრთხოდ შესანახი ადგილის ჩათვლით და ერთი ავტო-მანქანა მაინც.
- 5.89 საჭიროებები:
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
 - გადამზადება;
 - აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი – შედეგების შეფასება და ანგარიშგება

განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება

- 6.1. წინამდებარე თავში განვსაზღვრავთ სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის და მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგების სტრუქტურას. როგორც მეოთხე თავში აღვნიშნეთ, გრძელვადიანი ხედვა ითვალისწინებს სტატისტიკის სისტემის უწყვეტ განვითარებასა და გაუმჯობესებას. იმისათვის, რომ ვიყოთ ეფექტურები და დავიმსახუროთ მომხმარებლის ნდობა, მნიშვნელოვანია, ჩვენი საქმიანობა იყოს გამჭვირვალე და ვიცოდეთ, რა შედეგს მივიღებთ არსებული შეზღუდული რესურსების პირობებში. როგორც ჩვენს მიერ შეგროვებული, დამუშავებული და გავრცელებული მონაცემები უზრუნველყოფს ინფორმაციას, იმის შესახებ, თუ რა კეთდება ხელისუფლების სხვა ნაწილებში, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ, რომელიც საჭიროა ჩვენი მუშაობის შეფასებისთვის.
- 6.2. მონიტორინგის დეტალური სტრუქტურა წარმოდგენილია პირველ დანართში. წინამდებარე თავში ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ, როგორ იქნა შემუშავებული ეს სტრუქტურა და ის ძირითადი მაჩვენებლები და პროცესები, რომლებსაც გთავაზობთ ჩვენი საქმიანობის შესაფასებლად.

მონიტორინგის სტრუქტურა

- 6.3. სტრუქტურა შეესაბამება ლოგიკური ანალიზის მეთოდს და ფოკუსირებულია სხვადასხვა დონეზე მოსალოდნელ შედეგებზე, დაწყებული ზოგადი ხედვით და დამთავრებული ცალკეული მონაცემებისა და მწკრივებისთვის მონაცემთა ხარისხის კონკრეტული გაუმჯობესებით. შედეგები განსაზღვრულია, მაჩვენებლები შემუშავებული და საპროგნოზო მაჩვენებლები ან ეტაპები დადგენილი. სტრუქტურა განსაზღვრავს იმ შედეგებს, რომელთა მიღებაც არის მოსალოდნელი 2014 წლის დეკემბრისთვის, ანუ სტრატეგიის განხორციელების დასრულებისათვის, და ასევე ადგენს, სადაც ეს მისაღები და შესაძლებელია, შუალედურ მიზნებს წლების მიხედვით. სტრუქტურა ასევე აკონკრეტებს, რა პროცესი ან ინფორმაციის წყარო იქნება გამოყენებული ინფორმაციის მისაღებად. უმეტეს შემთხვევაში, სიდიდეები წარმოდგენს საბაზისო მონაცემებს, რათა შესაძლებელი იყოს პროგრესის მონიტორინგი.
- 6.4. ხედვის დონეზე შემოთავაზებულია საქსტატის და მთლიანად სტატისტიკის სისტემის საქმიანობის მონიტორინგი სამ ძირითად მაჩვენებელზე დაყრდნობით:
 - მომხმარებელთა ზოგადი დაკმაყოფილების დონე, რომლის მონიტორინგიც განხორციელდება მომხმარებლების დაკმაყოფილების დონის კვლევების პერიოდულად ჩატარების გზით;
 - მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის მოთხოვნებთან მუდმივი შესაბამისობა, რომლის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
 - იმის უზრუნველყოფა, რომ მსოფლიო ბანკის სტატისტიკური პოტენციალის მაჩვენებელი საქართველოსთვის 90-ზე მეტი დარჩეს. მსოფლიო ბანკი ყოველ წელს განსაზღვრავს და აქვეყნებს ამ მაჩვენებელს.

- 6.5. შედეგები დადგინდება მეხუთე თავში განსაზღვრული ყველა ძირითადი ასპექტისათვის, რომელთათვის დადგენილი ერთი ან მეტი მაჩვენებელი, თავისი საპროგნოზო მაჩვენებლებითა და ეტაპებით, წარმოდგენილია პირველ დანართში. ეს ასპექტებია:
- საქსტატის სტატისტიკის ხარისხისა და მოცვის გაუმჯობესება;
 - სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება;
 - საქსტატის ადამიანური რესურსების განვითარება;
 - სტატისტიკური საქმიანობების კოორდინაციისა და მართვის გაუმჯობესება;
 - ხარისხიანი სტატისტიკისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება და შენარჩუნება;
 - რეგიონული სტატისტიკის და რეგიონული პოტენციალის გაუმჯობესება.

ანგარიშგება

- 6.6. საქსტატი აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება პარლამენტს და პრემიერს. გარდა ამისა, ინფორმაცია სტატისტიკური საქმიანობების შესახებ რეგულარულად ქვეყნდება საქსტატის ვებ-გვერდზე. შემოთავაზებულია ორივე მექანიზმის გამოყენება ეროვნული სტატისტიკის განვითარების, სტრატეგიის განხორციელების და მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. ინფორმაცია მაჩვენებლების, სხვადასხვა საპროგნოზო მაჩვენებლებისა და ეტაპების შესრულებაში მიღწეული პროგრესის შესახებ განახლდება ვებ-გვერდზე. წლიურ ანგარიშში ასახული იქნება წინა თორმეტი თვის მანძილზე განხორციელებული საქმიანობის შეფასება, მათ შორის მონაცემები ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით.

სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის განხორციელება და დაფინანსება

- 7.1. მეხუთე თავში მოცემული ბიზნეს გეგმა წარმოადგენს საქსტატის ამბიციურ პროგრამას, რომელიც მოითხოვს რესურსებისა და პერსონალის მობილიზებას, მაგრამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენს უნარს, დავაკმაყოფილოთ სტატისტიკაზე მოთხოვნა. წინამდებარე თავში აღვწერთ, თუ როგორ განხორციელდება პროგრამა და როგორ დაფინანსდება ხარჯები.

განხორციელების პირობები

- 7.2. ბიზნეს გეგმა წარმოადგენს მსხვილ ინვესტიციას საქსტატის პოტენციალში მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ გეგმის მიხედვით უწყების ორგანიზაციაში ან სტრუქტურაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. სამთავრობო სტრუქტურაში შემაჯავლი დეპარტამენტიდან იურიდიულად დამოუკიდებელ უწყებად გარდაქმნა უკვე მოხდა, რაც ნიშნავს ყურადღების გამახვილებას სისტემის განვითარებაზე, პერსონალის უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებაზე და ჩვენი საქმიანობის მეტ რენტაბელურობასა და ეფექტიანობაზე.
- 7.3. ეროვნული სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას დასჭირდება რამდენიმე სხვადასხვა საფინანსო უწყების საქმიანობის კოორდინირება, მათ შორის ზოგიერთი იმ დონორის, რომლებიც ჩამოთვლილია მეორე თავში მოცემულ ცხრილში 2.2. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის განხორციელების პირობები აკმაყოფილებდეს სხვადასხვა დონორის და საქართველოს მთავრობის საჭიროებებს შესყიდვების, ფინანსური მართვისა და ანგარიშგების თვალსაზრისით. დახმარების ეფექტიანობის საკითხებზე პარიზის დეკლარაციის რეკომენდაციების შესაბამისად, შემოთავაზებულია, ათვლის წერტილად გამოვიყენოთ მთავრობის მოთხოვნები ამ სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით.
- 7.4. სტრატეგიის განხორციელებას უხელმძღვანელებს საქსტატი დონორი ორგანიზაციების მიერ საჭიროებისამებრ გაწეული ტექნიკური დახმარებისა და კადრების გადამზადების გამოყენებით. ეროვნული სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის განხორციელების ქვემოთ წარმოდგენილი ბიუჯეტი მოიცავს ხარჯებს საქსტატისთვის დამატებითი გამოცდილების გაზიარების ჩათვლით, მაგალითად, შესყიდვებისა და ფინანსური მენეჯმენტის სფეროებში.
- 7.5. სტრატეგია განხორციელებაში ჩართული იქნება ყველა სამმართველო და განყოფილება. ზოგადი კოორდინაცია, მათ შორის ფინანსური მენეჯმენტი და შესყიდვები, ასევე, ანგარიშგება მოხდება ეროვნული სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ, რომელიც ანგარიშგებადებული იქნება აღმასრულებელი დირექტორის წინაშე. ამ ჯგუფს უხელმძღვანელებს საქსტატის მაღალი თანამდებობის პირი და მის ფუნქციებში შევა:
- ფინანსური მართვა და კონტროლი, მათ შორის შიდა აუდიტი;
 - შესყიდვების ფუნქციის მართვა, მათ შორის ტექნიკური დახმარების, საქონლისა და მომსახურების და გადამზადების მომსახურების შესყიდვა;
 - ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
 - განხორციელებაზე მონიტორინგი და ანგარიშგება.

- 7.6. ამ ჯგუფში, სავარაუდოდ, ხუთ ადამიანამდე იქნება, რომელთა უმრავლესობა დაქირავებული იქნება ვადიანი კონტრაქტით ეროვნული სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის განხორციელების პერიოდის განმავლობაში.
- 7.7. სტრატეგიის განხორციელება რეგულარულად შემოწმდება საქსტატის საბჭოს სხდომაზე. შეიძლება სასარგებლო იყოს საქსტატში შიდა კომიტეტის შექმნა, რომელიც დაკომპლექტდება ყველა განყოფილებისა და სამმართველოს წარმომადგენლებით და რეგულარულად შეიკრიბება სამუშაო პროგრამების განსაზღვრისა და მონიტორინგისათვის, პრობლემების დადგენისა და, სადაც შესაძლებელია, ამ პრობლემების გადაჭრისათვის, აღმასრულებელი დირექტორისა და საქსტატის საბჭოსთვის ტექნიკური რჩევის მიცემისათვის.

სტრატეგიის განხორციელების ღირებულება

- 7.8. სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯები, როგორც ამ დოკუმენტშია განსაზღვრული, მთელი ოთხნობიანი პერიოდისთვის – 2011 წლიდან 2014 წლამდე – შეადგენს 39.7 მილიონ ლარს, რომელიც მოიცავს (ცხრილი 7.1.) საპროგნოზო ხარჯებს, რომლებიც საქსტატმა დაიანგარიშა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში ასახული ამოცანების შესასრულებლად. ამის გარდა, მთლიანი ხარჯები ითვალისწინებს ხარჯებს ბიზნეს გეგმაში განსაზღვრული პოტენციალის გაძლიერების დამატებითი მოთხოვნებისთვის და 2012 წლიდან გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის 10 პროცენტით გაზრდას. ბიუჯეტი ასევე მოიცავს ხარჯებს სტრატეგიის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის.

ცხრილი 7.1. სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების ხარჯები, მილიონი ლარი

	2011	2012	2013	2014	სულ
სახელმწიფო ხარჯები (სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით)	1.4	2.2	2.2	2.2	7.9
ადმინისტრაციული ხარჯები	0.9	0.9	0.9	0.9	3.5
სტატისტიკური საქმიანობის სახელმწიფო პროგრამა	1.0	1.5	1.5	1.5	5.5
აღწერის პროგრამა	0.1	2.1	0.6	6.2	9.1
შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევა	0.5	0.6	0.7	0.7	2.5
სოფლის მეურნეობის კვლევა	0.3	0.4	0.4	0.5	1.7
სგეს-ის პოტენციალის გაძლიერება	1.4	1.6	1.6	1.5	6.1
სგეს-ის განმახორციელებელი ჯგუფი	0.2	0.1	0.1	0.1	0.5
გაუთვალისწინებელი ხარჯები	0.0	0.9	0.8	1.4	3.1
სულ	5.7	10.3	8.8	14.9	39.7

ფინანსური გეგმა

- 7.9. შემოთავაზებული ფინანსური გეგმა მოცემულია 7.2. ცხრილში. იგი ეფუძნება შემდეგ დაშვებებსა და ვარაუდებს.
- საქსტატიისთვის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებებით (BDD) განსაზღვრული ხარჯები მოიცავს მოსახლეობის აღწერისთვის საჭირო ხარჯების 60 პროცენტს;
 - საქსტატისთვის მთავრობის საშუალოვადიანი ხარჯებით განსაზღვრული თანხა საკმარისია ყველა ადმინისტრაციული ხარჯის დასაფინანსებლად;
 - საქსტატისთვის მთავრობის საშუალოვადიანი ხარჯებით 2012-დან 2014 წლამდე გათვალისწინებული ბიუჯეტი ყველა სხვა მუხლის 10 პროცენტით ზრდას ითვალისწინებს;

- გათვალისწინებულია დონორების მიერ დაფინანსებული შეთანხმებული პროგრამები, მათ შორის შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) და ჰოლანდიის სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს მიერ განსახორციელებელი პროექტები, ასევე მცირე თანხა გარკვეული ტექნიკური დახმარებისა და გადამზადების ხარჯების უზრუნველსაყოფად;
- მოსახლეობის აღწერისათვის საჭირო და დონორებთან უკვე შეთანხმებული და მისაღები დახმარებები გათვალისწინებულია ბიუჯეტში.

7.10 ფინანსურ გეგმაში დადგენილია ეროვნული სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის ფინანსური დეფიციტი რომელიც შეადგენს 9.4 მილიონ ლარს, ანუ 5.7 მილიონ აშშ დოლარს. განიხილება დეფიციტის დაფინანსების სხვადასხვა გზა, მათ შორის:

- დონორების მიერ დაფინანსებული ახალი პროექტები;
- ერთიანი კალათის პრინციპით (სხვადასხვა დონორის მიერ) სტრატეგიის განხორციელების დაფინანსება;
- საბიუჯეტო დაფინანსება;

7.11. დაფინანსების ნებისმიერი მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში და სხვადასხვა დონორთა მოთხოვნების მიუხედავად, აუცილებელი იქნება ეროვნული სტატისტიკის განვითარების სტრატეგიისთვის დონორთა მთელი დახმარების კოორდინირება და შეძლებისდაგვარად ერთიანი აღრიცხვიანობის, ფინანსური მენეჯმენტის, აუდიტის, შესყიდვების და ანგარიშგების წარმოების შემოღება.

ცხრილი 7.2. ეროვნული სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის ფინანსური გეგმა, მილიონი ლარი

	2011	2012	2013	2014	სულ
განხორციელების ხარჯები	5.7	10.3	8.8	14.9	39.7
მთავრობის მიერ შემოთავაზებული ბიუჯეტი (BDD)	4.2	5.8	5.4	9.2	24.5
დონორების მიერ პოტენციალის გაუმჯობესების პროექტები	0.5	0.8	0.8	0.5	2.5
დონორების დახმარება მოსახლეობის აღწერის ჩასატარებლად	0.0	0.0	1.6	1.6	3.3
ფინანსური დანაკლისი (მილიონი ლარი)	1.1	3.7	1.0	3.6	9.4
ფინანსური დანაკლისი (მილიონი აშშ დოლარი)	0.6	2.3	0.6	2.2	5.7

7.12. ფინანსურ გეგმაში ნავარაუდევია ეროვნული სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის განხორციელების ხარჯების 62 პროცენტის მთავრობის მიერ დაფინანსება, 6 პროცენტის დაფინანსება პოტენციალის გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული პროექტების ფარგლებში და 8 პროცენტი – აღწერის ჩატარებაზე აღებული ვალდებულებების ფარგლებში.

დანართი 1. მონიტორინგის სტრუქტურა

მეხუთე თავში განხილული ყოველი ძირითადი სფეროსათვის, განისაზღვრა შედეგები. ერთი ან მეტი მაჩვენებელი. მათ შორის მიზნები და ეტაპები, რომლებიც მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ეს სფეროებია:

- საქსტატის სტატისტიკის ხარისხისა და მოცვის გაუმჯობესება;
- სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება;
- საქსტატის ადამიანური რესურსების განვითარება;
- სტატისტიკური საქმიანობების კოორდინაციისა და მართვის გაუმჯობესება;
- ხარისხიანი სტატისტიკისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება და შენახვა;
- რეგიონალური სტატისტიკის და რეგიონალური პოტენციალის გაუმჯობესება.

ყველა მაჩვენებლისთვის, მიზნისთვის და ეტაპისთვის დადგენილია მონაცემთა წყარო.

მოსალოდნელი შედეგები, განვანებლები, მიზნები და ეტაპები

მოსალოდნელი შედეგები	განვანებლები	მონაცემთა წყარო	საკრებო მონაცემები და ეტაპები			
			საბაზისი მონაცემი 2011	2012	2013	2014
ხედვა და მისი						
მთავრობისა და სხვა მომხმარებლების სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფა, რომლებიც საჭიროა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარებისთვის; სტატისტიკური მონაცემების მიწოდება რეგიონული და საერთაშორისო სააგენტოებისთვის და შეზღუდული ვარიანტის რეგისტრაციის ეფექტიანად და ეკონომიკურად გამოყენება.	მომხმარებელთა საერთო კმაყოფილება საქსტატიისა და მისი პროდუქტებით	ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარებული მომხმარებელთა კმაყოფილების დონის კვლევა.	შესაბამი-სობაშია	10%-იანი ზრდა	შესაბამი-სობაშია	შესაბამი-სობაშია
	მონაცემთა გაცემების სპეციალურ სტანდარტთან (SDDS) მუდმივი შესაბამისობა	საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონიტორინგი, მათ შორის მე-4 მუხლის კონსულტაციები და ROSC-ების მონაცემები	94	>90	>90	>90
	მსოფლიო ბანკის სტატისტიკური პორტალიდან მარცვნილი	მსოფლიო ბანკის საინფორმაციო ბიულეტენი სტატისტიკური პორტალიდან შესახებ				
შედეგები – საკმატის სტატისტიკის მოცულობის გაზრდა						
ერთგულ ანგარიშები						
კაპიტალის ანგარიშების შედეგად SNA 2008-ის შესაბამისად	ინსტიტუციური სექტორების მიხედვით ძირითად კაპიტალში ინვესტიციის კვლევა	საქსტატის მება-მონაცემები	მიმდინარეობს			
დაუკვირვებელი ეკონომიკის საზრდო მონაცემების გაუმჯობესება	სექტორული კვლევები დასრულებული და გამოქვეყნებულია	საქსტატის მება-მონაცემები		განათლება	ტრანსპორტი და კომუნიკაცია	სამედიცინო მომსახურება
მშპ-ის გაანგარიშება მუდმივ ფასებში	სექტორული დეფლატორი გამოქვეყნებულია	საქსტატის მება-მონაცემები			შიმამეურნეობების საბოლოო მოხმარება, მომსახურების ექსპორტ-იმპორტი	მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირება
ინსტიტუციური სექტორის ანგარიშები შედგენილია	სექტორების დეფლატორები გამოქვეყნებულია	საქსტატის მება-მონაცემები			საფინანსო სექტორი, სამთავრო სექტორი	ბიზნეს სექტორი, შპს-ები

მოსალოდნელი შედეგები	მაჩვენებლები	მონაცემთა წყარო	საკრებნებში მონაცემები და ეტაპები			
			საბაზისო მონაცემი 2011	2012	2013	2014
მიმდინარე ფასებში შედგენილი რეკურსების და გამოყენების ცხრილები	ინტერსური სექტორების მიხედვით მუალედური მიხმარების დეტალური სტრუქტურის კვლევა გამოქვეყნებულია	საქსტატის მება-მონაცემები		რეკურსების და გამოყენების ცხრილები გამოქვეყნებულია		
ბიზნესის სტაბილურობა						
ბიზნეს საქმიანობაზე მონაცემების ხარისხის და მოცუვის გაუმჯობესება	საანგარიშო პერიოდსა და მონაცემთა გამოქვეყნებას შორის დრო შემცირდა	საქსტატის მება-მონაცემები				
რეგისტრირებული ბიზნესებისათვის მონაცემების ონლაინ მება-მონაცემები უზრუნველყოფილია	ბიზნესების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც მონაცემები ინტერნეტით შეაქვთ	საქსტატის მება-მონაცემები		სისტემა ტესტირებულია	5%	10%
ენერგოსტატისტიკის განვითარება და ენერგობალანსის გამოთვლა	ენერგეტიკის სტატისტიკა და ენერგობალანსი გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად	საქსტატის მება-მონაცემები		მაჩვენებლები გამოქვეყნებულია	ენერგობალანსი გამოქვეყნებულია	
ფასების სტაბილურობა						
სამომხმარებლო ფასების ინდექსის მონაცემების გაუმჯობესებული ხარისხი	წონები ეფუძნება ეროვნულ ანგარიშებს	საქსტატის მება-მონაცემები		სფი-ს წონები ეფუძნება ეროვნულ ანგარიშებს		
ინფლაციის ტენდენციის უფრო ეფექტიანი ანალიზი	მება-მონაცემები გამოქვეყნებულია და რეგულარულად ხდება მათი განახლება	საქსტატის მება-მონაცემები	მება-მონაცემები გამოქვეყნებულია	მება-მონაცემები განახლებულია საბაზისო ინფლაციის გამოქვეყნებულია	მება-მონაცემები განახლებულია	მება-მონაცემები განახლებულია

მოსალოდნელი შედეგები		საერთაშორისო მონაცემები და ახსნა			
		საბაზისო მონაცემი 2011	2012	2013	2014
მწარმოებელთა ფასების ინდექსის ხარისხის გაუმჯობესება	მოცვა გაფართოვდა მეთოდოლოგია შეესაბამება სსფ-ის რეკომენდაციებს	საქსტატის მეტა-მონაცემები	მოცვა გაფართოვდა 18%-ით მეთოდოლოგია შეესაბამება სსფ-ის მითითებებს		სოფლის მეურნეობის მფი გამოცემა
საბარემო საქმეთა სტატისტიკა					
სავაჭრო სტატისტიკის დროულობა და საიმედოობა გაუმჯობესდა	საანგარიშო პერიოდსა და მონაცემთა გამოქვეყნების შორის დრო შემცირდა	საქსტატის მეტა-მონაცემები	მონაცემები თვის დასრულებიდან 10 დღეში		
განგარიშდეს და გამოქვეყნდეს იმპორტ-ექსპორტის ლიბრელების და მოცულობის ინდექსები	ინდექსები გამოქვეყნებულია		ინდექსები გამოქვეყნებულია		
განალიზდეს ექსპორტ-იმპორტის რეალური ზრდა	რეალური ზრდის მონაცემები გამოქვეყნებულია	საქსტატის მეტა-მონაცემები	ზრდის მაჩვენებლები გამოქვეყნებულია		
გაუმჯობესდეს პირდაპირ უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის ხარისხი	მოცვის დონე	საქსტატის მეტა-მონაცემები	ყველა რეგიონი მოცულია		
სოფლის მეურნეობის სტატისტიკა და ბარემოს სტატისტიკა					
მონაცემები სოფლის მეურნეობის სექტორის სტრუქტურაზე გამოქვეყნებულია	სოფლის მეურნეობის აღწერა დასრულდა	საქსტატის მეტა-მონაცემები			აღწერა დასრულდა
სოფლის მეურნეობის ნლოური მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება	შინამეურნეობათა გამოკვლევასთან კოლონიურიდან აღწერის ახალი სტრუქტურა	საქსტატის მეტა-მონაცემები			სტრუქტურა შემუშავდა
გაუმჯობესდეს კონსტრუქციის მონაცემთა მომხმარებლებთან	შეიქმნა აღმრიცხველების მუდმივმოქმედი გუნდი	საქსტატის მეტა-მონაცემები			გუნდი შეიქმნა
	რამდენიმე შეხვედრა გაიმართა	საქსტატის მეტა-მონაცემები	ერთი შეხვედრა	ერთი შეხვედრა	ერთი შეხვედრა

მოსალოდნელი შედეგები	მაჩვენებლები	მთარსებმა წესად	საკრედიტო მონაცემები და პიკაპები			
			საბაზისო მონაცემი 2011	2012	2013	2014
ვებ გვერდის ხელშეწყობის გაუმჯობესება და მოხმარების განხორციელება						
ჩამოტვირთვების რაოდენობა გაიზარდა	საქსტატის ვებ გვერდის მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა	საქსტატის ჩანაწერები	+10%	+10%	+10%	
ვებ გვერდის ფუნქციონალურობის გაუმჯობესება	ვებ გვერდის მოხმარების სიადვილე	მომხმარებლის კმაყოფილების დონის კვლევა	საბაზისო მონაცემი დადგენილია			10%-იანი ზრდა
სამომსახურის დოკუმენტაცია და მართვა						
ძირითადი სტატისტიკური პროცესები სრულად არის დოკუმენტირებული	GSBMP დასრულებულია ყველა ძირითადი სტატისტიკური პროცესისთვის	საქსტატის მეთამონაცემები	25%	40%	75%	100%
მეტა-მონაცემები გამოქვეყნებულია ყველა ძირითადი სტატისტიკური პროცესისთვის	მეტა-მონაცემები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებგვერდზე	საქსტატის ვებ გვერდი	25%	40%	75%	100%
მომხმარებელთან დაკავშირების გაუმჯობესება						
მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის კონსულტაციის პროცესი დაინერგა	გაიმართა შეხვედრები	საქსტატის ვებ გვერდი	სულ ცოტა 1 შეხვედრა	სულ ცოტა 1 შეხვედრა	სულ ცოტა 1 შეხვედრა	სულ ცოტა 1 შეხვედრა
დაინერგა პროცესი მომხმარებლის გამოხმარების მისაღებად	პროცესი დაინერგა	საქსტატის ჩანაწერები	პროცესი დაინერგა			
შეიქმნა მომხმარებელთა საინფორმაციო მომსახურების ბიურო	შემოსული შეკითხვების რაოდენობა	საქსტატის ჩანაწერები	+10%	+10%	+10%	+10%
კვლევისა და ანალიზის მიზნით მონაცემების გაუმჯობესება						
შეიქმნა მონაცემების ეროვნული არქივი	მონაცემების არქივი შეიქმნა და ხელმისაწვდომია ინტერნეტში	საქსტატის ვებ-გვერდი	არქივი შექმნილია			
დამტკიცებულია ხელმისაწვდომობის პოლიტიკა	ხელმისაწვდომობის პოლიტიკა დამტკიცებულია და მოქმედებს	საქსტატის ვებ-გვერდი	პოლიტიკა მოქმედებს			

მოსალოდნელი შედეგები	მაჩვენებლები	მონაცემთა წყარო	საკრედიტო მონაცემები და უბრალები			
			საბაზისი მონაცემი 2011	2012	2013	2014
მაგრიტ და ყოველდღიური მონაცემების საბაზისი კოლიტიკა						
სატარიფო პოლიტიკა შემუშავებულია მოქმედებს	სატარიფო პოლიტიკა დამტკიცებულია და მოქმედებს	საქსტატის ვებ-გვერდი		პოლიტიკა მოქმედებს		
ალამიანური რეგულაციების განხორციელება						
სამსახური კორპორაციის განხორციელება						
აღმართი რეგულაციების მართვის სისტემა შექმნილია და დაინერგა	აღმართი რეგულაციების მართვის სისტემა შექმნილია და დაინერგა	საქსტატის ჩანაწერები	პოლიტიკა შემუშავდა	პოლიტიკა დაინერგა		
გადამზადება უზრუნველყოფილია ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის მენეჯერისთვის	სტრუქტურული ქვედანაყოფის მენეჯერების რაოდენობა, რომლებსაც უზარდობათ შესაბამისი ტრენინგი	საქსტატის ჩანაწერები	25%	75%	100%	
გადამზადების საჭიროების განსაზღვრის სისტემა დაინერგა	ყოველ წელს დგინდება ტრენინგის საჭიროებები	საქსტატის ჩანაწერები	სისტემა შემუშავდა	სისტემა დაინერგა		
პერსონალის რისკ-მართვის განხორციელება						
პერსონალის დაკომპლექტების გეგმა შემუშავებულია	პერსონალის გეგმა შემუშავებულია და ამოქმედებულია	საქსტატის ჩანაწერები	გეგმა შემუშავებულია	გეგმა განხორციელდა		
პერსონალის რიცხოვნობა გაიზარდა გეგმის შესაბამისად	ვაკანსიების პროცენტული რაოდენობა	საქსტატის ჩანაწერები	<30%	<20%	<15%	<10%
უნარ-ჩვევების და კომპეტენციების ინვესტირება						
კომპეტენციის და უნარების დონე ამაღლდა	პერსონალის წილი, რომელიც გადის გადამზადების დადგენილი საჭიროებების შესაბამისად	საქსტატის ჩანაწერები	>50%	>65%	>80%	>90%

მოსალოდნელი შედეგები	მაჩვენებლები	მონაცემთა წყარო	საკრებო მონაცემები და უბნები			
			საბაზისი მონაცემი 2011	2012	2013	2014
სტატისტიკური საშინაო კონტრაქტებისა და გარეგანი ბაზრების გაუმჯობესება						
ანგარიშგაღებულ რეგულაციებსა და საბაზის რეგულაციებს						
დამოუკიდებელი ტენიკური რეგულაციების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	საბჭოს სატრენინგო საბჭოს მიუხედავად ხელი დამოუკიდებელი ტენიკური რეგულაციების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	საბჭოს ჩანაწერები	საჭიროებები და დენიკური რეგულაციები	ტენიკური რეგულაციების ხელშეწყობის უზრუნველყოფა		
გაუმჯობესებული ანგარიშგაღებულ რეგულაციების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	ნაღირი ანგარიშები მზადდება და ქვეყნიკური რეგულაციების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	საქსტატის ვებ-გვერდი	ანგარიში გამოქვეყნიკდება	ანგარიში გამოქვეყნიკდება	ანგარიში გამოქვეყნიკდება	
მონაცემების სხვა მონაცემების გამოყენების გაუმჯობესება						
ეროვნულ მონაცემთა სისტემის განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	ეროვნულ მონაცემთა სისტემის განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	საქსტატის ვებ-გვერდი	ანგარიში გამოქვეყნიკდება	NQAF	NQAF	
სტატისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება და შენახვა						
რეგისტრაციის და შენახვის გაუმჯობესება						
შინაგარეგანი და სოფლის მეურნეობის კვლევის უზრუნველყოფის ხელშეწყობის უზრუნველყოფა	კოორდინირებული ბაზისი შენახვა და დინამიკური განახლება	საქსტატის მება-მონაცემები		NQAF	NQAF	
ბიზნეს კომპანიების რეგისტრაციის განახლების სისტემა შენახვა	სისტემა შენახვა და დინამიკური განახლება	საქსტატის მება-მონაცემები		სისტემა შენახვა	სისტემა შენახვა	
კლასიფიკაციის შესახებ ინფორმაციის განახლება						
HIS 2007 კლასიფიკაცია განახლებულია	კლასიფიკაცია განახლებულია და დინამიკური განახლება	საქსტატის მება-მონაცემები		განახლებულია	ამოქვეყნიკებულია	

მოსაუბრად შედგები	მანამუშაოები	მონაცემთა წყარო	საერთაშორისო მონაცემები და ენობები			
			საბაზისო მონაცემი 2011	2012	2013	2014
საქონლის და მომსახურების კლასიფიკაცია ფასების სტატისტიკის კონსტრუქციის განახლებული	კლასიფიკაცია განახლებული და დამუშავებული	საქსტატის მეთა-მონაცემები	განახლებული	ამოწმებული		
საქმიანობის სახეობის კლასიფიკაცია განახლებული	კლასიფიკაცია განახლებული და დამუშავებული	საქსტატის მეთა-მონაცემები	განახლებული	ამოწმებული		
სოფლის მეურნეობის კლასიფიკაცია განახლებული	კლასიფიკაცია განახლებული და დამუშავებული	საქსტატის მეთა-მონაცემები		განახლებული	ამოწმებული	
მეთოდოლოგიური ინფორმაციები სისტემის შემუშავება						
გეოგრაფიული კოორდინატების მქონე ბიზნეს სანარმოები	გეოგრაფიული კოორდინატების მქონე ბიზნეს სანარმოების პროცენტული წილი	საქსტატის მეთა-მონაცემები	60%	75%	80%	
გეოგრაფიული კოორდინატების მქონე სასოფლო-სამეურნეო მიწები		საქსტატის მეთა-მონაცემები			75%	
გეოგრაფიული კოორდინატების მქონე დასახლებული ცენტრები		საქსტატის მეთა-მონაცემები	75%	85%	95%	
ფიზიკური ინფრასტრუქტურა ჩართულია გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემაში		საქსტატის მეთა-მონაცემები	80%	90%	95%	
მონაცემთა მართვისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება						
მონაცემთა პროცესები დოკუმენტირებულია	სრულად დოკუმენტირებული პროცესების პროცენტული წილი	საქსტატის მეთა-მონაცემები	40%	60%	75%	95%
ყველა ელექტრონული მონაცემის დაცვისა და შენახვის სისტემა შემუშავებულია	სისტემა შემუშავებული და ამოწმებულია	საქსტატის მეთა-მონაცემები	სისტემა შემუშავებულია	ამოწმებულია		
საქსტატის ყველა მონაცემის გადასინჯვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესები დანერგულია	პროცესი შემუშავებული და დანერგულია	საქსტატის ჩანაწერები	სისტემა შემუშავებულია	ამოწმებულია		

მოსახლეობის დინამიკა	მნიშვნელობა	მნიშვნელობა	საკრებულო მონაცემები და უბნები			
			საბაზისი მონაცემი 2011	2012	2013	2014
მოსახლეობის ზრდის ტემპი						
ძირითადი მონაცემების შეფარების საფუძვლის ხარვეზზე წარმოებს მონიტორინგი და გამოცემა	იმ საქმიანობების პროცენტული წილი, რომლებსაც დადგენილია ერთეულის ხარვეზი	საქსტატის ჩანაწერები	20%	50%	75%	95%
საველე სამუშაოს რეალური ერთეული ფასი შემცირებულია	ერთეულის რეალური ხარჯის პროცენტული ცვლილება	საქსტატის ჩანაწერები		-5%	-10%	-10%
საველე სამუშაოს ხანგრძლივობა შემცირებულია	იმ საქმიანობების პროცენტული წილი, რომლებშიც შემცირდა დავიანობები	საქსტატის შეტა-მონაცემები		10%	30%	60%
ბიზნისის და სხვა კვლევებისთვის მონაცემების ონლაინ შეტანის უზრუნველყოფა	იმ ბიზნისების პროცენტული წილი, რომლებიც ონლაინ წარმოადგენენ ინფორმაციას	საქსტატის ჩანაწერები		სისტემა შემუშავდა	10%	30%
რეგიონული საბაზისის და რეგიონული მონაცემების განვითარება						
ყველა რეგიონულ ოფისს უნდა ჰქონდეს რეგიონული მონაცემების ოფისი	ოფისების რაოდენობა, რომლებიც მიწოდებენ მონაცემებს აკმაყოფილებენ	საქსტატის ჩანაწერები	4	6	8	8
მონაცემთა შეფარების ხარისხის კონტროლი გაუმჯობესებულია	რეგიონული ოფისების რაოდენობა, სადაც მონაცემთა ხარისხის კონტროლი საბაზისო დონის დონეზე მოქმედებს	საქსტატის ჩანაწერები	სისტემა შემუშავებულია	3	5	8

დანართი 2. საქსტატის სახელფასო განაკვეთების სხვა უწყებების სახელფასო განაკვეთებთან შესაბამისობაში მოყვანა არსებული ინფორმაცია

ხელფასის დონეები საქსტატში სხვა სამთავრობო უწყებებთან შედარებით უფრო დაბალია. განსაკუთრებით იმ უწყებებთან შედარებით, რომლებიც კარგი ეკონომიკური და გამოთვლითი უნარების მქონე კადრების მოზიდვაში უწევენ ერთმანეთს კონკურენციას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საქსტატში პროფესიონალი სტატისტიკოსების და სხვა მსგავსი თანამშრომლების საშუალო თვიური ხელფასის დონეები ხუთი სხვა უწყების იმ პერსონალის ხელფასებთან შედარებით, რომელიც მსგავს საშუალოს ასრულებს. მონაცემები აღებულია იმ დოკუმენტების მონაცემთა ბაზიდან, რომლებშიც დადგენილია სამინისტროებისა და სხვა უწყებების ხელფასების დონეები.

ცხრილი 1. ხუთი სამთავრობო უწყების და საქსტატის სხვადასხვა პროფესიონალი თანამშრომლების საშუალო თვიური სახელფასო განაკვეთები, ლარი

	უფროსი სპეციალისტი	მთავარი სპეციალისტი	ყველა მუდმივი თანამშრომლის საშუალო ხელფასი, პრემიების ჩათვლით
ხუთი უწყების საშუალო ხელფასი	840	982	1610
საქსტატი	500	600	863
საქსტატის ხელფასები ხუთი უწყების საშუალო ხელფასთან შედარებით (%)	60	61	54
საშუალო წლიური შეფარდებითი პროცენტული ზრდა, რომელიც საჭიროა უთანაბრობის აღმოსაფხვრელად ოთხი წლის განმავლობაში (%)	19	18	23

ცხრილიდან ჩანს, რომ საქსტატში ხელფასები მნიშვნელოვნად დაბალია სხვა სამთავრობო უწყებებში მსგავსი საშუალოს შემსრულებელთა ხელფასებთან შედარებით. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია სპეციალისტების ძირითადი კატეგორიების შემთხვევაში, რომლებშიც შედიან გამოცდილი კადრები და ახლად დაქირავებული კურსდამთავრებულები. თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვა უწყებებში ხელფასების გარდა თანამშრომლები პრემიებსაც იღებენ, მაშინ საქსტატში და ზემოთ აღნიშნულ სამინისტროებში მომუშავე თანამშრომლების ანაზღაურებას შორის სხვაობა კიდევ უფრო დიდია. 2010 წელს საქსტატის თანამშრომლის თვიური ანაზღაურება საშუალოდ ხუთ უწყებაში თანამშრომლის ხელფასის 54 პროცენტს შეადგენს.

სხვა სამთავრობო უწყებებთან შედარებით საქსტატის თანამშრომლების ხელფასების დაბალი დონე დიდი ხნის პრობლემას წარმოადგენს და ეს აღიარებულია მთავრობის მიერაც. თუმცა, ჯერჯერობით ამ პრობლემის გადასაჭრელად რაიმე ზომა არ მიღებულია.

უთანაბრობის შედეგები

ის ფაქტი, რომ ხელფასების სიდიდის მხრივ საქსტატი ვერ უწევს სხვა სამთავრობო უწყებებს კონკურენციას, გავლენას ახდენს საქსტატის შესაძლებლობაზე მოიზიდოს მაღალკვალიფიციური კადრები. როგორც სხვა ქვეყნების მაგალითები ადასტურებენ, სტატისტიკური უნარების მქონე კადრებზე უკვე დიდი ხანია არსებობს მაღალი მოთხოვნა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ საქსტატს თავისი საუკეთესო თანამშრომლების შენარჩუნებაც უჭირს.

საქსტატის ხელფასების კონკურენტუნარიანად ქცევა

მეშვიდე თავში შემოთავაზებული ბიუჯეტი ითვალისწინებს ხელფასის განაკვეთების ზრდას 2012 წელს ხოლო შემდგომ წლებში – მიღწეული სახელფასო განაკვეთების დონეების შენარჩუნებას. ალტერნატიული სცენარი ითვალისწინებს უთანაბრობის უფრო ეტაპობრივ, სამი წლის განმავლობაში, აღმოფხვრას; ამ შემთხვევაში საჭირო იქნება საშუალოდ 23–პროცენტიანი წლიური ზრდა 2012, 2013 და 2014 წლებში.